საქართველოს

განათლების

ფურცელი

№ 13

ორგანო საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატისა



მეცნიერება და ტექნიკა

...ქის ქრისტიანიის სახელის მოცვლა

...რტინგის (პარლამენტის) დად... წლის 1 იანვრიდან ქ. ქრის... ელი და ამიერიდან ერქმევა

...ალაქს თითქმის სამი საუკუნის ...ვისებული დანემარკის და ნო... ნ მე-IV-ს სახელი.

...ისტიან მე-IV-მ მონათლა 1624 ...ომელზეც მის მიერ იყო აშენებული, ...ისაგან სრულებით დაღუპულ პატარა ქა... ...ომელსაც ოსლო ერქვა.




ორმაგი მიკროფონი.

უკანასკნელი გამოგონება ამერიკაში რადიო-გატარების დარგში. ეს აპარატი ძლიერ მკაფიოდ გადასცემს ხმას. სურათზე გადადებულია ცნობილი მომღერალი ბეტმანი, რომელიც მღერის ორმაგ მიკროფონთან.

სანამ ქრისტიანე მე-IV-ე განაახლებდა ქალაქს, ოსლო წარმოადგენდა პატარა ქალაქს, რომელიც გაშენებული იყო ტყეში სანდვიკის, ტონსბერგის, ლარვიკის და სანდეფიორდების შესართავებთან. იგი არაფრით არ იზიდავდა ყურადღებას, გარდა თავის მდებარეობისა დიდი ფიორდების შესართავებთან, თითქმის ნორვეგეთის შუა გულში, რითაც მას ეძლეოდა საშუალება ეკონომიურ და პოლიტიკურ განვითარებისთვის.

მაგრამ, როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, ხანძარმა მოსპო ოსლო და პატარა ქალაქმა განიცადა ბედი, რო-



დოქ. ბერდი და მისი აპარატი „ტელევიჟი", რომელიც საკმაოა შეუერთოდ ჩვეულებრივ რადიოაპარატს და გადასცემს როგორც ლაპარაკს, ისე სურათს. ღირს 30 შილინგი.

მელიც ხშირად ეწვეოდა ხოლმე, მეტ ან ნაკლები სიმძლავრით, ჩრდილო, ხისაგან აგებულ ქალაქებს.

ხსენებულმა ხანძარმა შეაჩერა ყურადღება ქრისტიან მე-IV-სა, რომელიც მიხვდა, რა ჩინებული მდებარეობა ეკავა ქალაქს ნორვეგეთის აღორძინებისათვის და გადასწყვიტა განეახლებინა ქალაქი.

ახალი ქალაქი, ხის მაგივრად, ქვისაგან და ძველ ქალაქის ცოტა მოშორებით აშენდა.

ძველი ოსლო მდებარეობდა ფიორდის ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ პატარა ნავთსადგურის პირას, რომელიც ეხლა აუზათ არის გადაკეთებული და თავიდანვე Oslöhoun-ი ჰქვია; დღევანდელ ქრისტიანიის მთავარი რკინის გზის სადგურის მიდამოები, აგრეთვე ოსლოს ნანგრევებზე არიან აშენებულნი.

ქრისტიან მე-IV-მ ააშენა ახალი ქუჩები ძველი ქალაქის აღმოსავლეთით, ორ უბეთა შორის (პიპერვიკის და ბჟორვიკის); ეს ადგილი აქნობამდე ქრისტიანიის ცენტრს წარმოადგენს.

თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში ოსლოს მიდამოები უდაბნოს წარმოადგენდნენ, რომელიც არ იყო ჯერ კიდევ ახალ ქრისტიანიის მიერ დაპყრობილი.

ქრისტიანიის მოსახლეობა 1806 წ., ცნობილ მოგზაურის ლეოპოლდ ფონ ბუხის ცნობით, არ აღემატებოდა 9.000 კაცს, ამჟამად იგი 258.000 სულს უდრის, თვით ქალაქი კი ძალიან ფართო სივრცეს იკავებს.

ძველი ნორვეგეთის მთავარ საზღვაო ქალაქის ბერგენის დანგრევის და მეფეთა ყოფილ სატახტო ქალაქის ტრონდჰეიმის დაცემის შემდეგ, ქრისტიანია ნორვეგეთის დედა-ქალაქად ითვლებოდა და ეროვნულ ცენტრს წარმოადგენდა. ამჟამად მან ქრისტიანიის სახელი ქალაქის ძველ სახელზე გამოსცვალა.

ჯ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრალურ განყოფილების ორგანო

პროფესიონალ. პედაგოგიური ორგანო

რედაქციის მისამართი: კალოუბნის ქუჩა № 3. განათლების მუშაკთა ცენტრალური სახლი

ტელეფონი 8—40

№ 13 მარტის 15 № 13

თებერვლის რევოლუცია.

1905 წლის რევოლუციით სასიკვდილოდ დაჭრილმა თვითმპყრობელობამ, რომელმაც სასტიკად იძია შური მაშინ დამარცხებულ მუშათა კლასზე, მოახერხა დროებით გამაგრება და, ალბად, არ ჰფიქრობდა, რომ მისი ზეიმი ისე ხანმოკლე იქნებოდა. არ გასულა სულ თორმეტი წელი და რუსეთის მეორე რევოლუციამ, 1917 წ. 28 თებერვალს ძველი სტილით, ერთის დაკვრით, საარაკო მცირე მსხვერპლის გაღებით მოსპო რუსეთის თვითმპყრობელობა.

ჩვენში ხომ „ფოსტით მივიღეთ“ თებერვლის რევოლუცია: ადგილი არ ჰქონია არც ერთ გაბრძოლებას, არც ერთ გამოსვლას ძველი რეჟიმის დამცველთა მხრით. ეს აიხსნება სხვათა შორის იმითაც, რომ არც ერთ ქვეყანაში, არც ერთ დროს ისე არ დაცემულა და გათახსირებულა მეფის სასახლე, როგორც ეს რუსეთში მოხდა. სოფლიდან გაძევებული ცხენის ქურდი, სრულიად გაუნათლებელი გლეხი რასპუტინი ყოვლის შემძლებელი გახდა და აბა რა კარგი უნდა დაჰყროდა იმ მთავრობას, რომელიც რასპუტინზე იყო დამოკიდებული?.

ასე ადვილად მოპოვებული გამარჯვება პირველ ხანებში ვერ გამოიყენა მუშათა კლასმა თავის სასარგებლოდ და ძალა-უფლება ბურჟუაზიას დაუთმო, თვითონ არ აიღო ხელში, რადგან მაშინ გაბატონებული პარტიები—ესერები და მენშევიკები—ამისი წინააღმდეგი იყვნენ. ამათი შეფასებით რუსეთის რევოლუცია ჩვეულებრივი ბურჟუაზიული რევოლუცია უნდა ყოფილიყო, როგორც მაგ. საფრანგეთის დიდი რევოლუცია, და ის არ უნდა წასულიყო უფრო შორს.

მაგრამ სულ მალე გამოირკვა, რომ კოალიციურ მთავრობას ბურჟუაზიის ხელმძღვანელობით და სოციალისტების დახმარებით არ შეეძლო გადამჭრელი ზომების მიღება და ქვეყნის პატრონობა ომისა და რევოლუციის პირობებში. ასეთ დროს მხოლოდ დიქტატურაშია იყო ხსნა და ბოლშევიკების თავგანწირვას უნდა ეუმადლოდეთ, რომ დაასწრო მუშათა კლასმა, თორემ ახლოვდებოდა დრო გენერლების დიქტატურისა, რასაც უეჭველად მოჰყვებოდა მონარქიზმის რესტავრაცია. მაშინ კი თებერვლის რევოლუციისაგან ბევრი არაფერი დარჩებოდა.

ამრიგად თებერვლის რევოლუციას ფასი ედება იმით, რომ მას 8 თვის შემდეგ მოჰყვა ოქტომბრის რევოლუცია და მშრომელთა დიქტატურა.

რედაქციისაგან

ვაცხადებთ ამხანაგების საყურადღებოდ, რომ ჟურნალის დავალიანებამ მძიმე მდგომარეობაში ჩაგვაგდო. გარდა წინასწარ გათვალისწინებული დეფიციტისა, რომლის დაფარვა კავშირმა იკისრა, ჟურნალზე ზედმეტი დაიხარჯა დღემდის **6000 მან.** და აქედან ხელის მომწერლებზე ითვლება **5000 მან.** ამხანაგ-ხელისმომწერლებს, რომ გულგრილობა არ გამოეჩინათ და ხვედრი ფული თავის დროზე შეეტანათ თვიურად ათ-ათი შაური, ასეთი მდგომარეობა არ შეიქნებოდა. ახლა კი ეს მოსალოდნელია თუ აპრილის პირველამდი დარჩენილი ფული არ იქნა აუცილებლად შემოტანილი.

რედაქცია ერთხელ კიდევ მიმართავს ამხანაგებს თხოვნით—გადმოგზავნონ, რაც ერგება მათგან რედაქციას აპრილის პირველამდე.

რედაქცია სრულიად დარწმუნებულია, რომ ამხანაგები სრულის შეგნებით შეხვდებიან ჩვენს განცხადებას და არ დააყოვნებენ ხვედრი ფულის გადმოგზავნას.

რედაქცია.

ვინჯანი.

პედაგოგიური წერილები

II

რას წარმოადგენს დღევანდელი ჩვენი სკოლა, ციდან ჩამოვარდნილი უწინაპირო მოვლენაა, თუ წარსულთან არის დაკავშირებული და მისი ღვიძლი შვილია?

თუ საკითხს ზეზეურად არ გადავჭრით, რასაკვირველია, აშკარაა, რომ იგი წარსულის სრულიად კანონიერი მემკვიდრეა, მათ შორის განუწყვეტელი ორგანიული კავშირია. მართალია, რევოლუციამ საშინელის სისწრაფით გააჭანა იგი ევოლუციის გზაზე და დიდად დააცილა წარსულის ნაპირებს, მაგრამ დღევანდელი მემკვიდრე ყველასათვის აშკარაა თანდაყოლილ თვისებათა გამო წარსულზე უარს ვერ იტყვის.

ჩვენი სკოლა უპირველეს ყოვლისა რეალური სკოლაა. მისი მთავარი მიზანია **სინამდვილის შესწავლა ცხოვრების გარდასაქმნელ მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად.** ამ დედა პრინციპიდან გამომდინარეობს ის, რომ სასკოლო მუშაობის დასაბჯენ წერტილად მხარეთმცოდნეობაა აღიარებული. ჩვენის გაგებით მხარეთმცოდნეობა სრულებით არ ამოიწურება გეოგრაფიული ცოდნის მიღებით: ამ საერთო ჩარჩოში ჩვენ ვათავსებთ აგრეთვე მხარის ბუნებრივ სიმდიდრეთა შესწავლა-გაცნობას, მოსახლეობის საქმიანობის, ეკონომიური ცხოვრების და ყოფაცხოვრების შესწავლას, წარსულსა და მომავლის გაშუქებას, კულტურის აღმოცენების პირობებს, მის დონეს და სხ.

სკოლის რეალურ გზაზე შეყენების საქმე ძველმა სკოლამ დაიწყო. გამოფიტულ კლასიციზმისათვის ზურგის შექცევა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების გაძლიერება—ამ ცდის დასაწყისი იყო. იმ დროს, როდესაც ფეოდალური არისტოკრატია ბუტაფორიული კლასიციზმით ერთობოდა, ამომავალი კლასი—ბურჟუაზია—რევოლუციონურ გუნებაზე იდგა და იღლიებში საანგარიშო ჩოთქებ ამოდებულ თავიანთ შვილებს ან რეალურ სკოლაში გზავნიდა და ან კომერციულში. თვითმპყრობელობის დროს საუკეთესო და ცხოვრებასთან დაახლოვებულ სკოლებად სწორედ ეს სასწავლებლები ითვლებოდა.

ეს სკოლები უპირველეს ყოვლისა პრაქტიკული დაწესებულებები იყო და თავის არსებობის მიზნად სინამდვილის სამსახური ჰქონდა დანიშნული.

ვინ ატარებდა ამ სკოლის იდეას მაშინ და ვინ ანხორციელებს დღეს? ამ საკითხებზე პასუხის გაცემით მე მკითხველის ყურადღებას არ დავღლი, ეს ათასჯერ ნათქვამის გადაღეჭვის ცდა იქნებოდა. კიდევ რა რეალობის ნიშნებს ატარებს ჩვენი სკოლა?

მეოცე საუკუნეს ბავშის საუკუნეს უწოდებენ იმ გაგებით, რომ თანამედროვე პედაგოგიც ერთიანად დაფუძნებულია ბავშის პსიქოლოგიის და სულიერ ცხოვრების გაგება-შესწავლაზე. კულტურულ კაცობრიობას მრავალი პედაგოგიური სისტემა ჰქონებია წარსულში. პედაგოგიური აზროვნება მრავალ ბუმბერაზს იცნობს: მარტო ჯონლოკი, კომენსკი, პესტალოცი, ჟან-ჟაკრუსო და სპენსერი ქმნიან ცალ-ცალკე ეპოქებს,—დიახ. სააღმზრდელო იდეა მრავალჯერ ასულა წარსულში მონბლანის მწვერვალზე, მაგრამ სრულიად მოულოდნელად კი გამოირკვა, რომ ბავშის სულიერი ცხოვრება სრულიად შეუსწავლელი ყოფილა და ის, რაც ახლობამდე ჩჩვილის პსიქოლოგიად საღდებოდა, იგი ჩვენი—დედების—საკუთრება ყოფილა. საზოგადოდ პსიქოლოგია შედარებით ნორჩი მეცნიერებაა, მრავალი საკითხი ჯერ მისთვის ბნელეთით არის მოცული და რა გასაკვირია, რომ სპეციალურ დარგში—ბავშის პსიქიკის გაგებაში, მრავალი შეცდომა დაეშვა. მეცნიერებამ ისიც აშკარა ჰყო, რომ ბავში არც ფიზიკურად არის მინიატიურულად წარმოდგენილი დიდი ადამიანი.

ამ ნიადაგზე წარმოიშვა საზოგადო პედაგოგიის ახალი დარგი პედოლოგია, რომელმაც სულ სხვა მიდგომა მოითხოვა ბავშის სულისადმი.

და ჩვენს რეალურ სკოლასაც მხარეთმცოდნეობის გეერდით მეორე ბურჯად ბავშის სულიერი ცხოვრებისდამიხედვით წარმოებული მუშაობა უნდა ეღიარებინა. გარემო და შიგ ჩაქსოვილი ბავში—აი რა სურათია ჩვენს თვალწინ და რა შეადგენს ჩვენი პედაგოგიური მუშაობის საგანს.

შრომის სკოლა არ ისახავს რაიმე განყენებულ მიზანს, როგორც ეს იყო, ვსთქვათ ქრისტიანულ-სკოლასტიურ სკოლაში. აღზრდის მიზანი მაშინ საიქიო ცხოვრებისათვის მომზადება იყო, წუთისოფელი—რეალური ქვეყანა მოსამზადებელი საფეხური იყო. ჩვენთვის ეს ქვეყანა და მისი შესწავლა მიზანიც არის და საშუალებაც. როგორც ობიექტიური ბუნება, ისე მისი წიაღის შვილი ადამიანი,—აი ჩვენი აღზრდის დასაწყისი და დასასრული.

ჩვენი სასწავლო პროგრამებიცა და მეთოდებიც სწორედ ამ მთავარი დებულებიდან გამომდინარეობენ. ასე წარმოიდგინეთ ყბადაღებული კომპლექსიც აქედან გამომდინარეობს, იგი სრულიად კანონიერი და ღვიძლი შვილია იმ რეალური სკოლის, რომელსაც ჩვენ ვქმნით.

კომპლექსი უპირველეს ყოვლისა ბავშის სულიერ რაობას შეესაბამება, ამ მეთოდით, თუგინდ სისტემით მუშაობა სწორედ ისე მიმდინარეობს, როგორიცაა ბავშის სულიერი ათვისების კანონები.

ბავშის პსიქიკა ისეთია, რომ გარეშე ცხოვრებას იგი მთლიანად ითვისებს ხოლმე.

ჩვენ, დიდები, რომელნიც მეტის ცოდნითა და გამოცდილებით ვართ შეიარაღებულნი, რასაკვირველია, ასე არ ვლებულობთ ცხოვრებას. ჩვენ უპირველეს ყოვლისა ანალიტიკოსები ვართ, მუდამ ვანაწილებთ ცხოვრებას, მთავარსა და მეორე ხარისხოვანს მუდამ ვაშორებთ ერთმანეთს და განთვითების უნარ განვითარებულთ, ასე გვგონია, რომ ბავშიც ჩვენნაირად იქცევა, გარჩევას მხოლოდ რაოდენობაში ვხედავთ, ბავშის სული და გული დიდის დაპატარავებული არსება გვგონია.

ბავშის პსიქოლოგიის სწორედ ამ ძირითად თვისებას ემყარება კომპლექსი, რომელიც მთლიანად აწვდის ბავშს ცხოვრების მოვლენას. ხოლო ამ მთლიანობის შეთვისების დროს მეორეს მხრივ იგი იძენს მიჩვევებს.

კომპლექსი ერთსა და იმავე დროს შესასწავლი მასალის დასალაგებელი სისტემაც არის და თითონ ამ მასალის შერჩევაზედაც გვითითებს. სკოლაში ჩვენ ვსწავლობთ მათემათიკას, ბუნებისმეტყველებას, სამშობლო ენას და სხ. შეიძლება ეს მასალა ცალ-ცალკე საგნებად იქნას დალაგებული, როგორც ეს იყო ძველ სკოლაში; შეიძლება ამ საგანთა შორის მოისპოს გამაყოფელი ხაზები და შეეისწავლოთ თვითონ ცხოვრება, ისე რომ არ დავინაწილოდ ის ფიზიკად, ქიმიად, გეოგრაფიად და სხვა ასეთ საგნებად. მაშინ ეს იქნება კომპლექსური სისტემა.

სიტყვა კომპლექსი წარმოსდგება ლათინურ complexus-იდან, რაც ნიშნავს გარშემოკვრას, გარშემოხვევას. რასაკვირველია, ეს სიტყვა ნაკლებად გამოსახავს ცნება კომპლექსის ჩვენებურად გაგებას; კომპლექსი ახლა გვესმის, როგორც ცხოვრების შესასწავლი სისტემა. სწავლება უკავშირდება აღზრდას, სკოლა გადაებმის ცხოვრებას

და ბავშიც, როგორც თავისი არსებით, ისე აწმყოთი და მომავლით ერთიანად ექსოვება გარეშე სინამდვილეში.

ეს არ არის იოლი საქმე და რთულ მუშაობასაც მოითხოვს. უპირველეს ყოვლისა საჭიროა კომპლექსის იდეის ნათლად შეთვისება და მისი რაობის გაგება.

როგორც ვნახეთ კომპლექსის დასაყრდნობი წერტილი ბავშის ფსიქოლოგიის ძირითადი თვისებაა—მოვლენის მთლიანად, დაუნაწილებლად ათვისება. მაგალითისათვის ავიღოთ ასეთი ფაქტი: წისქვილი და მისი მუშაობა. ერთის შეხედვით ეს ასე ვსთქვათ სრულიად მარტივი მოვლენაა და ბავშიც ასე ითვისებს მას: შენობა, მინაგანი და გარეშე მოწყობილობა და ბოლოს მისი მუშაობა—ფქვა. მაგრამ საკმარისია ცოტა დავაკვირდეთ მას, რომ ჩვენი მუშაობა ერთობ გართულდეს და მრავალფეროვანი სახე მიიღოს. ოდნავი ანალიზი დაგვანახვებს, რომ ამ მარტივ ფაქტში მრავალი, სხვადასხვაგვარის მოვლენებია გაერთიანებული და თვითეული ამ მოვლენის გათვალისწინება სულ სხვადასხვაგვარ მუშაობას მოითხოვს ჩვენგან. ხან ანგარიშს უნდა მივმართოთ, ხან საზოგადოებათ მეცნიერებას, ხან გეომეტრიას და ხან კიდევ რას.

რა აბრუნებს წისქვილის თვლებს? თუ მარცვალი არ ჩავარდა, რა მოუვა დოლაბს? რისთვის ხდება ეს? ვის მოაქვს მარცვალი? ვინ ააგო წისქვილი,—კოლექტივმა თუ პიროვნებამ? კოლექტივის რაოდენობა, რად შეიქნა შეერთება საჭირო? აქვს თუ არა ცალკე ოჯახს წისქვილი? თუ აქვს რა არის ამის მიზეზი? რინაირად დაიწყებოდა წისქვილის ასაგები მუშაობა? (ჯერ საჭიროება, მერე პირობების შეკვრა, ადგილის მონახვა, მცოდნე პირების ხელმძღვანელობა, წყლის არხის გაყვანა და სხვა, მერე შენობის აგება და ბოლოს ღარების და თვლების მოწყობა) და სხვა.

ამ მოვლენის დაშლა მრავალნაირ საკითხს აღძრავს და მოწაფის შემოქმედებასაც მრავალის მხრივ აამუშავებს. ჯერ წისქვილი და მისი აღნაგობისა და მუშაობის შესწავლა, მერე მისი ცხოვრების სინამდვილესთან დაკავშირება და ბოლოს ისტორიული ექსკურსები.—საზოგადოდ ასე შეიძლება დაიგეგმოს ეს რთული მუშაობა, რომლის ყოველი მხარე მიზეზობრივის კავშირით არის ერთი მეორესთან გადაბმული.

რას შეიძენს მოწაფე ამ მუშაობის დროს? როგორც უკვე ვნახეთ ეს მოვლენა—წისქვილი და მისი მუშაობა—მრავალის მხრივ არის სინამდვილესთან დაკავშირებული და უპირველესი ცოდნის შეძენაც ამ კავშირის გაგებაშია ჩამარხული. ასეთი სისტემითა და მეთოდით სწავლება ბავშს ცოდნასაც მისტემს და განვითარებასაც.

და ამ საფუძველზე გზადაგზა შენდება და ემყნება სხვადასხვაგვარი ცოდნა: მათემათიკიდან, გეოგრაფიიდან, გეომეტრიიდან, აგრონომიიდან, საზოგადოებათ მეცნიერებიდან და სხ.

სწავლება მიმდინარეობს უაღრესის თვალსაჩინოებით, ინტერესით და თავიდან ბოლომდე სინამდვილესთან დაკავშირებით. მოწაფე ერთის წუთითაც კი არ სწყვეტს სინამდვილესთან კავშირს და ყოველ ფეხის გადადგმაზე რწმუნდება იმაში, რომ ესა თუ ის ცოდნა სრულიად ბუნებრივად გამომდინარეობს ცხოვრების ფაქტებიდან.

ძველ სკოლაში ხშირად გაისმოდა ასეთი კითხვა: რისთვის ვსწავლობ გეომეტრიას? რად მინდა ვიცოდე ცილინდრის მოცულობა? რად უნდა დამჭირდეს ალგებრა და სხვ. ასეთი საკითხები ახალ სკოლაში არ უნდა დაისვას მოწაფის მიერ, ის აშკარად უნდა ხედავდეს, თუ რა პრაქტიკულ საჭიროებისათვისაა საჭირო ესა თუ ის ცოდნა, ან როგორ გამომდინარეობს იგი სინამდვილიდან.

ზევით მოყვანილი მუშაობის დროს მრავალ მხრივ შეიძლება თითონ მოწაფის სწავლების პროცესში აქტიურად ჩაბმა, შრომის პროცესების გამოყენება, რაც უაღრეს აღმზრდელობით პროცეს შეიცავს.

ამგვარი მუშაობა ძირიანად სცვლის ძველი სკოლის სახეს, მასალის დალაგების სისტემას და საერთო მეთოდებს. ვფიქრობ, რომ ვერც ერთი ჰეშმარიტი მასწავლებელი, რომელსაც გულწრფელად უყვარს ჩვენი სკოლა, პრინციპიალურად ვერაფერ საწინააღმდეგოს ვერ იტყვის კომპლექსის შესახებ. სულ სხვაა საკითხი იმის შესახებ, თუ რომელ ჯგუფებამდის უნდა სწარმოებდეს ამგვარი მუშაობა, რა და როგორი სახელმძღვანელო უნდა გექონდეს და სხვა პრაქტიკული საკითხები. პრინციპიალური და პრაქტიკული მხარის ერთი მეორეში არევა არ შეიძლება.

დასასრულ კიდევ ერთი რამ: ამ მეთოდს მარქსისტულს ეძახიან, რადგან მარქსმა ამ გზით შეისწავლა ცხოვრება, როგორც ერთი მთლიანი განვითარებაში მყოფი მოვლენა: ჯერ გადმოშალა მისი ეკონომიური საფუძველი, მერე ზედ დაშენებული საზოგადოებრივი დაწესებულებანი და ბოლოს ყოველივე ამაზე აღმოცენებული იდეოლოგია. ამაც დროს მან ნათელჰყო გადუვალი მიზეზობრივი კავშირი—ერთი მოვლენის მეორისაგან გამომდინარეობა და სხვადასხვა სოციალური ფაქტების ერთიმეორისაგან დამოკიდებულება. კომპლექსური სწავლების დედა აზრიც ეს არის: ცხოვრების დიალექტიურ განვითარებაში შესწავლა.

გ. ჯუმბურიძე.

წერა და წერითი სავარჯიშოები.

ბევრი მსჯელობა არაა საჭირო იმის დასამტკიცებლად, რომ წერას ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ცხოვრებაში. ეს უკვე ცნობილი და უდავო ჰეშმარიტებაა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მას არა აქვს დათმობილი სათანადო ყურადღება ჩვენს მეტყველებასა და მწერლობაში. ცხადია, ეს გარემოება იმავე ცხოვრების ობიექტური პირობებით არის გამოწვეული და იგივე ჩააყენებს მას ნორმალურ კალაპოტში. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თითქოს საჭირო არ იყოს მისი აღდგენა-განმტკიცებისათვის ზრუნვა და ხელის შეწყობა.

რევოლუციით გამოწვეული სიჩქარე და სისწრაფე საქმიანობისა საერთოდ და ცალკე წერის საშუალებით შესასრულებელისა აიძულებდა თვითეულს დამწერს ეწარმოებინა ეს საქმე **დროის დიდი დაზოგვით**, მისი ეკონომიის უაღრეს წარტილამდე აყვანით. აღარავინ აქცევდა ნაწერის გარეგან სილამაზეს ყურადღებას, ანბრის სისწრით გამოთქმის საჭიროებას ანგარიშს აღარ უწევდენ. საკმარისი იყო როგორმე გადაეცათ და გაეგებინებიათ ერთმანეთისათვის თავიანთი სურვილები. ესთეტიური და მეცნიერული მხარე წერისა აღარავის აინტერესებდა. საერთო ცხოვრებიდან ასეთი მდგომარეობა გადავიდა სასწავლებელშიც.

რა არის წერა და რა არის მისი მიზანი და დანიშნულება?

წერა არის იგივე ენა, მაგრამ არა სასმენი, არა გასაგონი, არამედ მისი განსაკუთრებული სახე: იგი არის ხედვითი, ანუ **ხილული ენა.** წერა ბგერათა ნიშნების, ასოების საშუალებით გამოხატავს სხვადასხვა აზრს, რომელიც სწორედ ამ ნიშნების წყალობით ხდება თვალსაჩინო, დასანახავი, ხილული.

მაგრამ ყოველი აზრი და სიტყვა შეიცავს თავის განსაკუთრებულს შინაარსს, რაც თავის მხრივ მოითხოვს ზედმიწევნით სისწორით გამოთქმას და გადაცემას. უამისოდ და ამის გარეშე შეუძლებელია აზრის ნათლად გაგება, მისთვის კუთვნილი მნიშვნელობის მიცემა და მითვისება.

დიდი ხანია, რაც კულტურულმა კაცობრიობამ უარჰყო წერის ძველი სახეები—პიკტოგრაფია და იდეოგრაფიული წერა—და უძველესი დროიდანვე გადავიდა ახალი სახის წერაზე, რომელსაც **ბგერითი წერა** ეწოდება. ზედმეტია ბგერითი წერის მნიშვნელობაზე ლაპარაკი. მისი დიდი როლი ცხადია ყველასათვის. მაგრამ ასევე ნათლად არ არის გარკვეული **წერითი ენის ფსიქო-ფიზიოლოგიური ფუნქციების კავშირი** ტვინის ამა თუ იმ ნაწილებთან.

ყოველს შემთხვევაში ენათმეცნიერება ჯერ-ჯერობით მივიდა შემდეგ დასკვნამდე.

1. არსებობს თავის ტვინში ოპტიკური და გრაფიკული ცენტრები წერითი ენისა და ეს ცენტრები შეადგენენ **მხოლოდ წერა-კითხვის მცოდნე ადამიანის კუთვნილებას.**

2. ოპტიკური და გრაფიკული ცენტრები ჩნდება არა ერთბაშად, არამედ **იქმნება თანდათანობით,** იხლართება ერთიმეორეში და აბამს ასოციატიურ კავშირს ენის სასაუბრო-სამეტყველო (მოტორულ) და სმენის ცენტრებთან.

თუ ეს ასეა, თუ ეს დებულება სწორია და უტყუარი, აქედან ცხადია—როგორის თანდათანობით, ძალდაუტანებლად და ბუნებრივად უნდა სწარმოებდეს წერა-კითხვის შეთვისების განვითარების პროცესი, რამდენად დაუშვებელი და შეუწყნარებელია ამ მხრივ რაიმე ფსიქოლოგიური ხარვეზი და ნახტომები. აქედანვე უდავოდ გამომდინარეობს ის დებულება, რომ წერა-კითხვის შესწავლის დროს დიდი ადგილი უნდა ჰქონდეს დათმობილი ვარჯიშობას, შეჩვევას და საერთოდ წ.-კითხვის ტექნიკის მექანიზაციას. უამისოდ წერა-კითხვა არ იქნება ჩქარი, მტკიცე, თამამი და გაბედული. ეს კი აუცილებელია წერა-კითხვის მიზნისათვის: გაგება და შეთვისება მაქსიმუმისა მინიმალური დროისა და ენერგიის დახარჯვით.

როგორ უნდა სწარმოებდეს წ.-კ., ერთად, ერთსა და იმავე დროს, თუ ცალ-ცალკე?

ეს დიდი მეთოდური საკითხია, დიდი და ხანგრძლივი ისტორიაც აქვს მას. ბევრი სხვადასხვა აზრი და შეხედულებაა მის შესახებ გამოთქმული მეთოდურ ლიტერატურაში, მაგრამ შეიძლება შევჩერდეთ მხოლოდ სამს უმთავრეს მიმდინარეობაზე, რაც ბუნებრივად ამოსწურავს კიდეც მის შესაძლო რაოდენობას.

1. ამ მიმდინარეობათა შორის შეიძლება პირველი ადგილი დაუთმოთ იმას, რომელიც აუცილებელ საჭიროებად სცნობს **წერა-კითხვის ერთად შესწავლას** და რასაც მეცნიერულად ასაბუთებს თავის წერა-კითხვის ანალიტიურ-სინთეტიურ მეთოდში. ცხადია, ამის განხილვა აქ სრულიად ზედმეტია და უადგილო: იგი ცნობილია ყოველი მასწავლებელისათვის.

2. უფრო ნაკლებად გავრცელებულია საერთოდ და კერძოდ ჩვენში მეორე მიმდინარეობა, სახელდობრ ის, რომელიც ჯერ ასწავლის წერას და შემდეგ კითხვას, ე.ი. იწყებს წერიდან და გადადის კითხვაზე. ამნაირად **წერა წინ უსწრებს კითხვას.** ასეთია განსაკუთრებით უფრო ცნობილი ამ ბოლო დროს მონტესორის მეთოდი, რომელიც ჩვენში შემოღებულია უმთავრესად საბავშო ბაღებში (იხ. Монтесори—„Руководство к моему методу“ „Дом ребенка“ და აგრეთვე Ю. Фаусек—„Обучение грамоте и развитие речи по системе Монтесори“. ქართულად კი: ს. მაჩაბელი და ნ. წულუკიძე—„წერა-კითხვა საბავშო ბაღში და შრომის სკოლაში“. 1926 წ.)

3. მესამე მიმდინარეობა **კითხვის შესწავლას** აწარმოებს **წერისაგან დამოუკიდებლად** და **წინ უსწრებს წერას.** ეს მეთოდიც საკმაოდ ძველია და კარგად ცნობილი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ალბად ჩვენი თაობის დიდ ნაწილს თავის თავზე განუცდია ამ მეთოდის ღირსება-ნაკლულევანებანი, როცა ჯერ ანბანს სწავლობდენ, მერე ეგრედ წოდებულ „ამოსაღებს“ და შემდეგ გადადიოდენ წერაზე.

ამ მეთოდის საუკეთესო დამცველად ჩვენს დროში ითვლება ლეიპც. პედაგოგი ლინდნერი, რომელიც სცდილობს მოუპოვოს მას პსიქოლოგიური საბუთები და გამართლება. ლინდნერისათვის პრინციპიალურად მიუღებელია წერა-კითხვის ერთსა და იმავე დროს სწავლება. იგი თავგამოდებით ილაშქრებს ამის წინააღმდეგ იმ მთავარი საბუთის მიხედვით, რომ, მისი აზრით, სრულიად განსხვავდება ერთი მეორისაგან ბავშის ტვინის მუშაობა კითხვისა და წერის დროს: ერთგვარი მუშაობა სწარმოებს კითხვის დროს და სრულიად სხვანაირი წერის დროსაო: კითხვა არის **სენსორული მუშაობა,** ხოლო წერა—**მოტორულიო.** ამავე დროს კი სენსორული და მოტორული ცენტრები მოქმედებენ არათანასწორად (неравномерно)—მოტორული მოქმედება ყოველთვის იგვიანებს და უკან რჩება სენსორულსაო. ამიტომ, განაგრძობს იგი, წერას უნდა წინ უძღოდეს დამუშავება (выработка) იმისა, რაც უნდა იყოს დაწერილიო. ეს უნდა ხდებოდეს სწორედ ისე, როგორც მეტყველებას (ლაპარაკს) წინ უსწრებს სასაუბრო მასალის დაგროვება.

ეს ორი უკანასკნელი მიმდინარეობა: მონტესორის—ჯერ წერა, მერე კითხვა და ლინდნერის - ჯერ კითხვა, მერე წერა—დიამეტრალურად ეწინააღმდეგება ერთი მეორეს და შეიძლება სწორედ ამიტომაც იწყებს მონტესორი წერით, რომ მთელი სიმძიმის ცენტრი მაზედ გადაიტანოს და ბავშებს გაუადვილოს მუშაობა ამ სიძნელეთა გათანასწორებით. მაგრამ, მეორე მხრით, ასეთი მუშაობის გამართლებაც შეუძლებელია: თუ ბუნებრივად სენსორული მუშაობა წინ უსწრებს მოტორულს, და ეს კანონიერია და სამართლიანი, მაშინ მაცადინეობა კითხვა-წერის შესასწავლად უნდა იწყებოდეს კითხვით და გადადიოდეს წერაზე. მაგრამ ეს საკითხი ჯერ ისევ გადაუწყვეტელია: ზოგს მოსწონს ერთი, ზოგს მეორე და ზოგსაც მესამე. ერთი რომელიმეს უპირატესობა ჯერ კიდევ არა სჩანს.

გადავდივარ შემდეგ საკითხზე.

როგორი უნდა იყოს წერის სწავლების მეთოდი: სინთეტიური თუ ანალიტიური?

როგორც ვიცით, ჩვენს დროში უფრო გავრცელებულია **სინთეტიური მეთოდი,** ე. ი. ისეთი, სადაც იწყებენ ცალკე ასოების წერით და შემდეგ ადგენენ სიტყვებს და წინადადებებს. (ასოების წერას კი ამ მეთოდით უწინ წინ უსწრებდა ერთი მომენტიც—ასოთა ელემენტების წერა).

მაგრამ ამ ბოლო დროს ჩვენს სკოლებში, უფრო ადრე კი ამერიკულს სასწავლებლებში დიდის სიმპატიით და ყურადღებით ეპყრობიან **ანალიტიურ მეთოდს.** აქ წერას იწყებენ არა ელემენტებით და ცალკე ასოებით, არამედ მთლიანი სიტყვებით. ხოლო კითხვისა და წერის

დროს მთლიანი სიტყვების შესწავლა სწარმოებს არა ცალკე, განყენებულად აღებულ სიტყვებზე, არამედ სრულიად ნაცნობი სიტყვის საშუალებით, რომელიც **აუცილებლად უნდა გამოყოფილი იქნეს** (ანალიზის მომენტია) ძლიერ ნაცნობი და სრულიად დამუშავებული წინადადებიდან. ამ მთლიან სიტყვებს ბავშები არ ანაწილებენ მის შემადგენელ ელემენტებად —ასოებად, არამედ იხატავენ და იწერენ მას ისე, როგორც ხედავენ. ამ შემთხვევაში გადმოსახატავ-გადმოსაწერად ზოგიერთი პედაგოგები ხმარობენ ხელნაწერ ტექსტს, ზოგი კი ნაბეჭდს.

ასეთია ჯერ ამ საკითხის ვითარება და არც ის არის საბოლოოდ გადაწყვეტილი—რომელს ეძლევა უპირატესობა: წერის სინთეტიურ მეთოდს, თუ ანალიტიურს.

ყოველს შემთხვევაში ამ საკითხის გადაჭრის დროს უმრავლესობა ჯერ ისევ **სინთეტიური მეთოდისაკენ იხრება**, ხოლო ანალიტიურს სტოვებენ წერის შემდეგი საფეხურისათვის, როცა ამბობენ:

„Вопрос по обучению письму должен быть решон частью по обще-педагогическим соображениям (имеющим в виду важное значение внимания к отдельным елементам написанного слова), а главное, по условиям русской школы (особенно сельской) не дающим возможности широкого применения аналитического метода обучения письму,—в пользу синтетического метода. Но принцип аналитического метода—образование прочных ассоциаций совокупных движений при написании **целого** слова—должен быть использован на дальнейших ступенях обучения письму“ (იხ. П. Афанасьев—„Методика родного языка“. 1923 г.).

ცხადია, პრინციპიალურად საკითხი პირველი მეთოდის—სინთეტიურის—სასარგებლოდ სწყდება, მაგრამ მისი ფორმულა არ არის ისე კატეგორიულად და ისეთის გამბედაობით გამოთქმული, რომ სავსებით არწმუნებდეს მკითხველს და ერთბაშად იპყრობდეს მის გონებას და ყურადღებას. აქ მაინც რაღაც რყევა სჩანს და შესაძლებელია, მეტის საბუთების მოპოვებით, გამარჯვება ისევ ანალიტიურ მეთოდს დარჩეს.

წერითი სავარჯიშოების სახეები.

წერითი სავარჯიშოები შეიძლება ორ უმთავრეს ჯგუფად დავყოთ, რომელთა შორის ერთი იქნება 1) ორთოგრაფიული და 2) სტილისტიური. მართალია, ხანდახან ასახელებენ კიდევ მესამე გვარსაც—სინტაქსიურს, მაგრამ რამდენადაც აქ საქმე გვაქვს სიტყვების მიზანშეწონილ შერჩევასა და მათ ურთი-ერთ შორის დაკავშირებასთან, ეს უკანასკნელი შეიძლება შევიტანოთ სტილისტიურ სავარჯიშოებში და მივაკუთნოთ მის კატეგორიას.

მართალია, ხშირად გაიგონებთ ქართული მართლწერის შესახებ, რომ ჭართულს ენაში ორთოგრაფიულ შეცდომებს ან სრულიად არა, ან და ძლიერ იშვიათად აქვს ადგილიო; რაც უფრო საყურადღებოა. ხშირად მასწავლებელთა წრიდანაც გაისმის ასეთი მსჯელობა, მაგრამ ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაბათილდეს ასეთი შეუსაბამო შეხედულება, რომ ამგვარი მართლწერისადმი არ შევასუსტოდ ჩვენი გულის ყური და ყურადღება.

ორთოგრაფიული მართლწერის დარღვევის ნიმუშებს საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს ჩვენს ცხოვრებაში და ამიტომ სათავეშივე უნდა იქნეს ეს მოვლენა მოსპობილი, რომ უკურნებელ სენად არ მოედვას იგი ჩვენს მწერლობას და მართლმეტყველებას.

ცხადია, ასეთი სათავე არის ჯერ უმთავრესად ოჯახი, მაგრამ მასთან საბრძოლველად არ მოგვეპოვება ფართო და რადიკალური საშუალება. აქ შეიძლება მხოლოდ ნაწილობრივ გავლენის მოხდენა. ამ მხრივ უფრო უტყუარი და საიმედო სარბიელია სასკოლო ასაკამდე აღზრდის დაწესებულებები (საბავშო ბაღები და სახლები) და თვით შრომის სკოლები. აი აქვე, ამ თავიდანვე უნდა იქნეს მიღებული სათანადო ზომები, რომ მუშაობის შემდეგმა მიმდინარეობამ მიიღოს ნორმალური ხასიათი და მსვლელობა.

ამ დაწესებულებათა თვითეულმა მუშაკმა, განსაკუთრებით ხელმძღვანელ-მასწავლებლებმა ერთ თავის უმთავრეს მიზნად ენის სისწორით შემუშავება და მისი დაყენება უნდა დაისახონ.

რა შეუწყობს ამას ხელს ორთოგრაფიული მართლმეტყველებისა და მართლწერის მხრივ?

ამის უტყუარ ფაქტორებად ჯერ-ჯერობით ცნობილია შემდეგი:

1) სიტყვების სწორი გამოთქმა, 2) მათი სისწორით გაგონება და 3) მართლწერის წესების შესწავლა.

ამ სამში ორი პირველი განსაკუთრებული ღირებულების შემცველი ფაქტორია. რაც შეეხება მესამეს, მასზედ დიდი იმედების დამყარება არ შეიძლება, მით უმეტეს, თუ იგი იქნა გაზეპირებული და შესწავლილი მშრალად, უსულგულოდ, უინტერესოდ,

ორთოგრაფიული წერითი სავარჯიშოების სახეები:

1. გადაწერა როგორც ხელნაწერი, ისე ნაბეჭდი ტექსტიდან. მაგრამ უპირატესობა ეძლევა ზედმიწევნითი სისწორით და ლამაზად დაწერილს ხელთნაწერს. გადაწერის დიდი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ის აჩვევს სწორი ნაწერიდან სწორ წერას. „სწორ წერას სწავლობენ ბავშები მხოლოდ სწორი წერითაო“, ამბობს ახალი მეთოდი და შეხედულება. და წერასაც სწორედ ეს ედება საფუძვლად.

2. თავისუფალი გადაწერა. შედარებით ეს ნაკლები ღირებულების სამუშაოა, მაგრამ მასაც მიმართავენ როგორც ერთ დამხმარე საშუალებას. მხოლოდ დასაწერი მასალა უნდა შეგნებულად და ნათლად იქნეს დამუშავებული მოწაფის მიერ, რომ შეცდომებს არ ჰქონდეს ადგილი. სწორედ ამ წინასწარ დაკვირვებულ მუშაობაშია დიდი ღირსება და არა თვით გადაწერის პროცესში, თუმცა ამასაც აქვს დიდი დადებითი მხარეები: მოწაფე ვარჯიშობს სწორ წერაში და ეჩვევა ლამაზ წერას.

თვით თავისუფალი გადაწერა კი გამოიხატება შემდეგში: მოწაფე კითხულობს დასაწერ ტექსტს (შეიძლება რამოდენიმეჯერაც) ხურავს წიგნს და სწერს ისე და იმნაირად, როგორც მას იგი დაამახსოვრდება.

გადაწერის დროს აუცილებლად დაცული უნდა იქნეს შემდეგი პირობები:

1) გადასაწერად შერჩეული ტექსტი უნდა იქნეს სრულიად ნაცნობი ბავშებისათვის და საკმაოდ პატარა, არა უმეტეს 3-4 პწკარისა;

2) წერა უნდა სწარმოებდეს საკმაოდ მსხვილი ხელით და რაც შეიძლება სუფთად და ლამაზად;

3) საჭიროა დამახასიათებელი ასოებისა და მარცვლების ხაზგასმა, ხანდახან მთელი სიტყვისაც.

4) რვეულების შეკრების დროს მოწაფეს უნდა მოეთხოვოს ახსნა-განმარტება საეჭვო სიტყვის დაწერის შესახებ: რატომ დასწერა ეს სიტყვა ასე და არა სხვანაირად. (შეიძლება ეს მომენტი განხილული იქნას რვეულების გასწორების დროს).

3. ორთოგრაფიული წერითი სავარჯიშოს მესამე სახედ შეიძლება დავასახელოთ კარნახი, თუმცა მას დღევანდელს სკოლაში მეტად სკეპტიკურად უყურებენ, ზოგიერთი მეთოდისტები კი სრულიად უარყოფითად. „სმენითი კარნახი, განსაკუთრებით შემოწმებითი (проверочный) არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს ისეთს საშუალებად, რომელიც შეასწავლის სწორ წერასაო“.

„კარნახი შეიძლება მხოლოდ იმისი, რასაც მოწაფეები დასწერენ უეჭველის სისწორითაო“, ამბობს თავის წიგნში პროფ. ტომსონი (იხ. მისი „К теории провописания“) კარნახის სხვადასხვა სახეთა შორის ცნობილია, როგორც სასარგებლო და დადებითი სამუშაო, **გაფრთხილებითი კარნახი** (предупредительный), როცა მოწაფეს მიუთითებენ ამა თუ იმ შესაძლო შეცდომაზე, გააფრთხილებენ მას, დააკვირვებენ და შემდეგ აწერინებენ.

მიმართავენ აგრეთვე თავისუფალ კარნახსაც, ე. ი. მოწაფეს მოასმენინებენ მთელ დასაწერ ტექსტს და შემდეგ იგი დასწერს ისე, როგორც დაიხსომებს. მაგრამ ეს სახე კარნახისა არ არის ცნობილი მაინცადამაინც მიზანშეწონილად.

სტილისტიური ან უმაღლესი ხასიათის წერითი სავარჯიშოები.

დღემდე არსებობს ასეთი სავარჯიშოების შემდეგი სახეები;

1) წაკითხულის გადმოცემა ჯერ დაწვრილებითი კითხვების საშუალებით, შემდეგ კი ზოგადი კითხვების დახმარებით;

2) წერა წაკითხულისა გეგმისა და ფორმის დაცვით, კითხვების დახმარებით და შემდეგ ამ კითხვათა გარეშე;

3) წაკითხულის წერა გეგმის დაცვით, მაგრამ ფორმის შეცვლით (დიოლოგიური ფორმის შეცვლა მონალოგიურით და პირიქით);

4) წერა ისეთი წაკითხული მასალისა, სადაც იცვლება გეგმა და ფორმა (მაგალითად მოთხრობა მომქმედი პირის მიერ პირველს ან მესამე პირში);

5) წაკითხულის შემოკლება, კონსპექტურად გადმოცემა;

6) მოკლე მოთხრობა—სტატიის გავრცელება, ფართოდ გადმოცემა;

7) შედგენა მოთხრობისა წაკითხულის მიხედვით (ბაძვა);

8) წარმოებიდან ნაწილების ამოღება (აღწერა ან დახასიათება);

9) აღწერის ან მოთხრობის შედგენა მოცემული მასალისა და გეგმის მიხედვით;

10) დამოუკიდებელ თხუზულებათა წერა განსაზღვრულ თემაზე.

გარდა ამისა, სწავლების პირველი სამი წლისათვის ფრიად სასარგებლო სავარჯიშოებად სთვლიან ისეთს სამუშაოს, რომელიც წინ უნდა უძღოდეს წერით თხზულებებს.

ზეპირი თხზულება წერითი თხზულების მოსამზადებლად.

ამგვარ სავარჯიშოებს შემდეგი სახის სამუშაო შეადგენს:

1) ზეპირი რედაქცია ორი-სამი წინადადებისა ნაცნობი სურათის შესახებ;

2) პატარა მოთხრობის რედაქცია სურათის მიხედვით;

3) მისი დაწერა დაფაზე მასწავლებლის მიერ მოწაფეთა კარნახით;

4) ამ დაწერილის გადმოწერა მოწაფეთა მიერ, რაც იწარმოებს სრულის შეგნებით და არა მექანიკურად;

5) პაწია მოთხრობათა დამუშავებული ზეპირი რედაქციის უშუალოდ ჩაწერა რვეულებში და

6) კითხვის გაკვეთილებზე დამუშავებული სტატიების გეგმათა ჩაწერა (კონსპექტის სახით).

წერითი სავარჯიშოები ამერიკულ სკოლაში.

ამერიკულ სკოლაში წერით ვარჯიშობას იწყებენ საკუთარი აზრების დამოუკიდებელი წერით.

აქ წერა ემსახურება თავისუფალი შემოქმედებითი ნიჭისა და მიდრეკილების განვითარებას და არა მეხსიერების ცენტრის ვარჯიშობას, როგორც ეს იყო და არის ძველ სკოლაში.

ახალ სკოლის წერითი სავარჯიშოების მიზნებია ბავშის მეტყველების ცენტრების განვითარება და მისი სამსახური.

წერითი სავარჯიშოების დანიშნულება და ხასიათი შრომის სკოლებში.

ამავე პრინციპზეა აგებული წერითი სავარჯიშოები შრომის სკოლებშიც. მისი მიზანია სრულიად თავისუფალი და დამოუკიდებელი მუშაობის წარმოების მიღწევა, იმ მუშაობისა, რომელსაც აქვს წმინდა შრომა-საქმიანობის ხასიათი და არა მარტოოდენ ვარჯიშობისა. ვარჯიშობა ამგვარ მუშაობაში თავისთავად იქნება, იწარმოებს, და მისცემს მოწაფეს სათანადო შეჩვევებს, აუცილებელ ცოდნას აზრის წერითი საშუალებით გამოხატვისას.

ამიტომ ყველა ზემოდ ჩამოთვლილ წერითი სამუშაოების სახეებს წინ უნდა უძღოდეს თითო-ოროლა სიტყვა და ამდენივე საქმიანი, პრაქტიკული წინადადება ბავშის ყოფა-ცხოვრებიდან და მისი მუშაობიდან.

აქ იქნება საგნების სახელების წერა, მოქმედებათა აღნიშვნა, დაკვირვებათა ჩაწერა, პაწია დღიურების წარმოება და სხვადასხვა.

ერთი სიტყვით წერა უნდა დაუკავშირდეს, მუშაობის დაწყების პირველი მომენტიდანვე, საერთო საგეგმო-საპროგრამო მუშაობას.

წერითი სამუშაოს გასწორება.

წერითი სამუშაოს გასწორება სწარმოებს სამი უმთავრესი თვალსაზრისით.

ერთია ორთოგრაფიული, მეორე—სტილისტიური; მესამე კი—გასწორება შინაარსის მიხედვით.

მართალია, წერითი სამუშაოს გასწორების მომენტს ამ ბოლო დროს არ აძლევენ დიდ მნიშვნელობას მეთოდური ლიტერატურის თეორეტიკოსები, მაგრამ, ყოველს შემთხვევაში, უდავოდ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ასეთმა შეხედულებამ ძლიერ დასწია და ჩამოაქვეითა ისედაც დაცემული მართლწერის გამოსწორების საკითხი. ამის მიხედვით უკვე შეიქმნა ტრადიცია წერითი ნაშრომის გაუსწორებლობისა და მასწავლებელთა დიდი ნაწილი თითქმის სრულიად უყურადღებოდ სტოვებს მუშაობის ამ ფრიად მნიშვნელოვანსა და მეტად სერიოზულ მხარეს. მოწაფეები უშვებენ ურიცხვ შეცდომებს, მათ ამაზე არავინ უთითებს, და ისინიც დაუსრულებლად აშენებენ ძველ შეცდომათა საფუძვლებზე ახალ შეცდომებს.

ამ გარემოებას აუცილებლად დროზე უნდა მოეღოს ბოლო, რომ ამ მხრივ წარმოებული სასკოლო მუშაობა, უზომო დროისა და ენერგიის ხარჯვა არ იქნეს უსარგებლოდ და უშედეგოდ ჩატარებული.

მართალია, ჯერ უარყოფილია წერითი სამუშაოს გასწორების ზოგიერთი ძველი წესი, რაც, ჩემი აზრით, კიდევ მოითხოვს განხილვას და გადასინჯვას, მაგრამ, ესეც რომ არის, **არის ორი მთავარი საშუალება ნაწერის გასწორებისა,** რომელიც სრულიად მიზან შეწონილად და მეტად სასარგებლოდ შეიძლება გამოიყენოს მასწავლებელმა. ესენია:

1. შეცდომების ამოწერა მასწავლებლის მიერ (ცალკე თავის წიგნში) და მათ შესახებ საუბრის გამართვა ჯგუფთან.

2. ამერიკული წესი გასწორებისა: ასწორებენ თვით სამუშაოს შემსრულებლები და ამ საქმეს აწარმოებენ შემდეგ ნაირად.

მოწაფეები კითხულობენ მათ მიერ შესრულებულ ნაწერს სამ-სამჯერ და თვითეული წაკითხვის დროს ისახავენ ხხვადასხვა მიზნებს:

1) პირველ შემთხვევაში უკვირდებიან დაწერილს შინაარსის სისწორის შემოწმების თვალსაზრისით;

2) მეორე შემთხვევაში—სტილის მხრივ და

3) მესამეში—ორთოგრაფიული მიზნით.

უეჭველია, ასეთი მუშაობა—შეცდომების ამოწერა მასწავლებლის მიერ და სამ-სამჯერ წაკითხვა ნამუშევარისა—დიდს შრომას, დროსა და ენერგიას მოითხოვს მასწავლებლებისა და მოწაფეთაგან, მაგრამ ნაყოფიერების მხრივ, მუშაობაც გაცილებით უკეთ იქნება ანაზღაურებული და მიზანიც სასურველად მიღწეული.

გ. წიფურია.

დალტონ-გეგმა და ქართველ გავშთა ლოგიურ ფუნქციების და კრიტიკის უნარის განვითარების საკითხი

(მასალები)

(დასასრული*)

II

გადავიდეთ მოწაფეთა ნამუშავარის განხილვაზე. დავიწყოთ პირველი ტესტიდან. როგორია ჩვენი მოწაფეების კრიტიკის უნარი? მოწაფის უნარიანობა ახალ ფაქტებს შორის გამართული მიზეზობრივი დამოკიდებულების აღნიშვნაში აშკარავდება. როგორც აღნიშნული გვჭონდა, კრიტიკის იუნარის გამოსარკვევად მოწაფეებს მივეცით მოთხრობის სახით მთელი რიგი აზრებისა, რომელნიც შეუსაბამოდ არიან დაკავშირებული. მოწაფეებს უნდა აღმოეჩინათ შესაბამობა მათ შორის. რომ შეამჩნიოს მოზარდმა მოცემულ წინადადებათა კონტექსტში შეუსაბამობა, არ კმარა მარტო ცოდნა იმისა, მაგალითად, რომ წიწვიან ტყეს ფოთლები არ ასხია, რომ ხუთ წუთში მაწონი და ყველის დამზადება შეუძლებელია, რომ ჰაერზე წარწერის გაკეთება არ შეიძლება. ცალკალკე ის, რაც ტესტშია მოცემული, თითქმის ყოველ 4, 5, 6 და 7 ჯგუფების მოწაფემ კარგად იცის, მიუხედავად ამისა დავალებას მხოლოდ 36 პროც.—56 პროც. ასრულებს. არამედ გარდა ცოდნისა საჭიროა კრიტიკის უნარის განვითარება ჩემის აზრით სწავლების მეთოდზე ძალიანაა დამოკიდებული. რა სახის კრიტიკას უკეთებენ მოწაფეები, როგორია მათი აზროვნების ფორმები?

აი ნიმუშები:

1. ა) „თუ წინა ღამეს წვიმა იყო, ქუჩები, რასაკვირველია, დასველებული და ლაფიანი იქნებოდნენ; რა მუაშია აქ „მიუხედავად იმისა“ (7 ჯგ.)**).

ბ) „მიუხედავად იმისა“—ზედმეტია (6 ჯგ.).

გ) „შეიძლება—მიუხედავად იმისა—გამოეტოვოთ; აზრი უფრო სწორად იქნება გამოთქმული“ (7 ჯგ.).

უნდა აღინიშნოს, რომ ამ შეუსაბამობას მე-4 და ე-5 ჯგუფების მოწაფეები იშვიათად ამჩნევენ.

2. ა) „ფიჭვნარი ზამთარ-ზაფხულ მწვანეა, არასოდეს არ ფოთლდება“ (6 ჯგ.).

ბ) „ფიჭვნარს ფოთლები არა აქვს“ (6 ჯგ.).

გ) „ფიჭვს წიწვები აქვს და არა ფოთლები“ (5 ჯგ.).

დ) „ფიჭვნარი ზამთარ-ზაფხულს ამწვანებულია“ (4 ჯგ.).

3. ა) „წიწვიან ტყეს ზაფხულშიაც და ზამთარშიაც წიწვები ასხია, რა საჭიროა აქ სიტყვები: „რა კარგი სანახავი იქნება ეს ტყე ზაფხულში, როდესაც ხეები მწვანე ფოთლებით იქნება შემოსილი“ (5 ჯგ.).

ბ) „წიწვიან ტყეში ზაფხულში ცოტაოდენი ცვლილება მოხდება, მაგრამ იმდენი არა, რამდენიც ფოთლოვან ტყეში“ (7 ჯგ.).

გ) „ზაფხულში ფიჭვნარი ისეთივე იქნება შესახედავად, როგორც მარტში“ (5 ჯგ.).

4. ა) „თუ ბაჭია სულ უფრო სწრაფად გარბოდა, როგორ დაეწეოდენ და დაიჭერდნენ“. (4 ჯგ.).

ბ) „თუ ბაჭია უფრო სწრაფად გარბოდა, რამდენიმე ხნის შემდეგ უფრო შორს გაიქცეოდა“ (5 ჯგ.).

გ) „ვერ დაეწეოდა. რომ ვიცოდე,—რამდენს გარბოდენ წუთში ბაჭია და ყმაწვილი. მე თქვენ გეტყოდით საათის შემდეგ რა მანძილზე იქნებოდა დაშორებული ბაჭია ყმაწვილისაგან. ასეთი ამოცანა არა ერთი გამომიყვანია“. (7 ჯგ.).

დ) „კურდღელს ვერ დაეწეოდა, კურდღელი კი მოწაფეს ადვილად დაეწეოდა, რადგან უფრო სწრაფად გარბოდა“ (6 ჯგ.).

5. ა) „მარტში პურს არა მკიან“.

ბ) „მარტში ყანა არავის მოუმკია, შეიძლება სხვა ქვეყანაში მკიან, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში მკათათვეში მკიან“ (6 ჯგ.).

გ) „ მარტში ჯერ კიდევ ჯეჯილია, რა უნდა მომკან“? (5 ჯგ.).

დ) „ზევით ნათქვამია მარტში: წაეედით საექსკურსიოთო, მერე პურის მკას უყურეთო. შეცდომაა. განა პურს მარტში მკიან? შეიძლება მკათათვემდე სულ იმოგზაურენ“. (6 ჯგ.).

6. ა) „თუ ეკლესია დაიწვა, გუმბათიც დაიწვებოდა;—რაზე უნდა გაეკეთებიათ წარწერა“? (5 ჯგ.).

---

*) იხ „საქ. გან. მუშაკი“ № 12.

**) ყველა ქვემო მოყვანილ ტექსტებში, სადაც შეცდომა იყო მართლწერა შესწორებულია.

ბ) „ჰაერზე ხომ არ გააკეთებდნენ წარწერას“? (7 ჯგ.).

გ) „თუ ეკლესია დაიწვა მარტო გუმბათი დარჩა“? (6 ჯგ.).

დ) „იმ ადგილს, სადაც გუმბათი ყოფილიყო, წარწერა გაეკეთებიათო, შეცდომაა—წარწერას ჰაერზე ხომ ვერ გააკეთებდენ; ექსკურსიის დროს გუმბათი არ იქნებოდა“ (6 ჯგ.).

7. ა) „თუ მაწონი და ყველი არ ჰქონდათ დამზადებული, ხუთ წუთში როგორ დამზადებდენ“.

ბ) „შეცდომაა—მაწონის დამზადებას, სულ ცოტა, ნახევარი დღე მაინც უნდა“ (5 ჯგ.).

გ) „მაწონს და რძეს ძროხები ხომ არ მოიტანდენ ზურგით“.

დ) „ხუთი წუთი მაწონის ჩასადედებლად არ კმარა“ (5 ჯგ.).

8. ა) „თუ გორაკზე წავიდნენ, იქითობას აღმართი ექნებოდათ, აქეთობას კი დაღმართი; მაშასადამე, უფრო ადვილად ჩამოვიდოდნენ“ (6 ჯგ.).

ბ) „გორაკზე ასვლა უფრო ძნელია, ვიდრე ჩამოსვლა; გზას დიდხანს რად მოუნდებოდნენ“? (6 ჯგ.).

ვ) „თუ გორაკზე ავიდნენ, დაბოლოს ცოტა დაღმართიც გაიარეს, აქეთობას სულ. აღმართი რად ექნებოდათ? მე მგონია უფრო ადვილად უნდა ჩამოსულიყვნენ“ (7 ჯგ.).

დ) „შეცდომაა—დაბრუნებისას ცოტა აღმართი უნდა გაევლოთ, მეტი წილი კი დაღმართი; უფრო ადვილი სასიარულო ექნებოდათ“ (5 ჯგ.).

9. ა) „განა საღამოს ხის ჩირდილი მოკლდება“? (6 ჯგ.).

ბ) „ხის ჩრდილები დილიდან შუადღემდე მოკლდება, ნაშუადღევისას გრძელდება“ (4 ჯგ.).

გ) „ ტყუილია; ასე უნდა ეწეროს: „ხის ჩრდილი ნელ-ნელა გრძელდებოდა“ (6 ჯგ.).

დ) „მე ასე მინახავს: ხეების ჩრდილები საღამოს სულ უფრო და უფრო გრძელდება“ (5 ჯგ.).

10. ა) „ნათქვამია—ნისლი შორს არ იფანტებოდა, მარტო ისინი იყვნენ გახვეულნი. მერე ნათქვამია—ახლო საგნები სულ არ მოსჩანდა, სამაგიეროდ მოშორებულ სოფლებს და ტყეებს მშვენივრად ვხედავდითო. ახლოს ვერ ხედავდნენ შორს როგორ დაინახავდნენ“? (6 ჯგ.).

ბ) „სქელი ბურუსითაც, ახლო საგნების გარჩევა ცოტათი შეიძლება, მაგრამ მოშორებულის კი ვერა“ (6 ჯგ.).

გ) „ტყუილია,— მოშორებულს სულ ვერ დაინახავდნენ“ (4 ჯგ.).

დ) „თუ მოშორებულს კარგად ხედავდნენ, ახლობელს უკეთესად არ დაინახავდნენ“? (6 ჯგ.).

ჩვენ გვაინტერესებდა: ა) რამდენად დასაძლევია ზემომოყვანილი ტესტის მიცემული ინსტრუქციის თანახმად დამუშავება ჩვენი სკოლების 4, 5, 6 და 7 ჯგუფების მოწაფეთათვის, რომელთა წლოვანობა 10, 11, 12, 13, 14, 15 და 16 უდრის.

ბ) არსებობს თუ არა განსხვავება ჯგუფებს შორის. ე. ი. ვითარდება თუ არა კრიტიკის უნარი ცოდნის გაფართოებასთან ერთად?

გ) ვითარდება თუ არა კრიტიკის უნარი ჰასაკის მიხედვით?

დ) არსებობს თუ არა განსხვავება ქალებსა და ვაჟებს შორის?

ე) როგორია თვითოეულ ჯგუფის შემადგენლობა, ე. ი. რამდენად განსხვავდებიან ერთი და იმავე ჯგუფის მოწაფეები ერთმანეთისაგან კრიტიკის უნარით?

ვ) ახდენს თუ არა ზეგავლენას მოზარდის კრიტიკის უნარის განვითარებაზე მშობელთა სოციალური მდგომარეობა (პროფესია, უზრუნველყოფილი მდგომარეობა და სხ.).

და ზ) არის თუ არა განსხვავება პირველსა და მეორე ტიპის სკოლების მოწაფეთა შორის და რამდენად შესამჩნევია ეს განსხვავება?

შედეგების გამოყვანისათვის შეცდომა იქნებოდა გვეხელმძღვანელა კერძო შემთხვევებით. არის შემთხვევები და საკმაოდ მნიშვნელოვანი, რომ მე-6 ჯგუფი მიცემული დავალების 50—60 პროც. ასრულებს, მე-7 ჯგუფი კი 70—80 პროც. ასეთი შემთხვევების კერძოდ განხილვა ძალიან შორს წაგვიყვანდა. ეს გადავდევით იმ დროისათვის, როცა მოწაფეთა ინდივიდუალურ დახასიათებას შეუდგებით. ზემოხსენებული სკოლების მოწაფეებთან მუდმივი კავშირი გვექნება, რომელიც შეძლებას მოგვცემს სხვა ცდების საშუალებით მათი ფსიქიური რაობის გაგებას. ამ შემთხვევაში ვილაპარაკებ საშუალო არითმეტიკული ენით. რამდენ უაზრობას აკრიტიკებს საშუალოდ ამა თუ იმ ჯგუფის მოწაფე? ტესტის დამუშავებიდან ჩვენს წინ შემდეგი სურათი იშლება:

1-ლი ტიპ. სკოლ.	4 ჯგ.	საშ. 3,6	უაზრ. აკრ. მართებ.
—„—	5 —„—	4,2	—„—
—„—	6 —„—	5	—„—
—„—	7 —„—	5,4	—„—
ხოლო მე-2 ტიპ. სკ.	4 —„—	3,4	—„—
	5 —„—	4	—„—
	6 —„—	4,8	—„—
	7 —„—	4,9	—„—


მოყვანილ საშუალო მონაცემებს შემდეგი სახის გამოანგარიშება უძევს საფუძვლად: გამოანგარიშებულია ერთ სკოლაში მთელმა ჯგუფმა რამდენი შეუსაბამობა შეამჩნია და გააკრიტიკა მართებულად. ეს რიცხვი გაყოფილია ჯგუფის მოწაფეთა რიცხვზე. ამგვარად მიღებულია ჯგუფისათვის საშუალო რიცხვი; ასე გამოანგარიშებულია მეორე და მესამე სკოლების იმავე ჯგუფების საშუალო არითმეტიკული. მათი ჯამი გაყოფილია სამზე და ასეთნაირად აღებულია ერთი ტიპის სკოლის ერთი ჯგუფის საშუალო არითმეტიკული.

საშუალოდ ესა თუ ის ჯგუფი დავალებათა რამდენ პროცენტს ასრულებს მართებულად? სურათი ასეთია:

1. ტიპის სკოლა.		2. ტიპის სკოლა.	
მე-IV ჯგუფ.	—36%.	მე-IV ჯგუფ.	—34 %
მე-V „	42 „	მე-V „	40 „
მე-VI „	52 „	მე-VI „	48 „
მე-VII „	54 „	მე-VII „	49 „

მაშასადამე, ჩვენი შვიდწლედის IV—VII ჯგუფების მოწაფეები მოცემულ დავალების საშუალოდ მხოლოდ 35%—55% ასრულებენ მართებულად.


როგორია განსხვავება ჯგუფების შორის ზემოხსენებული ცხრილები და შემდეგი დიაგრამები ამაზე ნათელ პასუხს გვაძლევს:



დიაგრ. I.

1—პირველი ტიპის სკოლა

2—მეორე „ „



დიაგრ. II.

1— პირველი ტიპის სკოლა
2—მეორე ტიპის სკოლა

როგორც ვხედავთ, განსხვავება ჯგუფებს შორის დიდია (პირველ დიაგრამაში მოცემულია დავალებულ სამუშაოს შესრულების საშუალო რაოდენობა. ხოლო მეორეში დამუშავების პროცენტული გამოანგარიშება. ორივე ტიპის სკოლების მრუდეა მოცემული. 1 ნიშნავს პირველი ტიპის სკოლას 2— მეორე ტიპის სკოლას). კრიტიკის უნარი ჯგუფების მიხედვით თანდათან მატულობს. თუ IV ჯგუფის მოწაფეები 36% სწყვეტენ მიცემულ ტესტს, V ჯგუფის—42%, VI—50%—და მე-VII—54%. ასეთი ტემპით მატულობს კრიტიკის უნარი მეორე ტიპის სკოლებშიც: მე-IV ჯგუფი 34%—სწყვეტს სამუშაოს, მე-VII-კი—49%. ეს გარემოება იმას ამტკიცებს, რომ კრიტიკის უნარის განვითარებას ხელს უწყობს ცოდნის გაფართოება. ჩვენს ცნობიერებაში წარმოდგენათა მარაგის არსებობა კრიტიკის ხელის შემწყობ პირობას, საფუძველს წარმოადგენს. რასაკვირველია, ეს აზრი მხოლოდ ნაწილობრივ არის მართალი. ჩვენ ქვემოდ დავინახავთ, რომ კრიტიკის უნარი ჰასაკთან ერთადაც ვითარდება. რადგან მაღალ ჯგუფებში უფრო მაღალი ჰასაკის მოწაფეები სწავლობენ. ამისთვის VI—VII ჯგუფების კრიტიკის უმაღლესი პროცენტი არა მხოლოდ იმაზე არის დამოკიდებული რომ იქ მე-VII ჯგუფია, არამედ იმაზედაც, რომ მე-VII ჯგუფში უფრო მაღალი ჰასაკის მოწაფეები სწავლობენ.

რომ მართლა ჰასაკთან ერთად ვითარდება კრიტიკის უნარი, ამას შემდეგი ცხრილი ამტკიცებს:


პირველი ტიპის სკოლა.

10	წლ.	ქალ.	საშუალოდ	3,3	შეუსაბ.,	ე. ი.	დავალების	33%	აკრიტიკებენ	მართებულად
11	„	„	„	4,4	„	„	44	„	„	„
12	„	„	„	4,5	„	„	45	„	„	„
13	„	„	„	4,7	„	„	47	„	„	„
14	„	„	„	5,5	„	„	47	„	„	„
15	„	„	„	4,3	„	„	43	„	„	„
16	„	„	„	5,4	„	„	54	„	„	„
10	წლ.	ვაჟ.	საშუალოდ	3	უაზრ.,	ე. ი.	დავალების	30%	აკრიტიკებენ	მართებულად
11	„	„	„	3,7		„	37	„	„	„
12	„	„	„	4	„	„	40	„	„	„
13	„	„	„	4,7	„	„	47	„	„	„
14	„	„	„	5,2	„	„	52	„	„	„
15	„	„	„	5,2	„	„	52	„	„	„
16	„	„	„	6	„	„	60	„	„	„


მეორე ტიპის სკოლა.

10	წლ.	ქალ.	საშუალოდ	3	უაზრ.,	ე. ი.	მთელი დავ.,	3%	აკრიტიკებენ	მართებულად
11	„	„	„	4,3	„	„	„	43	„	„	„
12	„	„	„	5,3	„	„	„	53	„	„	„
13	„	„	„	4	„	„	„	40	„	„	„
14	„	„	„	4,6	„	„	„	46	„	„	„
15	„	„	„	3,9	„	„	„	39	„	„	„
16	„	„	„	4,4	„	„	„	44	„	„	„
10	წლ.	ვაჟ.	საშუალოდ	3,6	უაზრ.,	ე. ი.	მთელი დავ.,	36%	აკრიტიკებენ	მართებულად
11	„	„	„	4,4	„	„	„	44	„	„	„
12	„	„	„	4,5	„	„	„	45	„	„	„
13	„	„	„	3,9	„	„	„	39	„	„	„
14	„	„	„	4,5	„	„	„	45	„	„	„
15	„	„	„	4,9	„	„	„	49	„	„	„
16	„	„	„	5,2	„	„	„	52	„	„	„


ზემო მოყვანილ ცხრილებიდან და შემდეგი დიაგრამებიდან (მე-III-ე დიაგრამაში მოცემულია პირველი ტიპის სკოლის ქალების და ვაჟების მრუდე- ქალები წყვეტილი ხაზი—ვაჟები—უწყვეტი ხაზი: მეოთხე დიაგრამა გვიჩვენებს მეორე ტიპის სკოლის ქალების და ვაჟების განვითარების ტემპს. მეხუთე დიაგრამაში შედარებაა პირველი და მეორე ტიპის სკოლის ქალების, ხოლო VI—ვაჟების) ნათელია, რომ კრიტიკის უნარი ჰასაკთან ერთად თანდათანობით მატულობს. განვითარების ტემპი საერთოდ 13-14 წლამდე უფრო ჩქარია, ვიდრე შემდეგ.




დიაგრ. III.
პირველი ტიპის სკოლა.



დიაგრ. V.
ქ.ლები { 1—პირველი ტიპის სკოლა. 2—მეორე ტიპის სკოლა.



დიაგრ. IV.
მეორე ტიპის სკოლა.



დიაგრ. VI.
ვაჟები { 1—პირველი ტიპის სკოლა. 2—მეორე ტიპის სკოლა.

საინტერესო იქნებოდა გაგვეგო, 16 წლის ზევით როგორი ტემპით მიდის წინ ამ უნარის განვითარება. სამწუხაროდ, დამუშავებულ ტესტებიდან ამის გაგება შეუძლებელია, რადგან ცდაში იღებდნენ მონაწილეობას მხოლოდ 16 წლამდე. თუ შევადარებთ ქალების და ვაჟების განვითარების ტემპს, დავინახავთ, რომ 13-14 წლამდე კრიტიკის უნარით ქალები ვაჟებზე მაღლა სდგანან. ხოლო 14 წლიდან ქალების განვითარება ჩერდება, როგორც ვხედავთ, მრუდე ძირსაც-კი იწევს. ვაჟების კრიტიკის უნარი კი ისეთივე ტემპით განაგრძობს განვითარებას, როგორც 14 წლამდე. ამ გვარად, თუ 13-14 წლამდე ვაჟები ქალებზე დაბლა იდგნენ, 14 წლიდან ვაჟები უსწრებენ ქალებს. რომელ ჰასაკამდე განაგრძობს ასეთი ტემპით განვითარებას ვაჟების გონება ზემოხსენებული მიზეზისა გამო დამუშავებულ ტესტებიდან არ შეგვიძლია გავიგოთ.

რამდენად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ერთი და იგივე ჯგუფის მოწაფეები, რამდენად კრიტიკის უნარი ერთფეროვანია ან მრავალფეროვანია მათში. ჩვენ ზემოდ გამოვარკვიეთ, თუ როგორია კრიტიკის საშუალო დონე ამა თუ იმ ჯგუფში, ახლა გამოვარკვიოთ: ჯგუფის რამდენი პროცენტი დავალების როგელ პროცენტს ასრულებს მართებულად. დავიწყოთ მე-IV ჯგუფიდან.

პირველი ტიპის სკოლა.

IV. ჯგუფი

მოწაფეთა 3,5 % დავალების 10% სრულებს მართებულად.
„ 12,2 „ „ 20 „ „ „
„ 33,3 „ „ 30 „ „ „
„ 22,8 „ „ 40 „ „ „
„ 15,7 „ „ 50 „ „ „
„ 9,7 „ „ 60 „ „ „
„ 1,7 „ „ 70 „ „ „
„ 0,8 „ „ 80 „ „ „

V ჯგუფი.

მოწაფეთა 0,8 % დავალების 10% ასრულ.
„ 14,4 „ „ 20 „ „
„ 15,7 „ „ 30 „ „
მოწაფეთა 23,5% დავალების 40% ასრულ.
„ 15, „ „ 50 „ „
„ 18,4 „ „ 60 „ „
მოწაფეთა 8,7% დავალების 70% ასრულ.
„ 3,4 „ „ 80 „ „
„ 2,6 „ „ 90 „ „

VI ჯგუფი.

მოწაფეთა	0,7%	დავალების	10%	ასრულ
„	3 „	„	20 „	„
„	12,3 „	„	30 „	„
„	22,3 „	„	40 „	„
„	32,3 „	„	50 „	„
„	10. „	„	60 „	„
„	7,7 „	„	70 „	„
„	8,5 „	„	80 „	„
„	1,5 „	„	90 „	„
„	1,5 „	„	100 „	

VII ჯგუფი.

მოწფეთა	6,2%	დავალების	20%	ასრულ.
„	6,2 „	„	30 „	„
„	14 „	„	40 „	„
„	26,5 „	„	50 „	„
„	18 „	„	60 „	„
„	20,3 „	„	70 „	„
„	18 „	„	60 „	„
„	6,2 „	„	90 „	„

მეოთხე ტიპის სკოლა.

IV. ჯგუფი.

მოწაფ.	1,5%	დავალების	0%	ასრულ.
„	4,7 „	„	10 „	„
„	7,8 „	„	20 „	„
„	38 „	„	30 „	„

მოწ.	26,5%	დავალების	40%	ასრულ.
„	14,2 „	„	50 „	
„	6,3 „	„	60 „	
„				

V ჯგუფი.

მოწაფ.	3,5%	დავალ.	0%	აკრიტიკ.
„	10,5 „	„	20 „	„
„	14 „	„	30 „	„
„	29,4 „	„	40 „	„
„	24 „	„	50 „	„
„	4,7 „	„	60 „	„
„	9,4 „	„	70 „	„
„	1 „	„	80 „	„

VI ჯგუფი.

მოწაფ.	1,2%	დავალ.	0%	ასრულებს
„	1,2 „	„	10 „	„
„	3,5 „	„	20 „	„
„	9,4 „	„	30 „	„
„	22,3 „	„	40 „	„
„	25,8 „	„	50 „	„
„	16,4 „	„	60 „	„
„	16,4 „	„	70 „	„
„	2,3 „	„	80 „	„
„	1 „	„	90 „	„

7 ჯგუფი.

მოწაფ.	1,3%	დავ.	0%	ასრულებს.
„	3,9 „	„	20 „	„
„	17 „	„	30 „	„
„	24,4 „	„	40 „	„
„	33,7 „	„	50 „	„
„	17 „	„	60 „	„
„	3,9 „	„	70 „	„
„	3,9 „	„	80 „	„

როგორც მოყვანილი ნუსხებიდან და მე-VII და VIII დიაგრამებიდან (მე-VII და VIII დიაგრამებში ვერტიკალურ ხაზზე მოწაფეთა რაოდენობა პროცენტულად—მაგალითად: ვერტიკ. 32,5 ნიშნავს ჯგუფის საერთო რიცხვის 32,5% „. ხოლო ჰორიზონტალურზე აღნიშნულია მართებულად შესრულებულ დავალებათა რაოდენობა—ესეც პროცენტულად, მაგ:; 40—ნიშნავს—მოწაფეს ან ჯგუფს. შესრულება მართებულად მთელი დავალების 40%), სჩანს არც ერთი ჯგუფი გონებრივი განვითარების მხრივ ერთფეროვანი არ არის.

მე-IV ჯგუფის მოწაფეთა ნაწილი კრიტიკის უნარით შეედრება მე-VII ჯგუფის მოწაფეებს. ეს გვხვდება არა გამონაკლისის სახით, არამედ ხშირად. მაშასადამე ანგარიში უნდა გაუწიოთ. ეს ნაწილობრივ გვეუბნება, რომ კრიტიკის უნარის დონე მარტო წარმოდგენათა მარაგზე, ცოდნაზე არ არის დამოკიდებული (ამაზე უფრო დაწვრილებით ქვემოდ მექნება ლაპარაკი, როცა გავარკვევ რა სახის კორელაცია არსებობს კრიტიკის უნარის დონესა და სასკოლო საგნების კარგად შეთვისების შორის: ვინც სასკოლო საგნებს კარგად ითვისებს, ის კრიტიკის უნარით მაღლა უნდა იდგეს თუ არა?). აქ ვიტყვი მხოლოდ შემდეგს: მარტო ცოდნაზე რომ იყოს დამოკიდებული კრიტიკის უნარის დონე, როგორ დავიჯეროთ, რომ მე-VII ჯგუფის მოწაფეს, როგორც სუსტად არ უნდა იყოს ის მომზადებული, წარმოდგენათა მარაგი ნაკლები ქონდეს, ვიდრე მე IV ჯგუფის, თუნდაც საუკეთესო მოწაფეს! 2) ეს გარემოება მჭერმეტყველურად ამტკიცებს იმას, თუ რამდენად დიდ დანაშაულს და უნაყოფო შრომას წარმოადგენს ძველი სისტემით მეცადინეობა, როცა ჯგუფის ყველა მოწაფეს დაახლოვებით ერთნაირ ფორმებში ეძლევა ახალი ცოდნა.

მიუხედავად იმისა, რომ ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მუშაობის ტემპით, მომზადებით, ნიჭით. ამ საკითხს დიდ ანგარიშს უწევს ელენ პარკჰერსტის სისტემა (დალტონ-გეგმა), რომლის შესახებ ამ წერილის ბოლოს მექნება საუბარი..


ზემო ნათქვამიდან, მარტო კრიტიკის უნარის დონის გამოსარკვევი ტესტის შედეგებს თუ მივიღებთ მხედველობაში, შემდეგი ხასიათის შედარება შეგვიძლია მოვახდინოთ პირველი და მეორე ტიპის სკოლებს შორის:

1. კრიტიკის უნარით პირველი ტიპის სკოლების ყოველი ჯგუფი მაღლა სდგას, ვიდრე მეორე ტიპის სკოლების იმავე ჯგუფი (იხილეთ ზემო მოყვანილი ცხრილები და დიაგრამები I, II, III, IV, V, VI, VII, VIII).

2. მარტო ჰასაკს თუ მივაქცევთ ყურადღებას პირველი ტიპის სკოლის განსაზღვრული ჰასაკის მოწაფე (ვაჟია თუ ქალი) მაღლა სდგას კრიტიკის უნარით ვიდრე მეორე ტიპის სკოლის იმავე ჰასაკის მოწაფე (მე-III IV V VI დიაგრმები და მასთან დართული ცხრილები).

3. პირველი ტიპის სკოლის მოწაფე უფრო ჩქარის ტემპით მუშაობს, ვიდრე მეორე ტიპის სკოლის მოწაფე.


4. დამოკიდებულება სამუშაოსადმი უფრო ხალისიანი და სერიოზულია (თუ კერძო შემთხვევებს არ მივი-



დიაგრ. VII.

პირველი ტიპის სკოლა

წვრილი უწყვეტი ხაზი— VI ჯგუფი.
V ჯგუფი.
VI ჯგუფი.
მსხვილი უწყვეტი ხაზი— VII ჯგუფი.



დიაგრ. VIII.

მეორე ტიპის სკოლა.

წვრილი უწყვეტი ხაზი— IV ჯგუფი.
V ჯგუფი.
VI ჯგუფი.
მსხვილი უწყვეტი ხაზი—VII ჯგუფი.

ლებთ მხედველობაში) პირველ ტიპის სკოლებში, ვიდრე მეორეში.

5. ზემოხსენებული განსხვავება ამ ორ ტიპის სკოლებს შორის შედეგია არა მხოლოდ იმისა, რომ ისინი სხვადასხვა სისტემაზე არიან აგებულნი, არამედ აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე სკოლის ხელმძღვანელს—თუ რამდენად იგი ნამდვილი პედაგოგია, დაინტერესებულია აღზრდისა და სწავლების საკითხებით. აგრეთვე ასეთივე მნიშვნელობა ეძლევა პედაგოგიურ პერსონალსაც. ამ მხრივ პირველი ტიპის სკოლები გაცილებით უკეთეს პირობებშია, ვიდრე მეორე ტიპის სკოლები.

თუნდაც ავიღოდ ასეთი შემთხვევა: ყოველი მასწავლებელი დაინტერესებული უნდა იყოს პედაგოგიურ საკითხებით, კერძოდ ბავშის ფსიქოლოგიის საკითხებით. პირველი ტიპის სკოლების როგორც გამგე, ისე მასწავლებლობა, გაცილებით მეტ ინტერესს იჩენენ ამ მხრივ, ვიდრე მეორეს. ჩვენი მიზნის გაგების შემდეგ პირველი ტიპის სკოლების პედაგოგიური პერსონალი ძალიან იყვნენ დაინტერესებული ჩვენი ტესტებით, ამ ტესტებზე ბავშების მუშაობით. ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობდენ მუშაობის ინსტრუქციის თანახმად ჩასატარებლად. ხოლო

მეორე ტიპის სკოლებში ასეთი ვერა ვნახეთ (გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა); პირიქით, ერთი სკოლის გამგემ ასეთი სიტყვებით მიმართა ჩვენს დამხმარე პედაგოგიურ ინსტიტუტის მსმენელებს: „რას დაეხეტებით, განა ასეთ რამეებისთვის შეიძლება გავაცდინოთ მოწაფეებიო“?

თუ რაოდენი მნიშვნელობა აქვს მშრომელთა სოციალურ მდგომარეობას მოწაფეთა საერთო გონებრივ განვითარებაზე, კერძოდ კრიტიკის უნარის განვითარებაზე, ამის ვამოსარკვევად უფრო მეტი მასალა მექნება მეორე და მესამე სახის ტესტების შედეგების დამუშავების შემდეგ, ამიტომ აქ არაფერს ვიტყვი.

ი. ჯიშკარიანი.

მათემატიკის საფუძვლები

კუთხესა და განყენებულ რიცხვთა შორის ფუნქციონალური დამოკიდებულება და ამ უკანასკნელის სამკუთხედთა გადასაწყვეტად გამოყენება.

მეთოდიური ცდა.

წერილი პირველი.

წარსულ წელს დაიბეჭდა შვიდწლიანი შრომის სკოლის პროგრამები.

პროგრამები იმ ნაწილში, სადაც ტრიგონომეტრიაა შემოთავაზებული, ძალიან მომეწონა!

ზომიერი და მიზანშეწონილი შეზავება ცდიური და მსჯელობითი მასალისა და თვით ადგილიც, სადაც მოთავსებულია ტრიგონომეტრიის მასალა, ჩემთვის ცხადყოფდა, რომ პროგრამის შემდგენელებმა კარგად იცოდენ ის საღი დებულება, რომელიც გვეუბნება:

ტრიგონომეტრიის ბუნებრივი და ლოგიკური კავშირის გეომეტრიასთან დაცვა შესაძლებელია მხოლოდ ურთიერთ მსგავს სამკუთხედებთან დაკავშირებით საკითხის განხილვით, რადგანაც მსგავსების კოეფიციენტის ცნება ჩვენ ამ პირობებში საშუალებას გვაძლევს ტრიგონომეტრია გეომეტრიის ბუნებრივ განვითარებად ვაქციოდ.

ეს თვალსაზრისი დღეს მიღებულია როგორც მეცნიერებაში, ისე საგნის მეთოდიკაშიაც*).

ამით წახალისებული მე პროგრამის მიხედვით ტრიგონომეტრიის მასალის დამუშავებას შევუდექი და მთელი პირველი კონცენტრის თეორია და პრაქტიკა ერთ-ერთ სწორკუთხიან სამკუთხედზე ავაშენე, იმ სამკუთხედზე, რომელსაც ეგვიპტელები, დღევანდელი ყივთები, ტაძრის საფუძვლის ჩაყრისას ქრ. დაბადებამდე მე-20-ე საუკუნედან აღმოსავლეთისკენ მიმართულების გამოსარკვევად იყენებდენ და გეოდეზიის მარტივ საკითხების გადაწყვეტისას ამ სამკუთხედს დიდის სარგებლიანობით დღესაც ვიყენებთ: ეს ის სამკუთხედია, რომლის გვერდთა ურთი ერთი შეფარდება 3 : 4 : 5 უდრის.

მასწავლებელთათვის, დღევანდელ მძიმე და აუტანელ პირობებში, ჩვენის გაგებით, არ იქმნება უმნიშვნელო, თუ ჩვენ მათ გავაცნობთ ჩვენი შრომის საფუძვლებს ხან გაკვეთილის ტიპიური და სრული კონსპექტების და ხან კიდევ მეთოდიური შენიშვნების სახით.

ოფიციალური პროგრამა

VII ჯგუფი

ტრიგონომეტრიის პირველი კონცენტრი

1. მახვილი კუთხის ტრიგონომეტრიული ფუნქციები. ტრიგონომეტრიული ფუნქციების განზღვარება გაზომვით და ტრიგონომეტრიული საკუთხარით[1])**).

*) იხ. 275 გვერდი В. Мрочек и Ф. Филиппович: „Педагогика математики“ т. I.

**) პროგრამის ტერმინალოგია და მართლწერა სრულადაა დაცული.


ტერმინალოგია უნდა შესწორდეს, თანახმად სატერმინალოგიო კომიტეტის დადასტურებულ ტერმინებისა, ამგვარად: 1) საკუთხარი'ს მაგივრად მიღებულია—საკუთხე, ტრანსპორტირი; 2) მართ'ის—მაგივრად სწორკუთხიანი; 3) შემვსები'ს მაგივრად—დამატებითი, 4) სწორი ხაზის.

2. მოცემულ ტრიგონომეტრიულ ფუნქციებით კუთხის მოძებნა, საკუთხარის[1]) დახმარებით.
3. მართ[2]) სამკუთხედის ამოხსნა.
4. ნაკვეთის გეგმილის (პროექციის) ღერძზე გამოსახვა კუთხის კოსინუსის საშუალებით.
5. ამოცანები გეოდეზიიდან.
6 ერთი და იმავე კუთხის ფუნქციათა ურთიერთ შორის უმარტივესი დამოკიდებულებანი.
7. შემვსები[3]) კუთხის ფუნქციათა დამოკიდებულება.
8. შედგენა და გამოყენება ნატურალური ტრიგონომეტრიულ სიდიდეების ცხრილისა
9. კუთხური კოეფიციენტის ცნება. წრფის[1]) განტოლება.
10. გეომეტრიული ამოცანების ამოხსნა ტრიგონომეტრიის საშუალებით.

ახლა, სწორედ აქ, თუ გავიხსენებთ, რომ მხოლოდ მე-16-ე საუკუნეში ქრ. დაბადების შემდეგ ადამიანის გენიალურმა ჩაწვდომითმა ნიჭმა, **გერძანელმა გიორგი იოახიმმა, რეტიკუსად** წოდებულმა, მოახერხა სწორკუთხიანი სამკუთხედის საშუალებით განყენებული ნაწერის კუთხესთან უშუალოდ დაკავშირება და ამგვარად ტრიგონომეტრიულ ცნებას თავის შინაარსით დასრულებული სახე მისცა, მაშინ მკითხველისთვის გასაგები იქმნება ჩვენი ტრიგონომეტრიისადმი ქვემოდმოყვანილი მიდგომაც და მასალის დამუშავებაც:

§ 1. სწორკუთხიანი სამკუთხედების საშუალებით მახვილკუთხესა და განყენებულ რიცხვთა შორის დამოკიდებულების დამყარება.

ავიღოთ შეურჩევლად ერთ-ერთი მახვილი კუთხე, თუ-გინდ კუთხე C, 37°-ის შემცველი, და მის ერთერთ გვერდზე შეურჩევლად აღებულის B წერტილიდან ჩამოვუშვათ პერპენდიკულიარი BA.




ამგვარად ჩვენ მიერ აღებული მახვილი C კუთხე ABC სწორკუთხიან სამკუთხედში მოექცევა და AB კათეტის მოპირისპირე კუთხედ გახდება.

ახლა ავიღოთ AB კათეტი და მისი BC ჰიპოტენუზასთან ჯერადი შეფარდების მნიშვნელი გამოვიანგარიშოთ, ე. ი. შემდეგი საკითხი გადავწყვიტოთ: $\frac{AB}{BC}=x$*)

ამისთვის, როგორც ვიცით, საჭიროა სწორი ხაზის ორი ნაკვეთის (AB და BC) უდიდესი საერთო საზომის პოვნა. ამ უკანასკნელი საკითხის გადასაწყვეტად კი უნდა მოვიქცეთ შემდეგნაირად:

ფარგლის სათანადო გაშლით და სახაზავის საშუალებით ორივე AB და BC ნაკვეთი მოვაქციოთ ერთს ჰორიზონტალურ ხაზზე:

**) 

და უმცირესი AB ნაკვეთი გადავზომოთ უდიდეს BC ნაკვეთზე იმდენჯერ, რამდენჯერაც ეს შესაძლებელია.

ჩვენ მიერ შეურჩევლად აღებულ მაგალითში უმცირესი AB ნაკვეთი BC ნაკვეთზე გადიზომება ერთჯერ K წერტილამდე და **პირველ ნაშთად** KC ნაკვეთი დაგვრჩება, რადგანაც AB ნაკვეთი ამ უკანასკნელში, ე. ი. KC ნაკვეთში, მთლიანად არც ერთჯერ აღარ თავსდება.

ამგვარ შემთხვევაში, როგორც ვიცით, **პირველი ნაშთი** (KC) უნდა გადავზომოთ უმცირეს AB ნაკვეთზე, რაც ჩვენ მიერ აღებულ მაგალითში M წერტილამდე ერთჯერ მოხერხდება და **მეორე ნაშთად** ნაკვეთი MB დაგვრჩება, რადგანაც KC ნაკვეთი ამ უკანასკნელში, ე. ი. MB ნაკვეთში, მთლიანად არც ერთჯერ აღარ თავსდება.

ახლა **მეორე** (MB) **ნაშთი**, თანახმად საერთო საზომის პოვნის ხერხისა, **უნდა გადავზომოთ პირველ** KC **ნაშთზე**, რაც ე. ი გადაზომვა, ჩვენ მიერ შეურჩევლად აღებულ მაგალითში, ორჯერ ხერხდება.

მაშასადამე, აღებულ AB და BC ნაკვეთთა უდიდესი საერთო საზომი არის MB ნაკვეთი, რაც ჩვენ სრულ შესაძლებლობას გვაძლევს მისი, ე. ი. MB ნაკვეთის, საშუალებით AB და BC ნაკვეთები ავსახოთ: ამისათვის საკმარისია წინა ნახაზს მივმართოთ და გავიხსენოთ, რომ MB ნაკვეთი KC ნაკვეთში ორჯერ მოთავსდა.

აქედან ცხადია KC ნაკვეთის MB ნაკვეთით ასახვის შესაძლებლობა, ე. ი. შემდეგი გეომეტრიული თანასწორობა:

$$KC=2MB \quad . \quad . \quad . \quad . \quad . \quad I$$

ამასთანავე თუ იმასაც მივაქცევთ ყურადღებას, რომ AB ნაკვეთში KC ნაკვეთი ერთჯერ მოთავსდა და ნაშთად MB დაგვრჩა, მაშინ ჩვენთვის გასაგები შეიქმნება, რომ

$$AB=KC+MB$$

აქ თუ მეორე მხარეზე მოქცეულ KC ნაკვეთის მაგიერად ჩავსვამთ პირველ თანასწორობიდან მის გამოსახვას 2 MB, ჩვენ მივიღებთ AB ნაკვეთის გამოსახვასაც MB ნაკვეთის საშუალებით:

$$AB=2MB+1MB \text{ ანუ}$$
$$AB=3MB \quad . \quad . \quad . \quad . \quad . \quad II$$

ახლა დაგვრჩა BC ნაკვეთის MB ნაკვეთის საშუალებით ასახვა.

ამისათვის საკმარისია გავიხსენოთ, რომ უმცირესი AB ნაკვეთი უდიდეს BC ნაკვეთში ერთჯერ მოთავსდა და ნაშთად KC ნაკვეთი დაგვრჩა, ე. ი.

$$BC=AB+KC$$

ახლა, თუ ავიღებთ I და II თანასწორობებიდან AB და KC ნაკვეთების MB ნაკვეთის საშუალებით გამოსახვებს და მოვაქცევთ მათ ამ უკანასკნელი თანასწორობის მეორე მხარეზე, მაშინ მივიღებთ:

$$BC=3MB+2MB, \text{ აქედან კი ცხადია, რომ}$$
$$BC=5MB \quad . \quad . \quad . \quad . \quad III$$

ასე რომ AB და BC ნაკვეთების ასახვა საერთო საზომის MB ნაკვეთის საშუალებით საბოლოოდ შემდეგს სახეს მიიღებს:

$$AB=3MB$$
$$BC=5MB$$

ამის შემდეგ ჩვენ გვეძლევა სრული შესაძლებლობა ვაწარმოოთ ჯერადი შედარება-შეფარდება და ამასთან ერთად გამოვიანგარიშოთ ამ შეფარდების დამახასიათებელი **მნიშვნელიც***), რისთვისაც საკმარისია უკანასკნელ ორ თანასწორობათა წევრ წევრად და შესაბამად ერთმანერთზე გაყოფა:**)

$$\frac{AB}{BC}=\frac{3\ MB}{5\ MB} \text{ ანუ}$$
$$\frac{AB}{BC}=\frac{3\ MB}{5\ MB}$$

რადგანაც MB ნაკვეთი MB ნაკვეთს, ე. ი. თავის თავს შეიცავს, რასაკვირველია, ერთჯერ, ამის გამო ცხადია, რომ

$$\frac{MB}{MB}=1.$$

ასე რომ უკანასკნელი თანასწორობა საბოლოოდ შემდეგს სახეს მიიღებს:

$$\frac{AB}{BC}=\frac{3}{5} \quad . \quad . \quad . \quad . \quad . \quad IV$$

ეს თანასწორობა კი, რომელიც გარკვეულ დამოკიდებულებას წარმოადგენს ორ გეომეტრიულსა (AB და BC) და ერთს არითმეტიკულ $\left(\frac{3}{5}\right)$ ელემენტს შორის, არის იმავე დროს სრული გადაწყვეტა იმ საკითხისა, რომელიც ჩვენ უკანასკნელად წამოვაყენეთ:

ორ (AB და BC) ნაკვეთს შორის ჯერადი შეფარდების მნიშვნელის გამოანგარიშება.

ამ თანასწორობის პირველ მხარეზე მოქცეული გამოსახვა

$\frac{AB}{BC}$ . . . . არის, როგორც ვიცით **ჯერადი** ანუ **გეომეტრიული** შეფარდება

$\frac{3}{5}$ . . . . კი, რომელიც მეორე მხარეზეა მოთავსებული, ე. ი. შედეგი წარმოებული შედარებისა, არის **მნიშვნელი** ამ შეფარდებისა.

აქ თუ გავიხსენებთ, რომ AB და BC ნაკვეთს MB ნაკვეთის სახით აქვს **უუდიდესი ერთადერთი საერთო საზომი** და აგრეთვე იმასაც, რომ აღებულ ნაკვეთთა შეფარდება-შედარება ხერხდება ამ მიმართულებით მხოლოდ და მხოლოდ ამ MB ნაკვეთის საშუალებით, მაშინ ჩვენთვის ცხადი იქნება, რომ ჩვენ მიერ მიღებული შეფარდების მნიშვნელიც $\frac{3}{5}$ **ამ დამოკიდებულების დამა-**

*) ამგვარი მიდგომა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამკუთხედების ურთი-ერთ მსგავსება სათანადოდ შეთვისებული არ არის, წინააღმდეგ შემთხვევაში სხვაგვარი მიდგომა იხ. ქვემო ნ-ში.

**) mm—შემოკლებითი აღნიშვნაა მილიმეტრისა.

*) ტერმინი მნიშვნელი სრულიად სხვა შინაარსით ჩვენ უკვე ნაწევრებში გვხვდება, რაც ერთნაირ უხერხულობასა ქმნის, მაგრამ ამას უნდა შევურიგდეთ!

**) აქ იწყება შედარება-შეფარდება, რაც ხერხდება მხოლოდ იმიტომ, რომ MB ჩვენ უკვე ნაპოვნი გვაქვს!

ხასიათებელი ერთადერთი არითმეტიკული ნაწევარია, ე. ი. ზემოდ მოყვანილ ამოცანას—ორ ნაკვეთს შორის ჯერადი შეფარდების მნიშვნელის გამოანგარიშებას, გადაწყვეტის **ერთადერთი განსაზღვრული პასუხი** აქვს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა

თავისთავად ცხადია, თუ როგორ აკავშირებს და ამ კავშირს დამოკიდებულებას ახასიათებს ორ (AB და BC) მონაკვეთთა შორის ნაწევრი $\frac{3}{5}$, ჩვენ მიერ ზემოდ მიღებულ თანასწორობაში:

$$\frac{AB}{BC}=\frac{3}{5}.$$

მაგრამ ამის გარდა აქ, ამ თანასწორობაში, კიდევ ბევრი რამ არის ნათქვამი მათემატიკურად და სხვათა შორის ისიც, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ $\frac{3}{5}$-ის საშუალებით აღვადგინოთ MB ნაკვეთი, ე. ი. უდიდესი საერთო საზომი, როდესაც ჩვენს ხელთ არის ან AB, ან BC და ან მათი ჯამი, გეომეტრიულად ერთი მთლიანი ნაკვეთის სახით მოცემული,

პირველ შემთხვევაში, ე. ი. როდესაც ჩვენ ხელთ არის მხოლოდ AB ნაკვეთი, საკმარისია ის, ე. ი. AB ნაკვეთი, გავჭყოთ სამ თანასწორ ნაწილად (ამას გვეუბნება მრიცხველი ნაწევრისა) და ამგვარად მიღებული ნაკვეთი—MB ნაკვეთის აღდგენა იქნება.

BC ნაკვეთის აღსადგენად კი, აღდგენილი MB ნაკვეთი უნდა მოვზომოთ ხუთჯერ—ამას გვიკარნახებს მნიშვნელი ნაწევრისა.

მეორე შემთხვევაში, ე. ი. როდესაც ჩვენ მოცემული გვაქვს მხოლოდ BC ნაკვეთი, საკმარისია MB ნაკვეთის აღსადგენად, მისი ხუთ თანასწორ ნაწილად გაყოფა: ამგვარად მიღებული ნაკვეთი MB ნაკვეთის აღდგენა იქნება.

AB ნაკვეთის აღსადგენად კი, საკმარისია აღდგენილი MB ნაკვეთის სამჯერ მოზომვა.

ამას ყველაფერს გვიკარნახებს $\frac{3}{5}$-ის მნიშვნელი და მრიცხველი.

ბოლოს, იგივე $\frac{3}{5}$-ი გვეუბნება, რომ MB ნაკვეთის აღსადგენად საკმარისია AB და BC ნაკვეთების გეომეტრიული ჯამის რვა თანასწორ ნაკვეთად გაყოფა, რადგანაც ერთერთი ამგვარად მიღებული ნაკვეთი MB ნაკვეთი იქნება. ამგვარ ხერხზე ჩვენ მიგვითითებს $\frac{3}{5}$-ის მრიცხველის და მნიშვნელის ჯამი: ე. ი. 3+5=8.

ამას გარდა, შემდეგში მოსალოდნელი საკითხების გასაშუქებლად, ჩვენ დაგვჭირდება მეორე რემეზედაც შევჩერდეთ:

თანასწორობიდან

$$\frac{AB}{BC}=\frac{3}{5},$$ ცხადია

მეორე ამგვარი თანასწორობაც: $\frac{BC}{AB}=\frac{5}{3}$

პირველ შემთხვევაში $\frac{3}{5}$ რიცხვული ასახვაა AB ნაკვეთისა, როდესაც სიგრძის საზომ ერთეულად მიჩნეულია BC ნაკვეთი.

$\frac{5}{3}$-ი კი, პირიქით, რიცხვული ასახვაა BC ნაკვეთისა, როდესაც სიგრძის საზომ ერთეულად მიღებულია AB ნაკვეთი.


ასე რომ ჩვენ მიერ წამოყენებული ამოცანა—ორ ნაკვეთთა შორის ჯერადი შეფარდების წარმოების შესახებ, შეიძლება ამგვარადაც დაისვას: სწორი ხაზის ორ ნაკვეთთა ერთი-მეორის საშუალებით გაზომვა და მათი სათანადო რიცხვული ზომის—ასახვის გამოანგარიშება.

ჩვენ **გამოსავალ წერტილად შეურჩევლად აღებული მახვილი კუთხე C ავიღეთ, რომელიც 37⁰-ის შემცველი იყო.**

ამის გამო აქ, თავისთავად იბადება საკითხი: **ხომ არ არსებობს რაიმე კავშირი** $\frac{3}{5}$ **-სა და 37⁰-ის შემცველ კუთხეს შორის?**

ამის გამოსარკვევად საჭიროა იმავე გვერდზე, რომელზედაც აღებული იყო პირველი B წერტილი, შეურჩევლად მეორე B_1 წერტილის აღება და B_1A_1 პერპენდიკულიარის ჩამოშვება და ამგვარად მიღებულის A_1B_1 კათეტის B_1C ჰიპოტენუზასთან ჯერადი შეფარდების მნიშვნელის პოვნა, რაც, როგორც ამაში ჩვენ უშუალოდ დაეწრმუნდებით, იმავე $\frac{3}{5}$-თან მიგვიყვანს და ამნაირად ზემოდ დასმული საკითხის გადაწყვეტას საგრძნობლად წინ წაწევს.

და მართლაც (იხ. ძირითადი ნახაზი), რადგანაც A_1B_1 და B_1C-ის უდიდესი საერთო საზომი MB_1 ნაკვეთს უდრის,



ამის გამო გვექნება:

$A_1B_1=3\ MB_1$

$B_1C=5\ MB_1$ აქედან კი ცხადია


$$\frac{A_1B_1}{B_1C}=\frac{3}{5}.$$

ეს კი უფლებას გვაძლევს ვსთქვათ, რომ **იმავე გვერდზე აღებული ყოველი მესამე წერტილი იმავე** $\frac{3}{5}$**-თან მიგვიყვანს...**

ცხადია, ჩვენი საბოლოო დანასკვი ეშვს გარეშე რომ მოექცეს, ამისთვის ჩვენ დაგვჭირდება შეურჩევლად აღებულის, 37⁰-ის შემცველის, C კუთხის მეორე გვერდიდანაც, შეურჩევლად B_2 წერტილის აღება და მისგან პერპენდიკულიარის პირველ გვერდზე ჩამოშვება.

ამ პირობებში მიღებულის A_2B_2 კათეტის B_2C ჰიპოტენუზასთან ჯერადი შეფარდების მნიშვნელის პოვნა საბოლოოდ გადაწყვეტს ჩვენს საკითხს.

და მართლაც (იხ. ძირითადი ნახაზი), რადგანაც A_2B_2-ის და B_2C-ის უდიდესი საერთო საზომი MB_2 ნაკვეთს უდრის,



ამის გამო გვექნება:

$A_2B_2=3\ MB_2$

$B_2C=5\ MB_2$, აქედან

$$\frac{A_2B_2}{B_2C}=\frac{3}{5}.$$

ამას ყველაფერს ახლა ჩვენ შეგვიძლია ჯამი შევუკრათ და შემდეგი ეშვმიუტანელი დებულება წამოვაყენოთ: **შეურჩევლად აღებულს მახვილ კუთხეს,** 37⁰-ის შემცველს, სწორკუთხიანი სამკუთხედების საშუალებით, **ყოველთვის და ყოველგან გარკვეულ ნაწევართან:** $\frac{3}{5}$**-თან, მივყავართ.**

*) A_2B_2 ნაკვეთი შ ე ც დ ო მ ი თ 12 mm-ით მეტია აღებული ამ ნახაზზე!

შ ე ნ ი შ ვ ნ ა.

სამსავე შემთხვევაში ზემოდ მოყვანილის $\frac{3}{5}$-ის პოვნა, როგორც ჯერადი შეფარდების მნიშვნელის, შეიძლებოდა გამოგვანგარიშების ხერხითაც და მასთან გაცილებით უფრო ადვილად, ვიდრე ეს ჩვენ უუდიდესი საერთო საზომის მონახვის საშუალებით ვაწარმოეთ.

უშუალო გაზომვა სამსავე შემთხვევაში ჩვენ გვერდებისათვის მილიმეტრებში სათანადოდ შემდეგს მნიშვნელობებს მოგვცემდა:

$AB=18$ mm, $A_1B_1=24$ mm., $A_2B_2=36$ mm.

$BC=30$ mm., $B_1C=40$ mm, $B_2C=60$ mm.,

ასე რომ აქ მოყვანილი რიცხვების სათანადო სამკუთხედებთან დაკავშირებით წევრ-წევრად და შესაბამად გაყოფა შემდეგს საზეს მიიღებდა:

$\frac{AB}{BC}=\frac{18\text{ mm}}{30\text{ mm}}$, რაც 6 mm-ზე შეკვეცის შემდეგ, $\frac{3}{5}$-ს მოგვცემდა.

$\frac{A_1B_1}{B_1C}=\frac{24\text{ mm}}{40\text{ mm}}$, რაც, 8 mm-ზე შეკვეცის შემდეგ, $\frac{3}{5}$-ს მოგვცემდა

$\frac{A_2B_2}{B_2C}=\frac{36\text{ mm}}{60\text{ mm}}$, რაც 12 mm-ზე შეკვეცის შემდეგ, $\frac{3}{5}$-ს მოგვცემდა.

აქ ხაზგასასმელია ის სინამდვილე, რომ ზემოდ სამსავე შემთხვევაში ნაპოვნი უუდიდესი საერთო საზომები: MB, MB_1 და MB_2. mm-ში სათანადოდ შემდეგს მნიშვნელობებს იღებენ: 6 mm, 8 mm და 12 mm!

ამგვარი ხერხით $\frac{3}{5}$-ის გამოანგარიშება მეთოდიური თვალსაზრისით ჩვენ, ს.გნის შესწავლის ამ საფეხურზე, ნაადრევად მივიჩნიეთ, რადგანაც კუთხიდან $\frac{3}{5}$-ზე გადასვლა, ისედაც არაუშუალო და ამის გამო საკმარისად რთული, ამით კიდევ უფრო გართულდება!

ახლა შევეხებით ძირითადი საკითხი და წამოვაყენოთ ის შემდეგის სახით: **მიგვიყვანს თუ არა განყენებული ნაწევარი** $\left(\frac{3}{5}\right)$ სწორკუთხიანი სამკუთხედის აგების საშუალებით **იმავე 37°-ის შემცველს მახვილ კუთხესთან?**


ცხადია, რომ ასე დასმული საკითხი თავის გადაწყვეტისას შემდეგს სამს მარტივ ამოცანად დაიშლება:

1. პირველად უნდა ვიპოვოთ ნაკვეთების იმგვარი ერთი წყვილი, რომლის ჯერადი შეფარდების მნიშვნელი $\frac{3}{5}$-ი იქნება, შემდეგ

2. ამ ნაკვეთებიდან უდიდესი ჰიპოტენუზად უნდა მივიჩნიოთ, უმცირესი კი—კათეტად და ამის მიხედვით სწორკუთხიანი სამკუთხედი უნდა ავაგოთ და მხოლოდ შემდეგ

3. ამგვარად მიღებულს სწორკუთხიან სამკუთხედში სათანადო კუთხის ტრანსპორტირით გაზომვა საბოლოოდ გადაჭრის ჩვენ მიერ დასმულ საკითხს.

პირველი საკითხის გადასაწყვეტად ავიღოთ შეურჩევლად KM ნაკვეთი (იხ. ქვემო ნახაზი) და მოცემული ნაწევრის მრიცხველის (3-ის) და მნიშვნელის (5-ის) კარნახით პირველი უცნობი ნაკვეთისათვის ის (A) წერტილიდან 3-ჯერ მოვზომოთ, მხოლოდ მეორესთვის კი (A_1) წერტილიდან—5-ჯერ, მაშინ ჩვენ მივიღებთ ორს (AB და A_1B_1) ნაკვეთს, რომელთა ჯერადი შეფარდების მნიშვნელი $\frac{3}{5}$ იქნება.




და მართლაც, თუ $AB=3$ KM

$A_1B_1=5$ KM, აქედან $\frac{AB}{A_1B_1}=\frac{3}{5}$

ცხადია KM ნაკვეთის მაგივრად ჩვენ შეგვიძლია ამ ნაკვეთზე უფრო დიდის ანუ უფრო მცირე ნაკვეთის აღება:

მაგალითად K_1M_1 (იხ. ქვემოდ ნახაზი).

ცხადია, მაშინ ჩვენ მივიღებთ ნაკვეთთა მეორე წყვილს A_2B_2 და A_3B_3-ს, რომელთა ჯერადი შეფარდების მნიშვნელი იგივე $\frac{3}{5}$ იქნება.





და მართლაც, თუ

$A_2B_2=3$ K_1M_1

$A_3B_3=5$ K_1M_1, მაშინ $\frac{A_2B_2}{A_3B_3}=\frac{3}{5}$, ე. ი.


A_2B_2 და A_3B_3 ნაკვეთების იმგვარი მეორე წყვილია, რომლის ჯერადი შეფარდების მნიშვნელი $\frac{3}{5}$-ია.

თავისთავად ცხადია, რომ ჩვენ მიერ წამოყენებულს უკანასკნელ ამოცანას გადაწყვეტის ურიცხვი პასუხი აქვს, ე. ი. იმგვარი ნაკვეთების წყვილთა რიცხვი, რომელთა ჯერადი შეფარდების მნიშვნელი $\frac{3}{5}$-ს უდრის, უთვალავია, რის გამო დავასკვნით: ზემოდ წამოყენებული პირველი მარტივი ამოცანა განუსაზღვრელი ამოცანაა.

ამის გათვალისწინებით და ზემოდ ნაპოვნ ნაკვეთთა ორი წყვილის გამოყენებით სწორკუთხიანი სამკუთხედები ავაგოთ:

პირველად, ნაპოვნ ნაკვეთთა პირველი წყვილი ავიღოთ, ე. ი. AB და A_1B_1 ნაკვეთები (იხ. ზემოდ ნახაზი) და მათი საშუალებით სწორკუთხიანი სამკუთხედი ავაგოთ. ამისათვის ჩვენ, როგორც ვიცით, ერთმანერთის პერპენდიკულიარულად გადამჭრელი ორი სწორი ხაზი (ED და FK) უნდა ავიღოთ (იხ. ქვემოდ ნახაზი) და გადაჭრის A წერტილიდან FK ხაზზე AB ნაკვეთი მოვზომოთ.

ამის შემდეგ კი AB ნაკვეთის ბოლო წერტილიდან მეორე A_1B_1 ნაკვეთის სიგრძის რადიუსით ED ხაზზე ჩაჭდევით C წერტილი აღვნიშნოთ, მაშინ, B და C წერტილის შემაერთებელი ხაზის გავლებით, ჩვენ ასაგებ სწორკუთხიან ABC სამკუთხედს მივიღებთ.




ეს ერთი.

ახლა გადვიდეთ ნაკვეთთა მეორე წყვილზე (იხ. ზემოდ ნახაზი) და მათი საშუალებითაც ისე, როგორც პირველ შემთხვევაში, ავაგოთ სწორკუთხიანი სამკუთხედი, ე. ი. ჩვენ ავიღოთ ორი ერთმანერთის პერპენდიკუ-

ლიარულად გადამჭრელი ხაზი E_1D_1 და F_1K_1 (იხ. ქვემოდ ნახაზი) და მათი გადაჭრის A_2 წერტილიდან F_1K_1 ხაზზე A_2B_2 ნაკვეთი ერთხელ გადავზომოთ; შემდეგ კი ამ ნაკვეთის ბოლო წერტილიდან A_2B_2 ნაკვეთის სიგრძის რადიუსით E_1D_1 ხაზზე C_2 ჩაჭდევით აღვნიშნოთ.

მაშინ, თუ შევაერთებთ სწორი ხაზით B_2 და C_2 წერტილს ასაგებს სწორკუთხიან $A_2B_2C_2$ სამკუთხედს მივიღებთ.



ეს მეორე.

აქ უნდა გავიხსენოთ, რომ სწორკუთხიანი სამკუთხედის აგებას, იმის მიხედვით თუ კათეტის ჰიპოტენუზასთან შეფარდების მნიშვნელი $\frac{3}{5}$-ია. წინ უსწრებს იმგვარი ორი ნაკვეთის პოვნის აუცილებლობა, რომელთა ურთიერთ ჯერადი შეფარდების მნიშვნელიც იგივე $\frac{3}{5}$-ია

ამ უკანასკნელ საკითხს კი, როგორც ჩვენ უკვე წინად შევამჩნიეთ, აქვს გადაწყვეტის **უთვლადი შესაძლებლობა.**

ეს კი იმის მომასწავებელია, რომ ზემოდ მოყვანილი სწორკუთხიანი **სამკუთხედების რაოდენობის საკითხსაც გადაწყვეტის უთვლადი პასუხი ექმნება.**

და მართლაც, ზემოდ მოყვანილ შემთხვევაში ჩვენ შევჩერდით ნაკვეთთა ორ წყვილზე. რის გამო მივიღეთ საკითხის გადაწყვეტისას ორი სხვადასხვა სწორკუთხიანი სამკუთხედი.

ჩვენ რომ მესამე წყვილი გვეპოვნა, მივიღებდით სამს სხვადასხვა სწორკუთხიან სამკუთხედს და ასე თანმიყოლით.

ცხადია, ამგვარი საკითხის გადაწყვეტას ადამიანისათვის არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა, რომ აქ ერთ რამეს არ ჰქონდეს ადგილი: ყველას ჩვენ მიერ ნაპოვნს სწორკუთხიან სამკუთხედს აერთებს ერთი ფაქტი —ერთი სინამდვილე—სახელდობით ის, რომ მათი კათეტების სათანადო ჰიპოტენუზასთან ჯერადი შეფარდების მნიშვნელი ერთი და იგივე განყენებული ნაწევარია: $\frac{3}{5}$-ი.

ეს კი იმის მომასწავებელია, რომ (ABC და $A_2B_2C_2$) სწორკუთხიან სამკუთხედთა გვერდებს შორის (იხ. ზემოდ ნახაზები) გარკვეული დამოკიდებულება არსებობს, რომელიც ამ სამკუთხედების კუთხეების შესაბამად თანასწორობასაც გულისხმობს, ე. ი. ამ სამკუთხედების ურთიერთ მსგავსებასაც*) მოასწავებს.

და მართლაც, თუ

$\frac{AB}{BC} = \frac{3}{5}$,

$\frac{A_2B_2}{B_2C_2} = \frac{3}{5}$, მაშინ ამ თანასწორობათა პირველი ნაწილების თანასწორობაც აუცილებელია, ე. ი.

$$\frac{AB}{BC} = \frac{A_2B_2}{B_2C_2}$$

არითმეტიკიდან კი ვიცით: თუ ოთხ ოდენობათა შორის პროპორციის სახით ადგილი აქვს ზემოდ მოყვანილ დამოკიდებულებას, მაშინ მათ შორისვე აუცილებლად ადგილი ექნება შემდეგ დამოკიდებულებასაც:

$$\frac{AB}{A_2B_2} = \frac{BC}{B_2C_2},$$

რომლის მიღებას ჩვეულებრივად პროპორციის შუაწევრთა გადასხმითაც ვაწარმოებთ.

ეს უკანასკნელი დამოკიდებულება კი გვეუბნება, რომ ჩვენ მიერ მიღებული სწორკუთხიანი სამკუთხედების კათეტები და ჰიპოტენუზები ერთმანერთს შესაბამად ეპროპორციონალება, ჭართული თქმით, შეეთანაჯერადება, ე. ი. პირველი სამკუთხედის კათეტი მეორე სამკუთხედის კათეტით იმგვარადვე და იმავე წესით განიზომება, რა გვარად და რა წესითაც პირველის ჰიპოტენუზა მეორესი ჰიპოტენუზით.

ასე რომ კათეტთა და ჰიპოტენუზათა ურთიერთ სათანადო შეფარდებებს ამ შემთხვევაში ერთი და იგივე მნიშვნელი*) ახასიათებს.

ეს კი, როგორც გეომეტრიიდან ვიცით, **ამ სწორკუთხიანი სამკუთხედების ურთიერთ აუცილებელ მსგავსებას მოწმობს,** ე. ი. **მათი** მახვილი **კუთხეების შესაბამად თანასწორობასაც.**

მაშასადამე ჩვენ მიერ მიღებულს სწორკუთხიან სამკუთხედებში (იხ. სათანადო ნახაზები) კუთხეები შესაბამად თანასწორი ყოფილა, ე. ი.

$\angle C = \angle C_2$, $\angle B = \angle B_2$.

აქედან ცხადია, თუ განყენებულს $\frac{3}{5}$ ნაწევარს განვიხილავთ არა სწორკუთხიანი სამკუთხედების გვერდებთან, არამედ ამ გვერდების მოპირისპირე მახვილ კუთხეებთან დაკავშირებით, მაშინ ჩვენ მიერ ზემოდ მოყვანილი შებრუნებული ამოცანა თავის შინაარსით არსებითად შეიცვლება და მიიღებს გადაწყვეტისთვის სრულიად გარკვეულ სახეს, ე. ი. **განუსაზღვრელიდან ამოცანა განსაზღვრულად იქცევა!**

და მართლაც, დავუკავშიროთ $\frac{3}{5}$-ანუ კუთხე C-ეს ანუ კუთხე C_2-ეს, რაც სულერთია, რადგანაც ისინი, როგორც ვიცით, ურთიერთ თანასწორია, და **ეს კავშირი ახალი უცხო სიტყვის შინაარსად გავხადოთ: სინუსი=sinus-ი ვუწოდოთ.**

ასე რომ, როდესაც ვიტყვით: $\frac{3}{5}$-ი C კუთხის სინუსიაო, ამით ჩვენ მოკლედ აღვნიშნავთ, რომ $\frac{3}{5}$-ი გარკვეული გზით და ხერხით დაკავშირებულია იმ C კუთხესთან, რომელიც სწორკუთხიან სამკუთხედში AB კათეტის პირისპირ ძევს.

ვამბობთ—გარკვეული გზით და ხერხით, რადგანაც ჩვენ მიერ შეთვისებული მასალის მიხედვით, ჩვენ სრუ-

*) რის გამო $\frac{3}{5}$-ი ამ სამკუთხედებთან დაკავშირებით მსგავსების კოეფიციენტად არის წოდებული.

*) თუ გამოვიანგარიშებთ, აღმოჩნდება რომ ის, ე. ი. მნიშვნელი, ამ შეთხვევაში $\frac{4}{5}$ უდრის!

ლიად შეგნებულად ორი მონაკვეთის საშუალებით და შემდეგ სწორკუთხიანი სამკუთხედის აგებით $\frac{3}{5}$-ს სათანადო კუთხის საპოვნელად ყოველთვის გამოვიყენებთ—იმ კუთხეს, რომელიც C კუთხის თანაბარი იქნება.

ასე და ამგვარად ნაწევრიდან $\left(\frac{3}{5}\right)$ ჩვენ გარკვეულ პირობებში გარკვეული გზით სრულიად განსაზღვრულ C მახვილ კუთხეზე გადავდივართ!

იმის გამოსარკვევად, თუ რამდენი კუთხური გრადუსის შემცველია კუთხე C ტრანსპორტირით უშუალო გაზომვას მივმართოთ და ამგვარად სინამდვილით დავრწმუნდეთ, რომ C=37°, ე. ი. $\frac{3}{5}$-იდან ჩვენ გარკვეული ხერხით 37 გრადუსის შემცველ მახვილ კუთხეზე გადავედით!

რადგანაც ჩვენ მიერ ACB **მახვილი კუთხე,** 37°-ის შემცველი, **აღებული იყო შეურჩევლად,** ამის გამო ჩვენ ზემოდ დამუშავებული მასალის მიხედვით საბოლოოდ ცხადყოფილად უნდა ჩავთვალოთ შემდეგი ზოგადი დებულებაც: **ყოველს მახვილ კუთხეს** გარკვეული გზით და ხერხით **მხოლოდ და მხოლოდ ერთს** მასთან შესაბამს **გარკვეულ ნაწევართან მივყავართ,** ე. ი. კუთხიდან სინუსზე გადავდივართ.

ასე რომ ამ პირობებში მახვილი კუთხე, ასე ვთქვათ, გამომწვევი მიზეზია, საფუძველია—**არგუმენტია,** ხოლო sinus'ი კი მისგან დამოკიდებული **ფუნქციაა.**

ზემოდ მოყვანილი დებულება შებრუნებულადაც სინამდვილეა: განყენებულს წესიერ ნაწევარს $\left(\frac{3}{5}\right)$ გარკვეული გზით მხოლოდ და მხოლოდ ერთს გარკვეულს მახვილ კუთხესთან (37°) მივყავართ, ე. ი. სინუსიდან სათანადო კუთხეზე გადავდივართ.

ცხადია სინუსი აქ **არგუმენტია,** კუთხე კი მისი **ფუნქცია.**

ასე და ამგვარად მახვილი კუთხე (37°) სრულიად და გარკვეულად განისაზღვრება განყენებული წესიერი ნაწევრით $\left(\frac{3}{5}\right)$, რის გამო ამ უკანასკნელს კუთხესთან დაკავშირებით მეცნიერებაში კუთხის **ტრიგონომეტრიულ ფუნქციას** ანუ **ოდენობას** უწოდებენ.

იმას კი, თუ როგორ მოხერხებულად გამოიყენა ადამიანმა კუთხესა და განყენებულ ნაწევარს შორის ფუნქციონალური დამოკიდებულება, ჩვენ გავეცნობით შემდეგს წერილში.

დ. ყიფშიძე.

პედაგოგიურ განხრის რაციონალიზაციისათვის.

საქართველოს განათლების კომისარიატი დიდ მუშაობას ეწევა, რათა განათლების საქმე სასურველად მოეწყოს: არაფერი ამისათვის არ იშურება.

ნორმალ კალაპოტში ჩაყენებული ცხოვრება წინ მიდის და სხვადასხვა ამოცანებს გვისახავს. თვითეული კაპიკი სახელმწიფოს მიერ დახარჯული არ უნდა იყოს ამაო. თვითეული სკოლა, რომელიც საშუალო ცოდნას აძლევს მოქალაქეს, უსათუოდ უნდა ამართლებდეს ამ დანიშნულებას.

ამიტომ ცხადია, საითკენ უნდა იყოს მიმართული ჩვენი სკოლების სამოქმედო გეზი. ეს ადრე შენიშნა განათლების კომისარიატმა და შრომის სკოლების II კონცენტრში სხვადასხვა განხრების (პედაგოგიური, სასოფლო-სამეურნეო, კოოპერატიული, საბჭოთა ადმინისტრატიული) შემოღება ამ მიზნის პრაქტიკულად გადაჭრის ცდებია. უნდა ითქვას, რომ თუ ამ განხრებმა ნაყოფი არ გამოიღო, მდგომარეობა სწორედ უნეგეშო იქნება,—შეიძლება ითქვას, არსებულ ცხრაწლედებს მაშინ **არავითარი** მიზანი, არავითარი რეალური გამართლება არ ექნებათ.

ამისათვის საჭიროა განხრებს მეტი ყურადღება მიექცეს. არ შეიძლება ყველა ცხრაწლედების სპეციალ ტეხნიკუმებად გადაკეთება; მოუხერხებელია ერთმა უნივერსიტეტმა ყველა ცხრაწლედ დამთავრებული დაიტიოს. ამიტომ უნივერსიტეტის გარეშე დაოჩენილები მზად უნდა იყვნენ პრაქტიკულად სამუშაოდ რომ ჩაებან ცხოვრებაში „მასში მონაწილეობის მისაღებად".

ამიტომ თავიდანვე საჭიროა სკოლაში, სადაც ესა, თუ **ის** განხრაა, ამ განხრების საქმე კარგად იქნას დაყენებული. ამ წერილში მე მინდა მხოლოდ პედაგოგიურ განხრაზე ვილაპარაკო.

საქართველოში ამ ჟამად 1700-მდე I საფეხურის სკოლაა, ცხადია, მომავალ, მახლობელ წლებში—სულ ცოტა—ამ რიცხვის გაოთხმაგება იქნება საჭირო. პედაგოგიურ განხრების მიზანია—ამ სკოლებს მოუმზადოს სათანადო მასწავლებლები. რამდენადაც ვიცით—დღესდღეობით საქართველოში პედ. განხრის ცხრაწლედი 10-მდეა. მოსალოდნელია ამ რიცხვის 100%-ით (მაქსიმუმი) გადიდება.

როგორც ჩანს საკმაო სამუშაო ქონია ამ სკოლებს. გაიხსენეთ ახლა ისიც, რომ ჯერჯერობით ვერ არის მოგვარებული ერთი მასწავლებელის რამოდენიმე ჯგუფში მეცადინეობის საქმე, რაც, რასაკვირველია, მოგვარდება, როცა მთავრობას ამის შეძლება ექნება; ახლა-რაც სკოლებია, მათთვისაც არა გვყავს საკმაო მასწავლებელი. ერთი სიტყვით, პედაგოგიური განხრების სკოლები რამოდენიმე ათეულ წლებს დაითვლის თავის არსებობის ისტორიაში.

არასდროს არ მოქონდა საგნების მშრალად სწავლებას ნაყოფი და მით უფრო ასეთი სწავლება ყოვლად მიუღებელია ჩვენს შრომის სკოლებში. პედაგოგიურ განხრის ცხრაწლედში, როგორც სპეციალი საგნები, განხრის დამხასიათებელნი, სხვათა შორის, ისწავლება მატერიალისტური ფსიქოლოგია, ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია და პედოლოგია. ვსთქვათ, რომ ის კურსი, რომელიც გათვალისწინებულია უკანასკნელი საგნისთვის (პედოლოგიისათვის), ასე, თუ ისე არ მოითხოვს განსაკუთრებული ლაბორატორიას, კაბინეტს. მხოლოდ პირველი ორი საგანი—ეს პირდაპირ ცდისეული საგნებია და მათი სათანადოდ გავლაა საჭირო. სათანადოდ მათი გავლა კი, ულაბორატორიოდ, თუნდ ღარიბ, შეუძლებელია. ფსიქოლოგია, რომელიც ერთის მხრივ ექსპერიმენტალურ ფსიქოლოგიაზე და მეორეთი—ფიზიოლოგიაზეა დამყარებული, აუცილებლად ზედმიწევნითი შესწავლის საგანი უნდა იყოს ამ სკოლებში. უნდა უკუვაგდოთ ის აზრი, რომ მეცნიერული მუშაობა—ეს მხოლოდ უნივერ-

სიტეტ დამთავრებული ხალხის საქმეა,—უნდა მივიდეთ იმის შეგნებამდე, რომ ყველა მასწავლებელი უნდა იწვოდეს თავის წმინდათა-წმინდა მოვალეობისათვის, თვითეული მასწავლებელი უნდა იყვეს მუდამ იმის ძიებაში, თუ რომელი მეთოდი გამოდგება. არ კმარა-მარტო სხვას ასწავლო, უნდა იცოდე **რას** ასწავლი და **ვის** ასწავლი. უამისოდ შეუძლებელია მეცადინეობის ნორმალ კალაპოტში ჩაყენება და ერთ-ერთი აუცილებელი წინამძღვარი თანამედროვე აღმზრდელობის არის—შეისწავლეთ, რაც შეიძლება დაწვრილებით, აღზრდის ობიექტი, ბავშვი! **„შეისწავლეთ, როგორც არ მოგიხდეთ, ბავშვი“**, იტყოდა ჯემსი, რუსო, სპენსერი, პესტალოცი—ყველა ამასვე იტყვის. ექსპერიმენტალურ პედაგოგიკის მამამთავრის—სტ. ხოლლით—„პედაგოგიკა მოწაფეთა შესწავლაზე უნდა ამენდეს, სასკოლო პროგრამების და მეთოდების მოთხოვნა მოწაფის სულიერ განვითარებასთან უნდა იყოს შეფარდებული. სკოლის ცენტრში მოწაფე უნდა იდგეს; აღზრდა კი - „პედეოცენტრიული“ უნდა იყოს“...

არასდროს არ ყოფილა ჩვენში უკეთესი ნიადაგი, რომ ამ გზით წარმოებულიყო მუშაობა. კომისარიატმა, რომელიც ეგზომ დაინტერესებულია იმაში, რომ სკოლა სინამდვილეს დაუახლოვდეს და მოეწყოს სწავლების საქმე რაციონალურად,—უნდა მიაქციოს ყურადღება და ნიადაგი მოუმზადოს მას. უნდა გაჩნდეს თვითეულ საცდელ-საჩვენებელ და პედაგოგიურ განხრითი სკოლებში ექსპერიმენტალურ ფსიქოლოგიის პატარა ლაბორატორიები, სადაც მასწავლებელ-მოწაფეთა მიერ მუდამ მეცნიერული მუშაობა იწარმოებს. სასკოლო პროგრამები თვითეულ სკოლის გამოცდილების და ზემოდ ნათქვამ მუშაობის საფუძველზე უნდა აიგოს. საქართველოში მხოლოდ სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებობს ფსიქოლოგიური ლაბორატორია, ისიც ძალაზე ღარიბი. დიდი ნაკლია ეს ჩვენი. აუცილებელია, მოგვარდეს საქმე. ასეთი ლაბორატორიები ძალიან იაფად შეუძლია უცხოეთიდან შეიძინოს კომისარიატმა. ვფიქრობთ, დაგვიანებას არ ითხოვს ეს საქმე. ამის მოგვარებით პედაგოგიური განხრები იმედს გაამართლებენ და განათლების კომისარიატის გონივრული ნაბიჯი განხრების შემოღებაზე, სასურველად დაგვირგვინდება.

ლ. სუხიაშვილი.

ცხრაწლიანი შრომის სკოლების განხრის შესახებ.

უველამ იცის, რომ ყოველ წელს საქართველოს ცხრაწლიანი შრომის სკოლები აუარებელ კურსდამთავრებულ ახალგაზრდობას უშვებს; ცხადია, ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები ვერ დაიტევს ამდენ მსმენელს და ბევრი რჩება გზა აბნეული. ალბად ამით იყო გამოწვეული საქ. სახალხო კომისარიატის განკარგულება, რომ ცხრაწლედებში შემოღებული ყოფილიყო რომელიმე განხრა, რომ ამ გზით გამრავლებულიყო საშუალო კვალიფიკაციის მუშაკნი მაინც, რომლებიც ასე საჭიროა ჩვენი ახალი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის.

შემოღებული იყო ცხრაწლიანი შრომის სკოლებში ესა თუ ის განხრა, მაგალ., პედაგოგიური, კოოპერატიული, სასოფლო მეურნეობის და ადმინისტრატიული. დავალებული ქონდა ადგილობრივ განათლების ინსპექციას გაეტარებია ასეთი შესწორება შრომის სკოლებში.

ჯერ ვადაჭრით არ შეიძლება ითქვას, როგორ ჩამოყალიბდება განხრის საქმე შრომის სკოლებში და არ ვიცით რა მოელის შრომის სკოლის უკანასკნელ ორ ჯგუფს, რადგანაც, მგონი, ისინი განმზადილია სალიკვიდაციოდ, მაგრამ შეიძლება აღვნიშნო იმ სამი-ოთხი თვის დაკვირვება, რომელიც თვით მე შემეძლო განმეცადა. მე მხოლოდ ვეხები კოოპერატიულ განხრას.

მე მომანდვეს ქუთაისის ერთ-ერთ სასწავლებელში მთლიანად კოოპერატიული განხრა; ეს ახალი საქმე იყო და პირველად არ მსურდა მარტო მე მეკისრა სამ ჯგუფში კოოპერატიული განხრის გაკვეთილები და პრაქტიკუმები; მაგრამ მე დამაინტერესა ახალმა საქმემ; მინდოდა გამეგო რა შედეგს გამოიღებდა სასწავლებელში ასეთი მუშაობა და სასწავლებლის ადმინისტრაციის წაქეზებით დავთანხმდი და შეუდეგი მუშაობას; დავაარსე მოწაფეთა კოოპერატივი, სადაც თვით მოწაფეები მუშაობენ და სწავლობენ პრაქტიკულად ანგარიშ-წარმოებას, ვაკვირდებოდი და, ვაკვირდები მუშაობის მსვლელობას და შემიძლია შემდეგი დასკვნა გამოვიყვანო: კოოპერატიული განხრა, უკანასკნელ ჯგუფებში, მიზანშეწონილია, მოწაფეები ძალიან დაინტერესებულია, ისინიც ატყობენ, რომ იმათ დიდ უმრავლესობას ამ დარგში შეხვედებათ მუშაობა; იციან, რომ საბჭოთა ხელისუფლება მოხერხებულად მოიხმარს კოოპერაციას სოციალისტური მეურნეობის აღმშენებლობის იარაღად; მოწაფეებმა ძალიან კარგად შეიგნეს ლენინის სიტყვები, რომ „კოოპერაცია ჩვენში სრულიად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ღებულობს“ და რომ „ის საზოგადოებრივი წყობილება, რომელიც ჩვენ უნდა განვამტკიცოდ, არის კოოპერატიული“.

თუ როგორ უნდა სწარმოებდეს განხრის მუშაობა სკოლებში, ამის შესახებ, თუ საშუალება მომეცა, შემდეგში გამოვსთქვამ ჩემს აზრს, მხოლოდ ახლა მე მგონია, თუ განხრას მიექცა განსაკუთრებული ყურადღება ნაყოფს გამოიღებს და შექმნის ახალგაზრდა მოწაფეებიდან იმისთანა მომავალ თაობას, როგორიც საჭიროა საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის და ბევრს აიცდენს ქუჩაში ყიალს საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ.

უნდა ვიყო გულწრფელი და აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ტეხნიკუმებისა და განხრის გაკვეთილების ტარიფიკაციის სხვადასხვაობა ძალიან შეუშლის ხელს განხრის საქმეს; არა მარტო ტეხნიკუმებისა და განხრის გაკვეთილებთა შორის არის განაკვეთის მიხედვით სხვაობა, არამედ ტფილისსა და პროვინციებს შორისაც ვამჩნევთ ამას: ტფილისში განხრის 15 გაკვეთილში იღებენ განაკვეთს,—ქუთაისში, კი—18 გაკვეთილია განაკვეთი, რაც დაუშვებლად მიმაჩნია და მგონია, რომ ბევრი გულს აიცრუებს და ამით კი განხრის საქმე ძალზე შეფერხდება.

ჩვენს კრებულში

პრეგები და კონფერენციები.

სრულიად საქართველოს განათლების მუშაკთა მე-5 ყრილობა.

რეზოლუციები

საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის მოხსენების გამო.

სრულიად საქართველოს განათლების მუშაკთა მე-5 ყრილობამ მოისმინა საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის საინფორმაციო მოხსენება და აღნიშნავს:

1. საანგარიშო წლის განმავლობაში განათლების სახალხო კომისარიატის საქმიანობის ყველა დარგში ადგილი აქვს თვალსაჩინო წარმატებას, როგორც საორგანიზაციო, ისე პედაგოგიურ-მეთოდოლოგიურის მხრივ, რაც, სხვათაშორის, საბჭოთა სკოლის ყველა საფეხურისათვის საჭირო პროგრამების სახელმძღვანელოების და სასწავლო ხელსაწყოების შედგენა-დამუშავებასა და მიწოდებაში გამოიხატა.

2. სკოლის ასაკამდე აღზრდის სფეროში დაწყებულია მუშაობა სოფლად საბავშვო ბაღების გახსნა-მოწყობის სახით.

3. დაწყებული და ნაწილობრივად განხორციელებულია შრომის სკოლის მე-2 საფეხურის რეორგანიზაცია, 1 კონცენტრის სოფლის ახალგაზრდობის სკოლებად გარდაქმნის და 2 კონცენტრში პროფესიონალური განხრების შემოღების გზით.

4. ჯეროვანი ყურადღება ექცევა მასიური მასწავლებლობის კვალიფიკაციის აწევას, რაც სახაფხულო გადასამზადებელი კურსების საშუალებით ტარდება.

5. თვალსაჩინოდ გაიზარდა საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობა.

6. პროფესიონალური განათლების ყველა საფეხურს და დარგს სათანადო ყურადღება აქვს მიქცეული, როგორც დაწესებულებათა ქსელის გაფართოების, ისე მათი ჯეროვანად მოწყობის და პედაგოგიური მუშაობის დაყენების მხრივ.

7. სამეცნიერო-სამეუხეშო დარგში შეკრება მეცნიერულად შესწავლის მხრივ, მუშაობა გაცხოველებულია.

8. მოსახლეობაში წერა-კითხვისა და პოლიტიკური უცოდინარობის სალიკვიდაციო მუშაობა გაძლიერებულია.

9. ამასთან ერთად ყრილობა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ განათლების სახ. კომისარიატს კულტურულ-განმანათლებელ აღმშენებლობისათვის საჭირო ნივთიერი საშუალება არ მოეპოება, როგორც სკოლების და სამეცნიერო დაწესებულებათა მოწყობა-უზრუნველსაყოფად, ისე განსაკუთრებით— პირველ რიგში თვით განათლების მუშაკთა ნივთიერი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ზემოხსენებულის მიხედვით, ყრილობა საჭიროდ აღიარებს:

1. გაფართოვდეს მუშაობა სოფლად საბავშვო ბაღების გახსნისა და ნივთიერად უზრუნველყოფის მიმართულებით.

2. გაფართოებულ იქნას მასიური სკოლის (4 წლედის); ქსელი საყოველთაო-სავალდებულო სწავლების შემოღების მიმართულებით და ამ მხრივ პირველ რიგში ჩამორჩენილ მაზრებს მიექცეს ყურადღება.

3. მიღებულ იქნას გადამჭრელი ზომები სკოლების შენობების შესაკეთებლად და სკოლების დასაკმაყოფილებლად საჭირო ავეჯეულობით, სასწავლო ხელსაწყოებით და სკოლასთან მეურნეობის შესაქმნელად საკმაო მიწის ნაკვეთით.

4. უახლოეს წლების განმავლობაში განხორციელებული იქნას მასიური სკოლის ბუნებრივი ზრდა და ადგილი არ დაურჩეს, ერთ, ორ და სამწლიან 1-ლი საფეხურის შრომის სკოლებს.

5. ენერგიული ზომები იქნას მიღებული 1-ლი საფეხურის სკოლის მასწავლებლის განსატვირთავად პირველ რიგში და საჩქაროდ ოთხი და სამი და შემდეგ ორი ჯგუფისაგან.

6. გაგრძელდეს მუშაობა სოფლის მეურნეობის პირობებში მომქმედ შრომის სკოლის მე-2 საფეხურის 1 კონცენტრის სოფლის ახალგაზრდობის სკოლებად გადაკეთების მიმართულებით, მაგრამ აუჩქარებლად საქმის საიმედო ნივთიერ და იდეურ საფუძველზე დაყენებით.

7. ამასთან პარალელურად მიღებულ იქნას ზომები ქალაქის მეურნეობის პირობებში მომუშავე 1 კონცენტრის ქალაქის წარმოებასთან დასაკავშირებლად.

8. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მე-2 კონცენტრში შემოღებულ პროფესიონალური განხრების სათანადოდ დასაყენებლად და მიღებულ იქნას გადამჭრელი ზომები, რათა მე-2 საფეხურიდან გამოსული ახალგაზრდობის უდიდესი ნაწილი სოფელს დაუბრუნდეს აღმშენებლობაში ნაყოფიერი მონაწილეობის მისაღებად.

9. მასწავლებელთა გადასამზადებელ მუშაობაში საკმაო ადგილი დაეთმოს მე-2 საფეხურის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას.

10. განათლების სახალხო კომისარიატის მხრივ ამოწურული იქნას ყველა საშუალება განათლების მუშაკთა ნივთიერი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და ხელფასის სიჭრელის გამოსასწორებლად.

11. საბჭოთა სკოლის ყველა ტიპისა და საფეხურისათვის სათანადო ცოდნით აღჭურვილ პედაგოგიური ძალების მომზადების მიზნით, სახ. უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის სასწავლო გეგმებში და პროგრამებში შეტანილ იქნას საჭირო ცვლილება.

12. ყველა ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, მიღებული იქნას ზომები ადგილობრივი განათლების ორგანოების ყოველმხრივ გასაჯანსაღებლად და, კერძოდ, ინსტრუქტაჟის მოსაწესრიგებლად რესპუბლიკის მასშტაბით.

13. განათლების სახალხო კომისარიატის პედაგოგიურ ორგანოს გამოცემის სისტემატიური ხასიათი მიეცეს და მიღებულ იქნას ზომები, რათა მისი შინაარსი

საბჭოთა სკოლის მოთხოვნილების ყველა მხარეს აკმაყოფილებდეს.

14. გაძლიერდეს მუშაობა სკოლის ყველა საფეხურისათვის საჭირო სახელმძღვანელო, და დამხმარე და. კერძოდ, პედაგოგიური ლიტერატურის გამოსაცემად.

15. პროფგანათლების დარგში ჯეროვანი ყურადღება მიექცეს სასოფლო-სამეურნეო და ხელოსნურ ცოდნის გამავრცელებელ დაბალ სკოლების ქსელის გაფართოებას სკოლების მუშაობის დაკავშირება-შესათანხმებლად.

17. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს პედაგოგიური ტეხნიკუმების ხელმძღვანელ მასწავლებელთა შერჩევას და ამ სასწავლებლების სათანადოდ მოწყობას; სათანადო ყურადღება მიექცეს პედაგოგიურ ინსტიტუტს. რათა მან შესძლოს სოფლის ახალგაზრდობის სკოლების ხელმძღვანელ მასწავლებელთა და საერთოდ სახალხო განათლების ორგანიზატორების მომზადება.

18. ყველა საშუალება იქნას გამოყენებული ყველა საფეხურის პროფსკოლების წარმოებასთან და საერთოდ საბჭოთა აღმშენებლობასთან დასაკავშირებლად.

19. უმაღლესი სასწავლებლების მუშაობა, როგორც ფაკულტეტების ხასიათით, ისე მაღალი კვალიფიკაციის მუშაკების მომზადებით რესპუბლიკის კულტურულ-ეკონომიურ მოთხოვნილებასთან უნდა იყოს შეფარდებული.

20. სახელმწიფო გამომცემლობის დარგში გაფართოვდეს სახელმძღვანელო, დამხმარე, მეცნიერულ-პოპულიარული ლიტერატურის და კლასიკოსების გამოცემა და ფხიზელი ყურადღება მიექცეს თვით წიგნის გავრცელებას.

21. სამეცნიერო-სამუზეუმო დარგში ზედმეტი უსარგებლო პარალელიზმის თავიდან ასაცილებლად საჭიროდ გატარდეს მთავრობის დადგენილება სამუზეუმო და საბიბლიოთეკო საქმეთა რეორგანიზაცია—ცენტრალიზაციის შესახებ.

22. მოწვეულ იქნას საენათმეცნიერო კონფერენცია, რომელიც შეიმუშავებს და საბოლოოდ დაადგენს ქართული სალიტერატურო ენის ფორმებს.

23. პოლიტგანათლების დარგში გაფართოვებულ იქნას წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირე ცოდნის სალიკვიდაციო მუშაობა და მიღებულ იქნას ზომები ჭოხსამკითხველოს. როგორც სოფლის კულტურულ ცენტრის, სათანადოდ დასაყენებლად.

24. ყურადღება მიექცეს მოსახლეობაში სასოფლო-სამეურნეო და სხვა პრაქტიკულ ცოდნათა გამავრცელებელ კურსების მოწყობას.

25. აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს საქართველოს, აფხაზეთის, აჭარისტანის და სამხრეთ-ოსეთის განათლების სახალხო კომისარიატების შეთანხმებული მუშაობა, რის საშუალებათ, სხვათაშორის, ამ კომისარიატების წარმომადგენელთა თათბირები უნდა ჩაითვალოს.

აჭარისტანის განათ. სახ. კომისარიატის მოხსენების გამო.

1. საქართველოს განათლების მუშაკთა კავშირის მე-5-თე ყრილობამ მოისმინა რა აჭარისტანის განათლების სახალხო კომისარის მოადგილის ამხ. ქუთათელაძის მოხსენება აღნიშნავს დიდ მიღწევებს განათლების დარგში საერთოდ და ჭერძოდ მასიური სკოლების აჭარელ სოფლებში ნაყოფიერ ზრდასა და წინსვლას საბჭოთა ხელისუფლების ხანაში.

2. იღებს რა მხედველობაში იმ ობიექტიურ პირობებს ზნე-ჩვეულება ხასიათისა და სარწმუნოებრივი თავისებურობის მხრივ, რომელშიდაც უხდებოდა მუშაობა აჭარისტანის განათლების სახალხო კომისარიატს, ყრილობა აღიარებს, რომ მედრესის სკოლების აღმოსაფხვრელი ღონისძიებანი დასახულია სწორად და მიზანშეწონილად.



კლარა ცეტკინი

3. მედრესის სკოლებთან ბრძოლის ნაყოფიერების მიზნით, ყრილობა სცნობს აუცილებლად, რომ განათლების სახ. კომისარიატის მთავარი ყურადღება მიქცეულ იქნას სოციალურ აღზრდის დაწესებულებათა და კერძოდ საბავშო სახლების აჭარისტანის სამაზრო ცენტრებში მოწყობა განვითარებას.

4. ყრილობას საჭიროდ მიაჩნია, რომ უახლოეს დროში აჭარისტანში არსებული პირველ საფეხურის სკოლები ჩამოყალიბებულ იქნას ნორმალურ ოთხწლედებად, რისთვისაც განათლების კომისარიატს უნდა მიეცეს განსაკუთრებული თანხა.

5. მეორე საფეხურის სკოლის უფრო მიზანშეწონილ ფორმად აჭარისტანში, ყრილობა სთვლის გლეხთა ახალგაზრდობის სკოლას, ინტერნატით და მოსამზადებელ ჯგუფით.

6. საჭიროა მოწყობილ იქნას კურსები, არა მარტო პირველ საფეხურის სკოლების მასწავლებელთა გადასამზადებლად, არამედ გლეხთა ახალგაზრდობის სკოლებისათვის მუშაკთა მოსამზადებლად.

7. აღნიშნავს რა აჭარლების მკვიდრთა შორის სხვაადასხვა დარგის სპეციალისტების არ ყოლას, ყრილობ უცილებელ საჭიროებად სთვლის, აჭარისტანში არსებული მუშფაკის განმტკიცება-გაფართოებას, ქარხნებისა და აჭარისტანის მიწის მუშებისათვის სტიპენდიების დანიშვნით.

8. ყრილობას საჭიროდ მიაჩნია საბჭოთა საქართველოს განათლების კომისარიატმა კვლავაც განაგრძოს აჭარელ ახალგაზრდათა უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელების სურვილის მაქსიმალური დაკმაყოფილება მათთვის განსაკუთრებულ შეღავათის შექმნით.

9. ყრილობას აუცილებლად მიაჩნია, რომ საბჭ. საქართველოს და აჭარისტანის სახალხო განათლების კომისარიატების შორის არსებობდეს განუწყვეტელი გაცვლა-გამოცვლა მათი გამოცდილებისა და მიღწევათა შესახებ. საბჭოთა შრომის სკოლის თეორიის და პრაქტიკის სფეროში.

საორგანიზაციო საკითხების შესახებ.

I. **საერთო დებულებანი.** გასული საანგარიშო წლის ჩატარებულმა მუშაობამ სავსებით გაამართლა მე-4 ყრილობის მიერ აღებული ხაზის სისწორე საორგანიზაციო დარგში. ეს საანგარიშო წელი ხასიათდება რაც შეიძლება მასასთან მეტი დაახლოებით, მათი პროფ. და საზოგადოებრივ მუშაობაში ჩაბმით, ადგილებთან ცოცხალი კავშირის გაძლიერებით, აქტივობის ამოძრავებითა და სხვა. მომავალშიც საორგ. განყოფილების მუშაობას უნდა შეადგენდეს უკვე წარმოებული მუშაობის გაგრძელება, გაღრმავება და გაფართოება პროფმუშაობისა საკავშირო მასაში და უკანასკნელთა ჩაბმა მუშაობაში.

II. **სამაზრო განყოფილებების და ავტონომიურ რესპუბლიკების შესახებ.** 1. სამაზრო განყოფილებათა და ავტონომიურ რესპუბლიკების მუშაობას საგრძნობი გაძლიერება და გამოცოცხლება ეტყობა, რაშიდაც, ეჭვს გარეშეა, უდიდესი როლი ითამაშა ც. გ. ცოცხალმა კავშირმა ადგილებთან. უნდა იქნას ცნობილი ამ მუშაობის გაგრძელების აუცილებლობა, მხოლოდ იმ პირობით, რომ ც. გ. წარმომადგენლები ადგილებზე ეცნობოდენ ძირითად უჯრედების მუშაობას და კავშირის ფართო მასის მდგომარეობის გაცნობა გაშუქებას.

2. ვინაიდან გასული წლის მუშაობამ ნათლად დაგვანახა, რომ სამაზრო განყოფილებების და მათში შემავალ ადგილკომების მდივანთა თათბირი ერთი საუკეთესო საშუალებათაგანია ჩვენი მუშაობის შესაფერ დონეზე დაყენებლად, საჭიროდ უნდა იქნას ცნობილი ასეთი თათბირების სისტემატიურად და რეგულიარულად მოწვევა.

3. ვინაიდან გასულ წელში მთელ რიგ მაზრების გამოკვლევამ დაგვანახა ადგილკომებში და სამაზრო განყოფილებებში შემავალ სხვადასხვა კომისიების სიხუსტე, საჭიროდ იქნას ცნობილი საკავშირო ორგანოების განსაკუთრებულ ყურადღების მიქცევა ამ კომისიების მუშაობის გაცხოველების მიზნით (საანგარიშო მოხსენებები ადგილკომებისა და გამგეობის სხდომებზე, თათბირების მოწვევა და სხ.).

4. ადგილებზედ განათლების კავშირის წევრები საკმაოდ არიან ჩაბმულნი საზოგადოებრივ მუშაობაში (გლეხკომებში, საბჭოებში, კოოპერაციაში და სხ.); რომ ამ მუშაობას ნაწილობრივი შემთხვევითი ხასიათი არ ექნეს. საჭიროდ იქნას ცნობილი მათზე უშუალო ხელმძღვანელობის გაწევა საკავშირო ორგანოების მიერ.

5. რათა კავშირი ცენტრისა და სამაზრო ორგანიზაციებს შორის უფრო ცხოველი, საქმიანი და მიზანშეწონილი იყვეს, საჭიროა შედგენილ იქმნეს კალენდარი, რომლით გათვალისწინებული იქნება ის, თუ რომელი მაზრა საჭიროებს მეტ ცხოველ ურთიერთობას ცენტრთან, რომ ამით ამ უკანასკნელთ ეძლეოდეთ პირველ რიგში დახმარება, გაძლიერებულ ცოცხალ კავშირის სახით.

6. საჭიროა, რომ ერთი მაზრის ხელმძღვანელი ამხანაგები უშუალოდ ადგილზევე ეცნობოდენ მეორე მაზრის პროფორგანოების საქმიანობას. ამიტომ ზედმეტი არ იქნება, რომ ცენტრიდან გაგზავნილ ამხანაგებს თან მიჰყვებოდეს ამა თუ იმ მაზრაში სხვა მაზრის პასუხისმგებელი პროფმუშაკი.

7. ჟურნალის საშუალებით უნდა ხდებოდეს უფრო დეტალური ახსნა-განმარტება სხვადასხვა საინსტრუქციო ხასიათის საკითხებისა.

8. ადგილკომები ირჩეოდეს წლის ვადით.

III. **უმუშევართა შესახებ.** 9. უმუშევართა რიცხვი ჩვენს კავშირში საგრძნობია. ვინაიდან კავშირს არ შეუძლია ყველას გაუწიოს მატერიალური დახმარება, საჭიროდ იქნას ცნობილი მათი მდგომარეობის ყოველმხრივი გამოკვლევა და სისტემატიური დახმარების გაწევა უკიდურეს გაჭირვებულებზედ.

IV. **წევრობა.** 10. ყველასათვის აშკარა არის, რომ კავშირიდან წევრების გამორიცხვა უმაღლესი სასჯელია. ვინაიდან გასული წლის განმავლობაში ასეთ მოვლენებს, განსაკუთრებით მაზრებში, ხშირად ქრნდა ადგილი, საჭიროდ ინქას მიჩნეული მეტის სიფრთხილით მოპყრობა, როგორც გამორიცხვის, აგრეთვე კავშირში წევრად მიღების საკითხისადმი.

V. **სექციების შესახებ.** 11. მიუხედავად იმისა, რომ ამ საანგარიშო პერიოდში მეცნიერების მუშაკთა და ბეჭდვითი სექციების მუშაობა შედარებით გამოცოცხლდა, საჭიროდ იქნას ცნობილი ხსენებული სექციების მუშობის მეტი გაძლიერება.

VI. **ფინანსები.** 12. ყრილობა სთვლის რა კავშირის ნაყოფიერ მუშაობისათვის ერთ უმთავრეს ფაქტორად მის ფინანსიურ სიმტკიცეს, საჭიროდ მიაჩნია, უახლოეს დროისათვის დაფარულ იქნეს ყოველგვარი ვალები. საერთოდ ფინანსების მკვიდრ ნიადაგზე დასაყენებლად საჭირო შემდეგი ღონისძიებანი:

1. მოწესრიგებულ იქნეს ფინანსიური დამოკიდებულება ც. გამგეობის და მის ქვემდგომ ორგანოებს შორის.

2. გადაყვანილ იქნას ყველა სამაზრო განყ. მტკიცე ხარჯთ-აღრიცხვითი არსებობაზე. ნაშთი ხარჯთ-აღრიცხვის მიხედვით გადმოგზავნილ იქნეს ც. გამგეობაში. მოწესრიგებულ იქნას საწევრო ანარიცხების შეკრება და მათზე კონტროლი. შედგენილ იქნას ხარჯთ-აღრიცხვა დეფიციტის ლიკვიდაციით, რომლის მტკიცედ გატარება დაევალოს ც. გამგეობას.

აგრეთვე საჭიროდ იქნას აღიარებული ფინანსიური ანგარიშების დასმა კავშირის ფართე მასების წინაშე.

VII. **ახალგაზრდათა და ქალთა შორის მუშაობა.**—13. ჩვენს კავშირში ახალგაზრდათა და ქალთა შორი მუშაობას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. არ არის არც ერთი ჩვენი ორგანიზაცია, ან საზოგადოებრივი მუშაობა, რომ ახალგაზრდები, განსაკუთრებით კი ქალები, მონაწილეობას არ ღებულობდენ. საჭიროდ იქნას ცნობილი ამ მუშაობის გაგრძელება.

VIII. **მოსწავლე ახალგაზრდობის შესახებ.**—14. განსაკუთრებულ სიძნელეს წარმოადგენს სტუდენტთა შორის მუშაობა, საჭიროდ იქნას ცნობილი მუშაობის ამ დარგზე უდიდესი ყურადღების მიპყრობა.

IX. **პროფ. უმცირესობათა შესახებ.**—15. ვინაიდან განათლების კავშირი აერთიანებს სასკოლო მუშაკების გარდა სხვა დარგის მომუშავეთა, როგორიცაა ბიბლიოთეკის, ტეხნიკური პერსონალი და სხვა, საჭიროდ იქნას ცნობილი მათი ცალკე თათბირის მოწვევა და სპეციფიური კითხვების გაცნობა-გაშუქება.—

X. **მასიური მუშაობა.**—16. აღვნიშნავთ რა ყოველგვარი მუშაობის გადატანის აუცილებლობას კავშირის ფართო მასებში, ამ უკანასკნელთა კავშირთან დაახლოების მიზნით, საჭიროა: რაც შეიძლება ხშირი მასიური კრებების მოწვევა და ფართო გაშუქება ყოველივე კითხვების: ამ კრებებზე საანგარიშო მოხსენებების დასმა საერთოდ და განსაკუთრებით ფინანსიური და სხვა.

VI. **პროფაქტივის შესახებ.**—17. პროფაქტივის გაძლიერების მიზნით აუცილებელი საჭიროა ადგილკომების და მათში შემავალი კომისიების კონფერენციის, რაც შეიძლება ხირი მოწვევა.—

VII. **სტატისტიკა.**—18. უნდა აღინიშნოს, რომ სტატისტიკას კავშირისათვის საკმაო მნიშვნელობა აქვს. ვინაიდან ეგ მუშაობა სათანადოდ არ არის მოწესრიგებული, მიექცეს ც. გ. ყურადღება ამ საქმის მოგვარებას როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე.—

XIII. **კავშირის ორგანოების სტრუქტურის შესახებ.** 19. ვინაიდან ამ ჟამად არსებული კავშირის ორგანოების პ/მგებელ მომუშავეთა მდივნებად სახელწოდება მოკლებულია შინაარს და სინამდვილეს არ შეესაბამება, საჭიროდ იქნას ცნობილი, თანახმად უმაღლეს ორგანოების დადგენილებისა. თავმჯდომარის, მდივნის და ხაზინადრის ინსტიტუტის შემოღება.



დევალერა მიტინგზე.

ირლანდიელი გამოჩენილი რევოლუციონერი.

სატარიფო-საეკონომიო სექციის სხდომისა.—

ვითვალისწინებთ რა კავშირის წარსულ წლის მუშაობას სატარიფო-საეკონომიო დარგში უნდა აღვნიშნოთ:

1) გათლების მუშაკთა ზოგიერთ (ტეხნიკუმების, საცდელ-სანაჩვენებელ სკოლების და სხვა მუშაკთა) ჯგუფების ხელფასის შესამჩნევი ზრდა;

2) მასიური სკოლების, განსაკუთრებით პირველ საფეხურის, მუშაკთა ხელფასის სიმცირე, მიუხედავად იმისა, რომ წარსულ პეროდში მათი მდგომარეობა რამოდენიმედ გაუმჯობესდა;

3) მთლიანი ტარიფის ზოგიერთი დეფექტები (გაუთვალისწინებელია წერითი სამუშაოების გასწორებისათვის, პრაქტიკული და წრეში მუშაობისათვის ცალკე ხელფასი), რომელიც იწვევს განათლების მუშაკთა მნიშვნელოვანი ჯგუფის სამართლიან უკმაყოფილებას;

4) არ არის მოგვარებული საწარმოო თათბირების მუშაობა.

ვღებულობთ რა მხედველობაში ზემოდნათქვამს, უმთავრესად კი ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ აღორძინებას და იმას, რომ საბჭოთა ხელისუფლება უდიდეს ყურადღებას აქცევს მუშათა და გლეხთა მასის განათლების საქმეს და ვსთვლით რა უდაოდ, რომ განათლების მუშ. ნივთიერ უზრუნველყოფა, მათი შრომის დაცვა და განათლების მუშაკთა მასის თავის წარმოების ორგანიზაციის საქმეში აქტიურად ჩაბმა აუცილებელია სოციალისტურ სახელმწიფოს განათლების საქმის შესაფერ სიმაღლეზე დაყენების მიზნით—საჭიროდ მიგვაჩნია:

1) მიღწეულ და დაკანონებულ იქნას კულტ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა და კერძოდ კი სკოლების მტკიცე ქსელი;

2) თვითეულ დაწესებულებებისათვის მტკიცე შტატის დაწესება. ამ მხრით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ყველა ტიპის სკოლების შტატს.

3) შტატის განსაზღვრას საფუძვლად უნდა დაედოს ის სასწავლო გეგმა და შრომის ნორმები, რომელიც გათვალისწინებულია ს. ს. რ. კ-ის განათლების მუშაკთათვის ჩვენი ტარიფით;

4) მიღწეულ იქნას სამუშაო ხელფასის გამოანგარიშება აუცილებლად საშტატო კონტინენტის და არა ფიზიკურ პირთა მიხედვით, როგორც ეს ამ ჟამად ხდება 1 და 2 საფეხურის სკოლების მიმართ.

5) გაძლიერებულ იქნას კავშირის მონაწილეობა განათლების სახალხო კომისარიატისა და ყველა მის ორგანოების წარმოებითი მუშაობაში და ამასთანავე ყურადღების ცენტრად უნდა დარჩეს ისევ საბიუჯეტო მუშაობა და ხელფასის ფონდი. აუცილებლად საჭიროა, რომ კავშირის ცენტრ. გამგეობა სისტემატიურ ხელმძღვანელობას უწევდეს ადგილებს ამ მუშაობაში;

6) აღვნიშნავთ რა საწარმოო თათბირების ორგანიზაციის განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რომელიც განათლების მუშაკთა ფართო მასის თავის წარმოებაში ჩაბმით ხელს უწყობს სასკოლო საქმის გაუმჯობესებას, საჭიროა დაუყონებლივ ასეთების მოწყობა და ამ ორგანიზაციების მუშაობა რაც შეიძლება ფართოდ იქნას გამოყენებული;

7) ხელფასის გადიდებისათვის ბრძოლა განსაკუთრებით ჩამორჩენილ ჯგუფებისათვის (ოთხწლედის გამგებლობისათვის უნდა მიეცეთ განსაკუთრებული ხელფასი) კავშირის მოქმედების მთავარი ამოცანა უნდა იყოს. ამ საკითხში მომავალ პერიოდისათვის კავშირმა მიზნად უნდა დაისახოს განათლების მუშაკთა ყველა ჯგუფების გათანასწორება იმ ჯგუფებთან, რომელნიც უმაღლეს ხელფასს იღებენ;

8) სამუშაო ხელფასის მოგვარებისათვის საუკეთესო საშუალებად აღიარებულ იქნას კოლექტიურ ხელშეკრულებების და სატარიფო შეთანხმებების დადება. საჭიროა კავშირმა ეს მუშაობა უფრო გააფართოვოს და კოლხელშეკრულებები და სატარიფო შეთანხმებები დადებულ იქნას ყოველ ჯგუფისათვის. ამასთანავე მეტი ყურადღება მიექცეს ხელშეკრულებების საკითხების განხილვას კავშირის ფართო მასების კრებებზე;

9) დაისვას საკითხი და გატარებულ იქნას დეკრეტით განათლების მუშაკთათვის მინიმალური განაკვეთი. ამასთანავე უნდა ვეცადოთ, რომ ეს განაკვეთი ს. ს. რ. კ. შესაფერი ზოლის მუშაკთა ხელფასზე მცირე არ იქნეს.

მიღწეულ იქნეს, რომ სოფლის და ქალაქის 1 და 2 საფეხურის სკოლის მასწავლებლები ერთ და იმავე კვალიფიკაციის შემთხვევაში ღებულობდენ თანასწორ ხელფასს, კულტურულ ძალის სოფლად ჩაბმის მიზნით;

10) ვაქცევთ რა სათანადო ყურადღებას ჩვენი კავშირის ძირითად მასას, სკოლის მუშაკებს, ამასთანავე აუცილებელია უფრო ფართოდ, ვიდემ ეს ახლამდის იყო, გამგეობამ გაითვალისწინოს კავშირის წევრთა დანარჩენი ჯგუფების (ბიბლიოთეკის, ქოხ-სამკითხველოების და სხვა

მუშაკების) ინტერესები ყოველგვარ სატარიფო-საეკონომიო დარგში, როგორც ტარიფით, შრომის დაცვით, ისე ხელფასით.

მიღწეულ იქნას წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლების მასწავლებელთა ხელფასის გადიდება და მიზნად იქნეს დასახული მათი ხელფასის I საფეხურის სკოლის მასწავლებელთა ხელფასთან გათანასწორება;

11) მომავალ მუშაობაში გამოსწორებულ უნდა იქნას ტარიფის ყველა ნაკლულევანებანი, რომლებმაც თავი იჩინეს ტარიფის პრაქტიკულად გატარების დროს;

12) აღიარებულ იქნას, რომ სოფლის მუშაკთა მდგომარეობა, რომლებსაც ჰყავს რამოდენიმე ჯგუფი, დღესაც მძიმეა და ყოველგვარი ღონისძიება უნდა იქნას მიღებული ამ არანორმალობის გამოსასწორებლად; ამოცანად უნდა დავისახოდ: „ჯგუფი- მასწავლებელი";

13) შრომის კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში და მათთვის მინიჭებულ უფლების გამოყენებით უნდა სწარმოებდეს შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიების მუშათა ფრაქციის ხელმძღვანელობა, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ტფილისს, სადაც ადგილკომების რეორგანიზაციის შემდეგ ეს მუშაობა საგრძნობლად შესუსტდა;

14) სახალხო განათლების საქმისათვის საერთოდ ასიგნობის გადიდებასთან ერთად, აღებული უნდა იქნას უფრო მტკიცე გეზი შრომის დაცვის საკითხებში (ბინები, შრომის პირობები, სპეცსაცმელი და სხ).

გამომუშავებულ და ცხოვრებაში გატარებულ იქნას მოწაფეთა რაოდენობის ნორმა ჯგუფში.

15) გაგრძელებულ იქნას მკაცრი ბრძოლა დავალიანებისა და დაგვიანებულად ხელფასის გაცემის წინააღმდეგ, ადმინისტაციის სასამართლოში მიცემის წესით (სამედიატორო სასამართლო).

16) აღინიშნოს მიზანშეწონილობა სკოლის მუშაკების ხელფასისათვის (როგორც სმხელმწიფო, ისე ადგილობრივ) ყოველთვიური კრედიტის გახსნა, რაც მოსპობს დავალიანების შესაძლებლობას და ხელფასის დახარჯვას სხვა დანიშნულებისათვის. აღნიშნული წესი გატარებულ იქნეს განათლების მუშაკთა სხ. ჯგუფების მიმართაც (სახალხო სამეურნეო სკოლების, ბიბლიოთ. მუშ. ტეხნიკუმუმების და სხ).

დაწესებულ იქნეს მასწავლებელთა ჯამგირის მიღების დროდ არა უგვიანესი 25 რიცხვი;

17) გაძლიერდეს მუშაობა კავშირის წევრთათვის საკურორტო დახმარების საქმეში და უმთავრესი ყურადღება პროვინციას მიექცეს;


18) მიღებულ იქნეს ზომები, რათა პენსიის შესახებ კანონი გაკრცელდეს განათლების მუშაკთა ყველა ჯგუფებზე;

19) აღძრულ იქნეს შუამდგომლობა განათ. სახალხო კომისარიატის წინაშე, რათა გაუქმებულ იქნეს ნოემბრის ცირკულიარი.

აფხაზეთის განათლების სახალხო კომისარიატის მოხსენების გამო.

სრულიად საქართველოს განათლების მუშაკთა მე-5 ყრილობამ, მოისმინა რა მოხსენება აფხაზეთის განათლების სახალხო კომისარიატის მოღვაწეობის შესახებ და ითვალისწინებს რა ახალგაზრდობის და სხვა მოსახლეობის განათლების დარგში იმ მძიმე მემკვიდრეობას, რომელიც დაუტოვეს მას მეფის და მენშევიკების რეჟიმმა, აგრეთვე რესპუბლიკის მრავალ ერიან შემადგენლობას, მოწყობილ სკოლის შენობათა უქონლობას, მომზადებულ პედაგოგების ნაკლულევანებას ყველა ეროვნებათა სკოლებისათვის და სხვა მრავალ დაბრკოლებებს, რომლებიც ხელს უშლიდნენ განათლების საქმის წარმატებას, ყრილობა აღნიშნავს, რომ საბჭოთა ხელისუფლების დროს მდგომარეობა გაცილებით გაუმჯობესდა და განათლების სახალხო კომისარიატის მოქმედება საბჭოთა შრომის სკოლის მშენებლობის და მშრომელ მოსახლეობის კომუნისტურ აღზრდისაკენ არის მიმართული.

კერძოდ ყრილობას აუცილებლად მიაჩნია: 1) განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სკოლის მშენებლობას და მის მოწყობას. 2) პედაგოგების მომზადება ყველა ეროვნებათა ადგილობრივ მცხოვრებლებიდან სკოლების კვალიფიციურ პედაგოგებით უზრუნველსაყოფად. 3) ოთხწლიან სკოლების პროგრამის გაჯანსაღება თანახმად აფხაზეთის სახ. კომისართა საბჭოს სპეციალურ კომისიის შეხედულებისა. 4) აფხაზეთის ყველა ეროვნებათა სკოლების მშობლიურ ენაზე ლიტერატურის საკმაო რაოდენობით უზრუნველყოფა. 5) ყრილობას აუცილებლად მიაჩნია, რომ საბჭოთა საქართველოს და აფხაზეთის სახალხო განათლების კომისარიატებს შორის არსებობდეს განუწყვეტელი გაცვლა-გამოცვლა მათი გამოცდილებისა და მიღწევათა შესახებ საბჭოთა შრომის სკოლის თეორიის და პრაქტიკის სფეროში.



ინდოელთა ეროვნული კონგრესი

ლაიპა ლაიპატ როი, ცნობილი ბელადი ინდოელთა განმათავისუფლებელ მოძრაობისა, სინარაიეთის პარტიის ხელმძღვანელი ლოცვილობს კონგრესის გახსნის წინ.



აჭარისტანის განათლების მუშაკთა მე-ა კონფერენციის დელეგატები

აჭარისტანის განათლების მუშაკთა კავშირის მე-ა კონფერენცია ა. წ. (დეკემბერი)

კონფერენცია გახსა განათლების მუშაკთა კავშირის პ/მ. მდივანმა ამხ. ტორჩინ ავამ.

პრეზიდიუმში არჩეულიქნენ: 1) ვ. ფანცულაია, 2) ვ. ტორჩინავა, 3) გ. გორგაძე, 4) ირ. ღლონტი, 5) ქემხაძე, 6) იმედაძე, 7) ა. წულუკიძე, 8) სარიშვილი, 9) ს. ვარშანიძე, 10) არობელიძე, 11) ასათიანი, 12) ფ. ცქვიტინიძე.

განათლების მუშაკთა კავშირის გამგეობის მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ტორჩინავა, რომელიც აღნიშნავს შემდეგს: გასულ საანგარიშო წელში გამგეობას უხდებოდა მუშაობა განსაკუთრებულ პირობებში. ამ წელში ქალაქის სკოლის თანამშრომლების მიერ თავის დროზე ხელფასის მიუღებლობა დიდად აფერხებდა გამგეობის მუშაობას.

ჯამაგირები გვიანდებოდა ხანდახან რამდენიმე თვე, მამგეობა პროფმუშაობის გაცხოველების მიზნით შეუდგა მაზრებში ადგილკომების მტკიცე ნიადაგზე დაყენებას.

საანგარიშო წელში გამგეობის მიერ ჩატარებულ იყო 12—საზოგადო კრება, 24—სხვადასხვა მოხსენებებით.

გამგეობის სხდომები გაიმართა 23, სადაც განხილულ იქნა 122—საკითხი.

ჩატარებულ მუშაობაში განსაკუთრებულ ყურადღებას იბყრობს განათლების სახლის გახსნა ბახმაროზე და მგელაძის იუბილეს ჩატარება.

განათლების სახლის შოვნა ბახმაროზე დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

გასულ საანგარიშო წელში ჩატარებულ იქნა ახალი ტარიფიკაცია, რომელსაც საფუძვლად დაედო ერთიანი საკავშირო ტარიფი, რის მეოხებით მიღწეულ იქნა 30%—განაკვეთი ერთი—5—1 ხარისხისათვის 6—მან. შეცვლილ იქნა განაკვეთი 1—5—პირველ ხარისხისათვის —მან.

მიმდინარე სასწავლო წლიდან შეტანილ იქნება ტარიფებში ცვლილებები. პირველ ხარისხისათვის მოსალოდნელია 9—მან.: რომლის სახელმწიფო ბიუჯეტით უკვე დამტკიცებულია, ადგილობრივ ბიუჯეტშიც ასე იქნება გატარებული.

ამხ. მომხსენებელს მოყავს ციფრები ხელფასის ზრდის შესახებ 3—წლის განმავლობაში.

		1923 | 24წ.	24 | 25 წ.	25 | 26 წ.
მასწ. 1-ლ დაწყ. სკოლ. 1-და 2-რე ჯგუფ.	(18—გაკ.)	22—40	32—20	41—40
„ „ „ „ 3-და 4-ე „ „	(20—გაკ.)	26—20	32—20	48—30
მასწ. 2-საფ.	(18—გაკ.)	28—	38—50	49—25
ტეხნიკური პერსონალი.		(14—40	19—25	20—25
			23—10	24—30

კულტგანყოფილების მუშაობა.

1) საანგარიშო წლის პირველ ნახევარში მუშაობდა შემდეგი წრეები: ლენინზმის შემსწავლელი, პოლიტანბანის და ტეხნიკურ პერსონალისათვის. ცალკე მუშაობა შეწყდა არაჩვეულებრივი სუსხიანი ზამთრის გამო.

2) ჩატარებულ იქნა 8—პოლიტიკური და მეთოდური მოხსენებები, და 3 საღამ.—კონცერტი.

3) საანგარიშო წლის მეორე ნახევარში, განათლების სახლის გახსნის შემდეგ, მუშაობის პერსპექტივები გაუმჯობესდა. უკვე მუშაობს საწარმოო და ლიტერატურულ-სამხატვრო, პოლიტ-ეკონომიური და მხარეცოდნეობის სექციები. უკვე მუშაობს ორი წრე დრამატიულ-მუსიკალური.

მუშაობა ოლქში:

იგზავნება გაზეთები ჟურნალები და წიგნები. ეწყობა მოძრავი ბიბლიოთეკები, ადგილკომებთან დაარსებულია კულტ-კომისიები, რომელთაც დაეგზავნა საამისო დირექტივები. ჩატარებულ იქნა მთელი რიგი მოხსენებებისა სხვადასხვა თემაზე საშეფო წითელ არმიელთა ნაწილებში და სხვადასხვა.

მომხსენებელი აღნიშნავს აგრეთვე გამგეობის და კავშირის წევრთა შორის ერთსულოვან დამოკიდებულებას. მოიყვანა რამოდენიმე მაგალითი სამსახურიდან დათხოვნილ მასწავლებლების უფლებაში ადგილების შესახებ და სხვა.

გამონაკლისს შეადგენს სასწავლო წლის დასაწყისს მასიური დათხოვნა მასწ. მაგრამ პარტკომის საშუალებით მიღებულია ზომები და ისინიც მოკლე დროში იქნებიან აღდგენილი მცირედის გამონაკლისით.

ქალთა შორის სამუშაოდ გამგეობის მიერ იყო გამოყოფილი კომისია, რომელიც ენერგიულად მუშაობს და ბევრი საყურადღებო საქმეც გაკეთა.

მომხსენებელმა აღნიშნა აგრეთვე შეთანხმებული მუშაობა განათლ. კომისარიატთან. მასწავლებელთა დანიშნა-გადაყვანა და სხვა საერთო საკითხები წყდებოდა ურთიერთ შეთანხმებით.

კავშირის წევრთა მოძრაობა საანგარიშო წელში.

გასულ 1924—წლის პირველ დეკემბრისთვის კავშირში ირიცხებოდა 816 წ.

ნაციონალური შემადგენლობა.

ქართველი 730—მათ შორის აჭარელი 235.
რუსები 141.
სომხები 34.
ბერძნები 42.
ებრაელი 22.
სხვადასხვა 9.

პარტ-შემადგენლობა:.

კომუნისტი 45. ახკომკავშირელი 25. უპარტიო 925.

შეკითხვების შემდეგ გაიმართა კამათი.

სიტყვას იღებს ამხ. ხურციძე: ორატორი აღნიშნავს ტეხნიკურ პერსონალის აუტანელ პირობებს. ის მოითხოვს მეტი ყურადღება იქნეს მიქცეული მათზე და მათი ნივთიერი მდგომარეობა გაუმჯობესებული.

ამხ. ჟღენტი თავის სიტყვაში მოითხოვს შევსებულ იქნას ბიბლიოთეკა წიგნებით.

ამხ. მორჩილაძე ეხება, როგორც პირველი ორატორი, ტეხნიკური პერსონალის ნივთიერ მდგომარეობას და მოითხოვს მათი პირობების გაუმჯობესებას.

ამხ. მგელაძე თავის სიტყვაში მოითხოვს რათა ხშირად მოეწყოს საერთო კრებები, რომ მასწავლებლობა გაეცნოს და დაუახლოვდნენ ერთმანეთს.

საბოლოო სიტყვაში მომხსენებელმა ამხ. ტორჩინავამ დაკმაყოფილებით პასუხი გასცა როგოც შეკითხვებზე აგრეთვე მოკამათ. და აღნიშნა, რომ მეტის გაკეთება გამეობას არ შეეძლო მოხსენებაში აღნიშნულ მიზეზების გამო.



ბუხარელი ქალი.

15 წლისა იყო, როცა ძალად მიათხოვეს 50 წლის მოხუცს. ახლა კომკავშირელია და ქალთა განყოფილების ინსტრუქტორი.

ურთი-ერთ დამხმარე სალაროების წარმომადგენელთა კონფერენციას

ურთი-ერთ დამხმარე სალაროების წარმომადგენელთა კონფერენციამ, რომელიც მოწვეულ იქნა პროფკავშირთა საბჭოს მიერ ა|წ. თებერვლის ბოლო რიცხვებში, ვერ მიიზიდა საკმაოდ დიდი საზოგადოება. მომხსენებლად გამოვიდა ამხ. ფანცხავა.

გაცხოველებული კამათი გამოიწვია საკითხმა 0/0/0-ის ანარიცხების დაბრუნების შესახებ იმ პირებზე, რომელნიც ამა თუ იმ მიზეზით გადიან სალაროდან.

კონფერენციამ დაადგინა: დაუბრუნდეს სალაროდან გასულ წევრს 50 პროცენტი გადახდილ თანხისა, ხოლო დანარჩენი 50 პროც. გადაირიცხოს სესხის გასაცემად, სათადარიგო ფონდის დასაარსებლად და განსაკუთრებით გაჭირვებულ წევრთა ერთდროულ დახმარებისათვის.

ეს დადგენილება არ ვრცელდება წინა დროებში გადახდილ ანარიცხებზე და ტარდება ცხოვრებაში ა|წ. აპრილიდან.

ბიუროს ერთ-ერთ წარმომადგენლის წინადადება, რომ ანარიცხების 50 პროც. დაუბრუნდეს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როგორც მაგ. სამსახურიდან გასვლის ან გამორიცხვის, ან სხვა სამსახურზე გადაყვანის შემთხვევაში, კონფერენციამ უარყო.

ასეთი ზომა კი, სალაროს რიცხობრივ შემადგენლობის მუდმივ ცვალებადობას ააცდენდა და გააღონიერებდა სალაროს.

დიდი ინტერესი გამოიწვია აგრეთვე საკითხმა ვალების აკრეფის შესახებ იმ პირებისაგან, რომელნიც თავის დროზე არ იხდიან ხვედრი ვალს. ასეთ ზომებად დასახელებულ იქნა მაგ. შრომის სასამართლო ან ადმინისტრაცია (კანტორა).

კონფერენციამ მიიღო რა მხედველობაში რომ თანახმად შრ. კანონთა კოდექსისა მხოლოდ შრომის სასამართლოს ფუნქციებში შედის მშრომელთა ხელფასზე ანარიცხების გაწერა, უარყო წინადადება ვალების ადმინისტრატიულ წესით ანაზღაურება.

მომხსენებელი შეეხო აგრეთვე გადახდის ვადის გადამცილებელთა დაჯარიმებას (пени). ეს გზა კი საკმაოდ გააჯანსაღებდა სალაროების მუშაობას, მაგრამ, სამწუხაროდ კონფერენციამ ეს წინადადებაც არ ცნო მიზანშეწონილად და უარყო. სალაროს ვალების არაწესიერ გადამხდელთა წინააღმდეგ ზომებად კონფერენციამ აღიარა: ვალდებულის ვინაობის გამოქვეყნება ადგილკომებში, ადგილობრივ პრესაში, საერთო კრებებზე და უკიდურეს შემთხვევაში შრომის სასამართლოზე გადაცემით.

ამავე კონფერენციის დადგენილების თანახმად, შეესაძლებელია საუბნო სალაროებიდან გამოყოფილ იქნას სალარო 50 წევრით, თუ კი ამ გამოყოფის დროს თითეულ წევრს უწევს საერთო თანხიდან მინიმუმი 3 მან.

კონფერენციის დიდგენილებანი, პროფკავშირთა საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ—ეცნობებათ ცალკე კავშირებს.

მ. სტეფანოვი.

განათლების კავშირის უმუშევარ წევრთა გამოკვლევის შედეგები.

ამ წ. თებერვლის პირველ რიცხვებში, განათლების კავშირი შეუდგა ისეთ უმუშევარ წევრთა მდგომარეობის გამოკვლევას, რომელნიც მათი განცხადების თანახმად უკიდურეს გაჭირვებაში არიან.

გამოკვლევამ ცხად ჰყო, რომ ასეთების (უკიდურესად ღარიბთა) რიცხვში კერძო შეთხვევების გამოკლებით პედაგოგები არ შედის. ჩვეულებრივად, თუ პედაგოგი რჩებოდა უადგილოდ, ამის მიზეზი იყო ან მისი ავადმყოფობა ან სხვა მიზეზები, რომელიც ხელს უშლიდა მას სამოსწავლო წლის დასაწყისში ეზრუნა ადგილისათვის. ქ. ტფილისის უმუშევართა შორის 40 პროც. შეადგენს პროვინციიდან ჩამოსულთა რიცხვი, რომელნიც ჩამოსულან აქ სწავლის გასაგრძელებლად უმაღლეს სასწავლებელში. ძირითად კადრს ჩვენს უმუშევრებისას, თითქმის 60 პროცენტს შეადგენს ყოფილი დარაჯები მეეზოვენი სკოლებში, ძიძები, საბავშო კერების სხვა ტეხნიკური თანაშრომელნი, და ბიბლიოთეკებში მომუშავენი კერძო შემთხვევებში.

უმწეო მდგომარეობაში მყოფ წევრთა განცხადებებში, აღმოჩნდა დაახლოებით 25 პროც. ისეთი პირნი, რომელთაც აქვთ საშუალება იარსებონ კავშირის დაუხმარებლად, როგორც, მაგალითად, ქალი, რომელიც იმყოფება ქმრის კმაყოფაზე, ანუ პირიქით ქმარი—ცოლის კმაყოფაზე. აგრეთვე ისეთებიც, რომელთაც აქვთ კერძო შემოსავლის წყაროები და სხვა.

გამოკვლევის დროს ყოველგვარ საეჭვო შემთხვევებში კომისია ეყრდნობოდა უმუშევართა მეზობლების და საბინაო კომიტეტების ჩვენებებს, აღნიშნულ პირთა მდგომარეობის გამოსარკვევად.

უმ. მდგ. გამოკელევ. კომის. წევრი.

ამხ. პეტრე (გაგრატი) უგულავა.

ზუგდიდის მაზრაში, როგორც მშრომელ ინტელიგენციის, აგრეთვე მშრომელ გლეხობის და ხელისუფლების წინაშე დიდი სიყვარული, ნდობა და ავტორიტეტი აქვს დამსახურებული განათლების მუშაკთა კავშირის სამაზრო განყოფილების—გამგეობის თავმჯდომარეს, ამხ. პეტრე უგულავას. იშვიათად შეხვდებით ისეთი ჩუმი, კეთილ სინდისიერი და უანგარო მოღვაწეს, როგორიც ამხ. პეტრეა. მას თავიდანვე ბოლომდის მტკიცედ გადაუწყვეტია ემსახუროს ხალხის გათვითცნობიერების საქმეს და მედგრად ებრძოლოს მშრომელ ხალხის ერთ-ერთ უდიდეს მტერს სიბნელეს უვიცობას.

ამხ. პეტრე დაიბადა სოფელ გაშფერდში (ზუგდიდის მაზრა). როგორც მისგან გამიგონია, წერა-კითხვა მან შეისწავლა თავის მამისაგან, უკანასკნელს თურმე ეს თვით შეესწავლა დაცოლშვილიანების შემდეგ—მისი სახლში მობინადრე ნათესავ მოწაფისაგან. კირცხის პირველ დაწყებით სკოლის დასრულების შემდეგ პეტრე წაიყვანეს ქ. ახალ-სენაკში და იქ მიაბარეს სასულიერო სასწავლებელში, სადაც სწავლა დაამთავრა 1891 წელს პირველ შეგირდად. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან სწყუროდა სწავლის გაგრძელება, სიღარიბისა გამო ვერ შესძლო სისრულეში მოეყვანა თავისი სურვილი. 1893 წელს დიდი ვაი-ვაგლახით და ხვეწნა-მუდარით ამხ. პეტრე დანიშნულ იქნა სოფელ ყულისკარის სამრევლო სკოლაში მასწავლებლად. სკოლას თურმე, არ ქონდა არც ჭერი, არც იატაკი და არც ფანჯრები. ასეთ შენობაში ასწავლიდა თითქმის 9 წელი, რის შემდეგ ახალგაზრდა მასწავლებლის დიდი მეცადინეობით აგებულ იქნა ახალი შენობა—სკოლისათვის, სადაც პეტრემ იმსახურა კიდევ 3 წელი.



თუ საზოგადოდ ძნელი იყო იმ დროს სოფლის მასწავლებლობა, გაცილებით უფრო აუტანელი იყო სამრევლო სკოლების მასწავლებლების მდგომარეობა, ვინაიდან ყოველ ანაფორიანს, ვინც უნდა ყოფილიყო ის, თუ გინდ მცირე წერა-კითხვის მცოდნეც,—უფროსად მოჰქონდათ

თავი. პირველად ამხ. პეტრე ღებულობდა ჯამაგირს თვეში 10 მანეთს, შემდეგ 15 და ბოლოს 20 მ. თითქმის მთელი ჯამაგირს ანდომებდა რუსეთიდან წიგნების—გამოწერას, რომ თვით განვითარებით მაინც შეევსო ის, რაც ვერ შესძლო მიეღო სწავლის გაგრძელებით. 1906 წელს ამხ. პეტრე გადაიყვანეს მასწავლებლად ქ. ზუგდიდში, სადაც მასწავლებლობდა გასაბჭოებამდე. ამავე დროს პარალელურად მუშაობდა სხვადასხვა საზოგადო დაწესებულებებში: იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობის წევრი ხაზინადარი, ამავე დროს იყო შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა გამგეობის თავმჯდომარედ.

1917 წელს მარტის თვეში (თებერვლის რევოლუციის შემდეგ) ამხ. პეტრე აირჩიეს დასავლეთ საქართველოს მასწავლებელთა კავშირის ზუგდიდის სამაზრო განყოფილების გამგეობის თავმჯდომარედ, რომელ თანამდებობაზედაც დარჩა განათლ. მუშაკთა კავშირის დაარსებამდე. და როგორც მასწავლებელთა წარმომადგენელი ესწრებოდა კრებებს, რომელიც იმართებოდა იმ დროს ქუთაისში და ტფილისში. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდანვე მოწვეულ იქნა განათლების განყოფილების გამგის მოადგილედ, რომელ თანამდებობასაც ასრულემდა 1924 წლის 1 მარტამდე. იმ დღიდან კი ასრულებს განათლების მუშაკთა კავშირის ზუგდიდის განყოფილების გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობას, რომელ თანამდებობაზედაც წელს მესამედ აირჩიეს.

მრავალ-ფეროვანი და დიდად სარგებია ამხ. პეტრეს მოღვაწეობა, ის ნამდვილი ადამიანია, ის ნამდვილი პედაგოგია ამ სიტყვის ფართე მნიშვნელობით. მისგან ყოველი ახალგაზრდა მიიღებს ღირსეულ რჩევა-დარიგებას, მისგან ახალგაზრდა ბევრ რამეს ისწავლის.

საბჭოთა ხელისუფლებისათვის ყველაზე უფრო ძვირფასია ისეთი უანგარო და კეთილ-სინდისიერ, საზოგადო მუშაკი, როგორიც ამხ. პეტრეა.

ტარასი ლაგვილავა.

ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა

ჩვენი კლასიკები.

ერის გასაერთიანებლად კაცობრიობის ისტორიას ორი საშუალება აქვს: ხმალი და კულტურა.

ხმლით გაერთიანება—ეს ანტიური ქვეყნისა და ფეოდალიზმის ნიშანდობლივი საშუალებებია. კულტურა—ეს ახალი დროის დუღაბია, რომელიც მაგრად არის დაბჯენილი ახალ ეკონომიურ ურთიერთობაზე.



ანტიურ საქართველოში მრავალჯერ აპრიალებულა ერის გამაერთიანებელი ხმალი, მაგრამ მრავალჯერვე გადატეხილა იგი. მხოლოდ დავით აღმაშენებელის ელვარე დაშნამ შესძლო საქართველოს ცენტრზე დაბჯენით უდიდესი წრის შემოფარგვლა, ვიდრე დარუბანდიდან კარნუს ქალაქამდე, გურგანის ზღვიდან პონტოს ტალღებამდე.

ორნახევარი საუკუნე-ღა გვიფარავდა ეს მიჯნები. და ისევ გადატყდა პირმახვილი საფარი... ამაოდ ეცადა შემდეგი თაობანი ამ ხმლის გამრთელებას, თვით „აღმოსავლეთის ლომმაც“—პატარა კახმაც, მხოლოდ დროებით შესძლო მისი აელვარება... კრწანისის მიწაში თითქოს სამარადისოდ ჩაერჭო იგი.

ეს იყო ფეოდალური საქართველოს ტრაგედია... მაგრამ ჩვენ ვიხელეთ საქართველოს რენესანსონსიც ახალ ეკონომიურ ურთიერთობაში... ამას მოყვა სრულიად უცნობი, საქართველოსთვის განუცდელი ახალი გამაერთიანებელი ფაქტორი—კულტურა, რომელმაც სამარადისოდ შეადუღა ჩვენი ერის სხვადასხვა ნაწილები ერთმანეთს.

ამ სფეროში მიუღწეველ მწვერვალებად ჩანან ჩვენი სულიერი ცხოვრების მწვერვალები: ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ყაზბეგი, ვაჟა, ნინოშვილი.

სახელმწიფოებრივ ჩარჩოებსა და საორგანიზაციო ცენტრებ დაკარგული ჩვენი ეროვნული ცხოვრება—ამ ბუმბერაზების გარშემო კავშირდება, ამათ სახელებს ეხვევა ვით მძლავრ მორგვებს ქართველი ერის არსებობის ძაფი და სასიცოცხლო ენერგია.

ამათი სახელებით ღა ვჩანდით ისტორიულ ასპარეზზე. და დღეს, როდესაც ქართველი ერის უმეტესობამ მშრომელმა ნაწილმა, შესძლო მიეცა თავისი სამშობლოსათვის გარკვეული სახელმწიფოებრივი ფორმა, როცა რევოლუციათა ქარტეხილში ქართველმა მუშამ საკუთარი სახე მოუნახა ჩვენს ქვეყანას და რუსეთის თვალუწვდენელ ველთა ერთფეროვნებაში ქართული ხაზიც გაავლო,—აი ამ დროს არავის ჩვენთაგან არ შეუძლია მადლიერის თვალით არ მოხედოს ჩვენს სულიერ მამებს, ჩვენს დიდ იდეალისტებს, რომელნიც წმინდა სანთელივით იწოდენ თავის ქვეყნის წინაშე, ყველაფერი ანაცვალეს ამ იდეას და ჩვენც უდიდესი ანდერძი დაგვიტოვეს.

შეიძლება ხოგ რამეში არ დავეთანხმოდ ჩვენ იმათ, შეიძლება ბევრი სადაოც იქნეს ჩვენს შორის, ეგების გაწიწმატების დროს ბევრ ღირსებებზედაც უარი უთხრას

მით ზოგიერთმა ჩვენთაგანმა—მოგეხსენებათ რა გულფიცხნი ვართ შვილები მამების შეფასების დროს,—მაგრამ ერთ რაიმეს კი ვერც ერთი ვანდალიც კი ვერ წაართმევს მათ: ეს არის უღრმესი გულწრფელობა და საზოგადო საქმისათვის თავდადება.

სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარული, საქვეყნო საქმეებზე დღე და ღამ ფიქრი, მხოლოდ უანგაროება და კეთილშობილ იდეალებისკენ მისწრაფება,—აი ამ უმწიკვლო რაინდების სულის ძირითადი თვისებანი.

ამიტომ არის, რომ მათი აჩრდილები განუყრელ სიმბოლოებად დაგვდევენ თან და ჭირსა და ლხინში მხნეობას გვმატებენ.

ამიტომ არის, რომ მათი სახელების ხსენებაზე ყველას უაღრესი მოწიწება გვიპყრობს და უნებლიედ ქედს ვიხრით მათ წინაშე.

ასე უნებლიედ ქუდმოხდილი ვჩერდებით აკაკის ხატების პირის-პირ სახელგამის მიერ გამოცემულ მისი ნაწერების გამო. მოწიწებით დავცქერით შავ არშიებით შემკობილ მომხიბვლელ სახეს და გულის ფანცქალით ვიწყებთ ათასჯერ წანაკითხის კიდევ ერთხელ წაკითხვას. ვკითხულობთ და ვსტკბებით: ძველი გვეგონა და ახლად გვეჩვენება; გვრწამს, რომ გაისათაც წავიკითხავთ და კიდევ უფრო ახლად დავსახავთ.

არ ძველდება აკაკი, არ დაძველდება აკაკი...

კეთილშობილური იყო მისი პატიოსანი გოდება და სამარადისოა მისი ქნარი ამონატირი.

აკაკიზე ძვირფას სახელს ვერავის მოგვაგონებდა ჩვენი სახელმწიფო გამომცემლობა.



თანამედროვე ჩინური პლაკატები

„ჩინეთის ხალხი იმპერიალიზმის და მილიტარიზმის ულელ ქვეშ“.
„მკვლელობანი, რომელიც მათ ჩაიდიხეს ცინდაოში, შანდუნ-შანხაიში, კანტონში, ხან-კოუში და სხვ.“



მწერალი შირვანზადე ტფილისში

ქარტის 5-ს ტფილისში ჩამოვიდა საზღვარ-გარეთიდან ცნობილი სომეხი მწერალი—დრამატურგი **შირვანზადე**. (ალექსანდრე მოვსესიანი).

შირვანზადე დაიბადა 1857 წელს შემახის ერთ პატარა სოფელში. მისი მამა უბრალო თერძი იყო.

ალექსანდრე ძალიან ადრე გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე და დასწერა მრავალი პიესები და რომანები. პიესებში შესანიშნავია „ნამუსი“, „ნანგრევებზე“, „დაღუპული“, „პატივისთვის“. „ევგინე“ და სხვა.

შირვანზადე თავის პიესებში ასურათებს ქალაქის მდიდარ ინტელიგენტის უარყოფით მხარეებს. მისი პიესა „ნამუსი“ გადაღებულია კინო-სურათად.

ბევრი მისი პიესები გადათარგმნილია რუსულ და ქართულ ენებზე.

შირვანზადეს ჩამოსვლის გამო ჰაიარტუნის შენობაში მოწყობილი იქნა საღამო. საღამო გახსნა მ. დარბინიახმა. მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ჰაიარტუნის სექციის თავმჯდომარე ამხ. სერგო ხანოიანმა.

ამხ. ხანოიანის შემდეგ გამოვიდა შირვანზადე, რომელსაც საზოგადოება შეხვდა ტაშით. მან სთქვა:

„მე ამ ჩემს ბოლო სიცოცხლის წუთებს მოვახმარ საბჭოთა ქვეყნის კეთილდღეობას, და არ დავზოგავ ჩემს უკანასკნელ ენერგიას ხალხისთვის“-ო.

დარბაზში შეუჩერებელი ტაში და ვაშას ძახილი გაისმა.

შირვანზადეს გადაწყვეტილი აქვს დაათვალიეროს სომხეთი, თავის სამშობლო ადერბეიჯანი და შემდეგ დაბინავდეს ერევანში ან ტფილისში.

არტ. დავითიანი.



საიათნოვა — ნახატი გ. შარბაბჩიანის

მხატვარი გ. შარბაბჩიანი.

გიგო შარბაბჩიანი სომეხ მხატვართა შორის ერთი ნაყოფიერი მუშაკია. მან 1900 წელს დაამთავრა პარიზის სამხატვრო აკადემია, იგი სწავლობდა ცნობილ მხატვრის ჟან-პოლ-ლარინსის სახელოსნოში. გ. შარბაბჩიანმა პარიზშივე გამოფინა თავისი პირველი სურათები. ამავე წელს დაბრუნდა ქ. ტფილისში და საკუთარ სახელოსნოში დაიწყო ჩუმი მუშაობა.

ტფილისის საზოგადოებამ გიგოს შემოქმედება გაიცნო მხოლოდ 1913 წელს, როდსაც მან სამი წლის მუშაობის შემდეგ გამართა თვისი სურათების პირველი გამოფენა. გამოფენილი იყო სულ 114 სურათი. აქ მხატვარმა მალე მიიქცია საზოგადოების ყურადღება. სურათების დიდი უმრავლესობა გაიყიდა. 1913 წ. გიგო კვლავ გაემგზავრა პარიზს და მოაწყო იქ საკუთარი სახელოსნო. იქ დაჰყო მხოლოდ 1914 წლამდე, რადგანაც ომის გამოცხადების გამო იძულებული იყო დაბრუნებულიყო საქართველოში. ტფილისში კვლავ შეუდგა ნაყოფიერ მუშაობას, და 1916 წ. ამხანაგ მხატვართა დახმარებით ტფილისში დაარსა **„სომეხ მხატვართა საზოგადოება“**. 1924 წელს მან დაარსა, სომეხ ხელოვანთა სახლთან **„ჰაიარტუნთან“** სამხატვრო სტუდია, სადაც თვითვე ასწავლის ხატვას. აქ სწავლობენ უმთავრესად ხელმოკლე ახალგაზრდობა: გიგო ასწავლის ხატვას აგრეთვე სომხურ მუშფაკში. გ. შარბაბჩიანი, როგორც მამა-პაპით ტფილისში დაბადებულ—აღზრდილი,

დიდი მოყვარული და ამასთანავე საუკეთესო მცოდნეა ძველი ტფილისის. ამიტომ ბევრი მისი სურათები, ამეტყველებულია აღმოსავლეთის მგზნებარე კოლორიტით.

ამ მხრივ საყურადღებოა მისი სურათები: **„ყეენობა“, „ძველი ტფილისი“, „ლხინი ღამის თევის დროს“, „ქუჩა ძველ ტფილისში“, „საიათნოვა“, „ქალი დაირით“, „ძველ ტფილისის ბაღში“, „საიათნოვა ქალებთან მომღერალი“,** დიდს ტილოზედ დახატული **„სამი სურათი, საიათნოვას ცხოვრებიდან“**. და მრავალი სხვა. შარბაბჩიანმავე დაასურათა პოეტის ოვ. თუმანიანის პოემები, **„ანუშ“** და **„ფარვანა“**. გიგოს რამოდენიმეჯერ მიუღია მონაწილეობა ტფილისში გამართულ გამოფენებზედ. მისი სურათები იყო გამოფენილი აგრეთვე საზღვარგარედ. სტამბოლს, ვენეციაში და სხვაგან. უკანასკნელ დროს შარბაბჩიანმა დასწერა მეტად საინტერესო მონოგრაფია ამიერ-კავკასიის მეცხრამეტე საუკუნის მხატვართა შესახებ, რომლისთვის მასალებს აგროვებდა რამოდენიმე წლის განმავლობაში. მონოგრაფია მითაც არის საყურადღებო, რომ გიგოს მიერ აღმოჩენილია ბევრი აქამდე უცნობი მხატვართა სახელები, რომელთაც უმუშავნიათ ტფილისში. აღმოჩენილია აგრეთვე ბევრი მათი ნაწარმოებნიც. მხატვარი ამ მონოგრაფიის გამოცემას აპირებს მოკლე ხანში.



მხატვარი გ. შარბაბჩიანი

გ. ბ.

ბიბლიოგრაფია

ს. მაჩაბელი და ნ. წულუკიძე.

წერა კითხვა საბავშვო ბაღში

რ. ნიკოლაძე-პოლიევქტოვას რედაქციით და დამატებით „ამ წიგნის მეთოდი ჩვენს სკოლაში“, სახელგამი ტ. 1925 (ყდაზე 1926) გვ. 316.

ამ წიგნში მოცემულია მეტად საგულისხმიერო ცდა წერა-კითხვის სწავლებაში მონტესორის მეთოდის გამოყენებისა. ეს მეთოდი საუცხოოა სკოლაში აღზრდამდე ასაკისათვის, მით უმეტეს, რომ იგი აკმაყოფილებს ბიოლოგიურ-ფსიხოლოგიურ პრინციპთა მოთხოვნილებას. ბიოლოგიის „ჰედონისტურ“ პრინციპის მიხედვით ბავში მოითხოვს სიამოვნებათა მაქსიმალ რაოდენობას (ყოველ ორგანიზმის ანალოგიურად). ფსიხოლოგიურად ბავში მიზნის მიღწევის სურვილით კი არაა გამსჭვალული, არამედ იგი მოქმედებიანობის პროცესუალ მხარითაა გატაცებული (ამას თავის ბიოლოგიური საფუძვლები აქვს). ამნაირად შენაერთი ბიო-ფსიხოლოგიურ პრინციპთა იღებს შემდეგნაირ ფორმულის სახეს: ბავშისთვის საჭიროა **სასიამოვნო მოქმედებიანობა, მოქმედებიანობის პროცესუალობაზე აქცენტით.** ეს უნდა იყოს ღოზუნგი მცირეწლოვანთა შორის მომუშავე პედაგოგთათვის; რადგან **გონებრივ** სწავლისკენ გზა, ჰედონისტურ პრინციპის დაკმაყოფილებით მეტად საადვილოა. აქ დიამეტრალი წინააღმდეგობა ძველ პედაგოგიკის წარმომადგენელთა და ჩვენს შორის (ლესგაფტი მაგ. სწავლაში გონებრივ მომენტს უპირატესობას აძლევდა) სწორედ ზემოდდასახულ პრინციპთა დამაკმაყოფილებელია მონტესორის წერა-კითხვის სწავლების მეთოდი, რომელიც ნათელყოფილია წინამდებარე წიგნში.

ამ მეთოდის დამახასიათებელია ის, რომ წერაკითხვაზე უფრო ადრე დაისწავლების (შეადარე სხვა მეთოდებთან, მაგ. ბგერითი ან ამერიკული). ამაშია კვანძი უდიდეს ბიო-ფსიხოლოგიურ პრობლემისათვის: შაბლონისამებრ უფრო გავრცელებულია აზრი **აზროვნებისა და ლაპარაკის ფილო და ონტოგენეზის პარალელობისა;** რა დებულებაც ზუსტ დეტერმინაციას ვერ ჰპოებდა. ახლა კი, თუ „ჩუმი“ აზროვნება (წერა-აზრიანი) ხმა-მაღალს წინ უსწრებს, სურათი რადიკალურად შეიცვლება, სენსო-მოტორულ მოძრაობათა ნიადაგზე იბადებიან „ჩუმ“ სიტყვათა კვალები, სუბიექტიურ ენერგიის ეკონომიზაციის შემდეგ (გამეორების გამო); ეკონომიზაცია ქმნილი ენერგია ეძებს გამოსავალს ბგერათა უხეშ და მარტივ წამოყრანტალებაში. ადამიანის „მე-“ს ერთიანობის გამო ბგერათა წყობა მიდის „ჩუმ“ სიტყვასთან (?) იდენტიფიკაციის გზით. (ეს პრობლემა მეტად დამაინტერესებელია და ჩვენ შევეცდებით სხვა დროს მისკენ დაბრუნებას).

ვუბრუნდებით წიგნს. სწავლების ეტაპები შემდეგნაირადაა გადმოცემული ავტორთა მიერ:

I მომამზადებელი საფეხური (ბავშის ცნობიერებაში არათელეოლოგიური)

a) კონტურების ხატვა (აქ ბავში „წესიერ“ ხატვას ეჩვევა).

b) ხორკლიანი ასოები (სენსო-მოტორულ მოძრაობათა ჟინის დაკმაყოფილება).

c) პლაკატები და სტამბა (შედარების უნარის გაღვიძება, ხორკლიან ასოებზე მუშაობის შემდეგ, ენერგიის ეკონომიის გამო).

d) გარკვეულ ასოზე სიტყვების აწყობა, და აწყობილ სიტყვებში ასოების გამოცვლა ახალ სიტყვათა

მისაღებად (კინესთეტურ და კანის შეგრძნებათა (ასოების) აზრიან კომპლექსებად ქცევა და ამ კომპლექსთა ფარგალში ს. დ. ს. კომბინაციები. ბავშს სინთეზის უნარი გასჩენია და იგი ადგენს ანალიტიურ ერთეულთაგან (ასოთაგან) გრამატიკულ ერთეულებს. მასალა ჯერ-ჯერობით **მოცემულია**, ბავში თამაშობს, იგი **აშენებს** სიტყვას—მას შემოქმედების **შნო** ჯერ არა აქვს).

e) წინადადებათა შედგენა (უშუალო გაგრძელება d საფეხურისა—ბავში **დამოკიდებულებათა** აღნიშვნას ახერხებს..

II წერის საფეხური.

a) ასოთა წერა (ხორკლიან ასოზე მოძრაობას მიჩვეული ხელი, ენერგიის გამრავლებით (ან ეკონომიზაციით—რაც იგივეა) ახერხებს **შემოქმედებით პროცესის** შესრულებას).

b) გადმოწერა (მხედველობით შეგრძნებათა მოტორულ მოქმედებებათ ტრანსფორმაცია).

c) შემოქმედებითი წერა (ენერგიის ეკონომიის გამო, შესაძლოა ენერგიის შემოქმედებისკენ მიმართვა).

d) მიწერა (თელეოლოგიურ მომენტის გაღვიძება: წერა აზრის და გასაზიარებლად. წერის პროცესით გატაცება შენაცვლებულია სხვა გატაცებით).

III კითხვის საფეხური.

a) წერილობით დავალების ასრულება (გაგება დაწერილ და წარმოთქმულ აზრთა შინაგან იდენტიფიცირების; საგნის მრავალმხრივი გაგება; ფორმათა სიმრავლის და საგან-მოქმედების ერთ რამედ ყოფნის შეტყობა).

b) სახელთა საკნებზე განკუთვნა (ა-ს ორგანიული გაღრმავება).

c) მოთხრობათა კითხვა (კინესთეტურ—კანითი შეგრძნებანი უკვე სრულიად შენაცვლებულნი არიან მხედველობით შეგრძნებათა მიერ. სხვის აზრის გაგების შნო (დაწერილის, რასაკვირველია).

d) მიწერ-მოწერა და საკუთარი „თხზულებანი" (შემოქმედებით პროცესით გატაცება).

e) **კითხვა** (საბავშო ბაღში სწავლების დასრულება: წერა-კითხვა უკვე ცნობიერი საშუალებაა).

ყოველი საფეხური განივლების ძალდაუტანებლივ და ატარებს უფრო თამამ-შეჯიბრის სახეს. საგულისხმიერია ფსიხოლოგიურად სწორი მიმდევრობა საფეხურთა. და ბოლოს აღსანიშნავია, რაც უმთავრესია, ამ მეთოდის პრაქტიკულად გამოყენების შედეგები, რომელთ რამოდენიმე მაგალითი თვით ამ წიგნშია მოყვანილი. მონტესორის მეთოდის უპირატესობა (მცირეწლოვანთათვის) ამერიკულ და ბგერით მეთოდებთან შედარებით ჩვენს სინამდვილეში უტყუარია, და ამიტომ არ შეგვიძლია რომ არ მივეგებოთ ამ წიგნის ავტორებს, მონტესორის მეთოდის პოპულიარიზაციის ცდაში.

ორიოდე სიტყვა დეფექტთა შესახებ, ასე მაგ. ავტორები თივიანთ წინასიტყვაობაში სწერენ, რომ მათი ნამუშევარი მეთოდის პრაქტიკულად განხორციელების მხრით „ჩვენში... პირველი ცდაა ამ მიმართულებით.- ახალი საქმეა, პირველი ცდაა". რაიც რამოდენამე სწორი არა: რუსეთში ფაუსეკი კარგა ხანია რაც მუშაობს ამ საქმეში, მხოლოდ ჩვენთან თითო-ოროლას უკვე 1913 წლიდან უწყია მუშაობა მონტესორის სისტემის მიხედვით. აგრეთვე, რაკი წიგნი უფრო პრაქტიკულ ხასიათს ატარებს, ამიტომაც პრაქტიკულად ჩატარებელ მუშაობაზე მეტი უნდა თქმულიყო.

მაგრამ ამნაირი ნაკლულოვანებანი არ ვნებენ საერთო შთაბეჭდილებას. ენა კარგია, შრიფტი დამაკმაყოფილებელი. კორექტურული შეცდომა ცოტაა.

ამავე წიგნს წინ დართული აქვს რ. ნიკოლაძის წინასიტყვაობა, რომელიც გვაუწყებს, რომ ეს წიგნი მრავალ გამოძახილს გამოიწვევს და „ერთ-ერთ ამგვარ გამოძახილს ამ წიგნის ბოლოშიც ვთავსებთ"-ო. ეს „გამოძახილი" რ. ნიკოლაძის კალამს ეკუთვნის და გადაჭიმულია... (!) 61 გვერდიდან... 312 გვერდამდე.

უნდა აღვნიშნოთ, რომ უხერხულია ისეთ გამოძახილის, წიგნზე მიბეჭდვა, რომელიც თითონ წიგნს ერთი ოთხად აღემატება. მით უმეტეს, რომ ეს „არალეგალური" წიგნი ბევრში პირველი წიგნის გამეორებაა და ძლიერ გაჭიანურებულია.

უმჯობესი იყო რ. ნიკოლაძის წიგნი ცალკე გამოსულიყო.

ვა—ცი.

ლევ. მეტრეველი. „ქართული ანდაზები" სახელ-გამის გამოცემა. ტფილისი 1925 წ. ფ. 1 მ.

ქართული სახალხო პოეზია, სიტყვიერება ზღვასაებრ ვრცელია და უშრეტი, ბუნებასაებრ მრავალფერია და თვალ-გადუწვდენელი.

სამწუხაროდ მშობლიური სახალხო სიტყვიერების შეკრება-შესწავლა სულ ახალი დროის საქმეა: ამ დარგში მუშაობას ჩვენში როდი აქვს დიდი, „ხნიერი" წარსული.

სულ მცირე ნაწილია მისი შეკრებილ-გამომზეებული და კიდევ უფრო მცირეა შესწავლილ-გამოკვლეული.

მისი ჭარბი უმრავლესობა დღემდე ხელუხლებია და ხალხურ მეტყველების „უტყვ" ბაგეებს მოუშუყდარს ჯერეთ მკვლევარის ფხიანი ხელი „ასაკინძავად" არ შეჰხებია.

ამ ხაზზედ, რაც გაკეთებულა დღემდე, არაფერია იმასთან შედარებით, რასაც წარმოადგენს ლევ. მეტრეველის „ანდაზები", სადაც საკმაო ჩაკვირვებითა და სიფრთხილითაა შერხეული მთელი ზღვა სახალხო მეტყველების. ანდაზები კერძოდ სახ. სიტყვიერების ისეთი დარგია, სადაც ხალხური მმეტყველი გენიის სული ყველაზედ უფრო ცხოველია და მძაფრად მჩინარე.

უდაოა, რომ წიგნზედ მეტად დიდი შრომაა გაწეული;

„15 წლის განმავლობაში—სწერს ავტორი აღნიშნულ „ანდაზები"-ს წინათქმაში—სათუთ-სათუთად მიგროვებია ეს იშვიათი მძივები; დღეს კი ამისხამს იგინი ჩემი სიყვარულის ძაფზედ და საუცხოო კრიალოსნად გამიწვდია მათთვის, ვისაც კიდევ შერჩენია ლაზათი და სიყვარული ქართული დარბაისლური ბაასისა".

ეს შრომა სერიოზული ცდაა სახალხო სიტყვიერებითი კულტურის შეკრების ხაზზე, რომლითაც ასე მდიდარია ჩვენი „კურთხეული მიწა", რადგან იგი ავტორის თქმის არ იყვეს „ასწლობის აკვანშია ნაზარდი და ამიტომ ბიხადრობს ისევ იქ. სადაც მხოლოდ საუკუნენი ავლებენ თვალს ცხოვრების ნაღარს, ე. ი. სოფელში" შრომას ღირსებას მატებს კიდევ ის გარემოება, რომ იგი ანბანის რიგზეა დალაგებული.

მიუხედავად ამისა წიგნი არაა დეფექტებს მოკლებული.

ცოტა არაა აქ გაუთლელი ფრაზები და მოუხეშავი გამოთქმები, რომელთა (წიგნში) შეუტანლობით „კრებული" თუ მოიგებდა, თორემ არ წააგებდა; სხვათა შორის აქ მთელი წინადადება-გამოთქმებია შერყვნილ-დამახინჯებული;

საილუსტრაციოდ ავიღოდ ორიოდ მაგალითი: „აქლემის მომპარავი და ნემსის მომპარავი—ორივე ქურდია"-ო. უნდა იყოს: აქლემის ქურდი და ნემსის ქურდი—ორივ ქურდიაო. „თამაშობას ხერხი უნდა, თორემ დათვმაც იცის ძუნძულიო". უნდა იყოს: ხერხით უნდა თამაშობა, დათვმაც იცის ძუნძულიო. ანდაზები ასეთ გადამახინჯებას ვერ დაითმენს, მას უყვარს სხარტი, მკაფიო და უბრალო გამოთქმები.

როგორც არ უნდა იყოს, ეს კრებული, მაინც „საუცხოვო კრიალოსანია" რითაც ავტორს ზეპირ გადმოცემათა შეკრების საქმისათვის მეტად დიდი ამაგი დაუდვია.

საჭიროა ამ ხაზზედ მუშაობის გაღრმავება-განფართოება; მასში უნდა ჩაებას:—მასწავლებლობა, გლეხ-კორები და სხვა, სოფლის თუ ქალაქის კულტურულ საქმის მოამაგენი.

წიგნი სუფთადაა გამოცემული. შეიცავს 112 გვ. წინ უძღვის „წინათქმა"—I-XIV-გვ. ფასი 1 მან.

კარპ. დონაძე.

ჩვენი ჟურნალი

კარგა ხანია, რაც გამოდის ჟურნალი: „საქართვ. განმ. მუშაკი“; კარგა ხანია, მასში თანამშრომლობენ საქართველოს განათლების საუკეთესო მუშაკები, რითაც ჟურნალმა იმ თავითვე მიიპყრო მკითხველი საზოგადოების ყურადღება და შიგ მოთავსებული საყურადღებო საკითხები გამოხმაურებას და მეგობრულ გამოძახილს პოულობდენ პერიფერიებშიაც. პირველ ხანებში ამ ჟურნალს საკმარისი ნაკლი ჰქონდა, რაიც, უმთავრესად, გამოიხატებოდა სიღარიბეში პედაგოგიური და დიდაქტიური საკითხების გაშუქებისა და, ასე ვსთქვათ, ნაკლებად იზიდავდა მკითხველის ყურადღებას. მაგრამ, გადის დრო და ჩვენ ვხედავთ, რომ ჟურნალი თანდათან პოპულიარული ხდება და გიგანტიური ნაბიჯით მიდის წინ, შეუპოვრად გზას იკაფავს კაცობრიობის და, ამ შემთხვევაში, საქართველოს კულტურულ-აღმზრდელობითი წინმსვლელობისაკენ. ჟურნალში თანდათან საუკეთესო და გასაგების ენით თანამშრომლობენ ჩვენი ქვეყნის განათლების ენერგიული მუშაკნი და მოღვაწენი, მის ფურცლებზე ირკვევა მრავალი საპირბოროტო საკითხი, როგორიცაა: „ექსპერიმენტალური პედაგოგიკა და პედოლოგიის მიღწევანი“--წერილები მ. ი. საღარაძისა, რომელიც დიდ სარგებლობას მოუტანს ყველას და, განსაკუთრებით, ახალგაზრდა და გამოუცდელ მასწავლებლობას;—წერა-კითხვის სწავლების სანიმუშო მსვლელობა (მთელი სიტყვების მეთოდით)—სავლე აბულაძისა—პირადი გამოცდილებიდან, კომპლექსური მეთოდი და მისი შესწავლა, საზოგადოებათმეცნიერების სწავლება მაღალ ჯგუფებში შვიდწლედებისა, ეკონომიური საკითხები, წერილების საშუალებით დაახლოება და გაცნობა, თუ რა ხდება სკოლის აღორძინების სფეროში საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში და მრავალი სხვა საყურადღებო და ღირსშესანიშნავი საკითხები.

უკანასკნელი 4—5 ნომერი 7, 8, 9, 10, 11, ჩემის აზრით, განსაკუთრებით მდიდარია ამგვარი საკითხების გაშუქებით.

რომ ჟურნალმა თავისი დანიშნულება პირნათლად შეასრულოს და უფრო კარგად ემსახუროს თავის მიზანს, საჭიროა მისი გავრცელება და ყველა საუკეთესო ძალების თავის მოყრა ჟურნალის ირგვლივ. საჭიროა უფრო მეტი იწერებოდეს შიგ ადგილებიდან: შენიშვნები, პირადი გამოცდილება და სხვა, განსაკუთრებით, დღეს, როცა ამ ახალმა მეთოდმა „ქვეყანა შესძრა“ და ყველას ის აკერია ენაზე: სურების რაიონში არ დარჩენილა არც ერთი მუშაკი, რომ ეს ჟურნალი გამოწერილი არ ქონდეს, მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს; რომ ჟურნალით შესაფერად, ყველანი ვერ სარგებლობენ. საჭიროა ფხიზელი თვალყურის დევნება ჟურნალში მოთავსებული საკითხებისათვის, მათზე შესაფერისი გამოხმაურება, შიგ აღნიშნულ პედაგოგიურ-დიდაქტიურ მითითებათა გამოყენება და სხვა ასეთები.

ვუსურვებ ამ ჩვენს ჟურნალს ყოველმხრივ წინსვლას მისი მთავარი მიზნის და დანიშნულების პირნათლად შესრულებას!

სალამი ჟურნალში თანამშრომელ განათლების მუშაკთა გამოცდილ და ენერგიულ კალამს!

დიდივანის 7 წლედის
მასწავლებელი **ონიფანტე რამიშვილი.**

სარედაქციო კოლეგია

კორნელი ქაცარავა
ვარლამ ხუროძე
დიმიტრი გურგენიძე
ალექსანდრე ცინცაძე
ნიკო ჭეიშვილი
პარმენ ჭანიშვილი

გამოვიდა და იყიდება

ა. ვიგალოკის

რა უნდა იცოდეს განათლების მუშაკმა თავის კავშირის შესახებ

განმოცემა განათლების მუშაკთა კავშირის ცხ. გ. კულტგანყოფილებისა.

ფასი 75 კაპ.

ჩვენი ჟურნალის წლიურ ხელის მომწერთ, რომელთაც **ოქტომბრის დამლევამდე გადაიხადეს ოთხი მანეთი,** წიგნი დაურიგდებათ უფასოდ.

დანარჩენ ხელის მომწერლებს კი წიგნი დაეთმობა ყველას 40 კაპიკად, თუ რედაქციიდან წაიღებენ.

ფოსტით გადაგზავნა ჯდება 5 კაპიკი.

ასე რომ პროვინციელ ხელის მომწერლებს წიგნის გამოწერა შეუძლიათ 45 კაპიკად.

ფასი 35 კაპ.

3 20 Ju
1926



მთავლიტი 355. ტფილისი, სტამბა „კრასნი ვოინ“ გორკის ქუჩა, № 1